

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

თეიმურაზ უკლება

„ახალგაზრდა სპორტსმენების ეთიკური სწავლებისა და აღზრდის პროგრამის  
შემუშავება და დანერგვა დოპინგის გამოყენებასთან ბრძოლის მიზნით“

დისერტაცია

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად



თბილისი 2024

ნაშრომი შესრულებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

**სამეცნიერო ხელმძღვანელები:**

აკადემიკოსი რამაზ შენგელია - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პავლე კასრაძე - მედიცინის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

**ექსპერტები:**

გივი ჯავაშვილი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, მედიცინის აკადემიური დოქტორი.

ელზა თათარაძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტული მედიცინის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი.

ქეთევან ბერიძე - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი.

დისერტაციის წინასწარი განხილვა (აპრობაცია) შედგა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო-ჰუმანიტარული მიმართულების (მედიცინის ისტორიის, ბიოეთიკის და კლინიკური ფსიქოლოგიის დეპარტამენტები) და საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის გაერთიანებულ სხდომაზე (15:00 სთ. 25.01.2024)

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (ვაჟა-ფშაველას გამზ. #29)

დისერტაციის დაცვა შედგება 2024 წლის 24 აპრილს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის I სართულზე, სადისერტაციო დარბაზში (ვაჟა-ფშაველას გამზირი 33)

Tbilisi State Medical University

Teimuraz Ukleba

“Development and implementation of a program for ethical education and upbringing of young athletes in order to combat doping”

Thesis

To obtain the academic degree of Doctor of Medicine



Tbilisi 2024

The scientific study was performed at Tbilisi State Medical University

Scientific Advisers:

Academician Ramaz Shengelia - Doctor of Medical Sciences, Professor

Pavle Kasradze – Academic Doctor of Medicine, professor

Experts:

Givi Javashvili - Professor of Tbilisi State Medical University, Chairman of the National Council of Bioethics, academic doctor of medicine.

Elsa Tataradze - assistant professor of the Sports Medicine Department of Tbilisi State Medical University, academic doctor of medicine.

Ketevan Beridze - associate professor of the Georgian State Teaching University of Physical Education and Sports, academic doctor of medicine.

The preliminary review (approbation) of the thesis took place at the joint meeting of Tbilisi State Medical University's Medical-Humanitarian Department (Departments of History of Medicine, Bioethics and Clinical Psychology) and Georgian Sports Medicine Association (3:00 p.m. 25.01.2024)

The thesis can be viewed in the library of Tbilisi State Medical University (Vazha-Pshavela Ave. #29)

The defense of the thesis will be held on April 24, 2024, on the 1st floor of the administrative building of Tbilisi State Medical University, in the dissertation hall (33 Vazha-Pshavela Ave.)

## სარჩევი

1. შესავალი	7
1.1 კვლევის აქტუალობა და სამეცნიერო სიახლე	13
1.2 კვლევის მიზანი და ამოცანები	13
2. მეთოდოლოგია	15
3. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა	19
4. რაოდენობრივი კვლევა	29
4.1 ზოგადი ინფორმაცია	29
4.2 დამოკიდებულება აკრძალული ნივთიერებების მიმართ - პიროვნული ფაქტორი	37
4.3 დამოკიდებულება აკრძალული ნივთიერებების მიმართ - გარე ფაქტორები	46
4.4 ელიტურ სპორტსმენტა ფაქტორი	46
4.5 გამოცდილება და დამოკიდებულება დოპინგ-ტესტირების მიმართ	47
4.6 დამოკიდებულება დამარცხების მიმართ	56
4.7 თერაპიული გამპყენების გამონაკლისი	57
5. ეთიკის ასპექტები და ღირებულებითი ორიენტაციები	64
6. სპორტსმენტა ცნობიერების ამაღლება - ეფექტური გზა დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაში	70
7. სპორტსმენტა დამოკიდებულება დოპინგის მიმართ - კვლევის მეორე ფაზა	77
7.1 დოპინგის, როგორც გამოწვევის ზოგადი აღქმა	77
7.2 სპორტსმენტა ინფორმირებულობა აკრძალულ ნივთიერებათა სიის შესახებ	79
7.3 სპორტსმენტა ინფორმირებულობა ანტიდოპინგური წესებისა და სანქციების შესახებ	82

7.4 სპორტსმენთა დამოკიდებულება დოპინგ-ტესტირების პროცედურების მიმართ	84
7.5 კვებითი დანამატების აღქმა და მოხმარების ჩვევები	85
8. დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი ბიოსოციალური და ეთიკური ასპექტები.	88
8.1 ნდობისა და პასუხისმგებლობის განაწილების მექანიზმები.	88
8.2 სპორტსმენთა სამედიცინო და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა	92
9. დასკვნა	95
10. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები	97
11. გამოყენებული ლიტერატურა	105
12. რეზიუმე	110
13. დანართი N 1 კითხვარი	115
14. ნაშრომთა სია	129

## 1. შესავალი

დოპინგის გამოყენება უაღრესად მწვავე და მზარდი პრობლემაა საერთაშორისო მასშტაბით, რაც ანტიდოპინგური პოლიტიკის, საგანმანათლებლო პროგრამებისა თუ პრევენციული ღონისძიებებისადმი უფრო და უფრო მეტ ინტერესს იწვევს (1)

დოპინგის გამოყენება ეწინააღმდეგება სპორტის არსს, სამართლიანი თამაშის იდეასა თუ სპორტის ფუნდამენტურ ღირებულებებს, რომლებიც უაღრესად აქტუალურია არა მხოლოდ სპორტის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის და, რომელთა საყოველთაო განვითარებაში, განსაკუთრებით, მომავალი თაობების აღზრდის თვალსაზრისით, სწორედ სპორტს შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა: ჯანმრთელობა, სამართლიანობა, თანასწორობა, დისციპლინა, გუნდურობა, ტოლერანტობა, ინკლუზიურობა, გულმოდგინება, პატივისცემა და სხვა. (2) დოპინგთან ასოცირებული გამოწვევები ბევრი სხვა ასპექტივაც სცდება სპორტის ფარგლებს.

მეტად დიდია ცდუნება ახვიდე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე და გახდე ყველაზე ძლიერი, სწრაფი, ამტანი, ტექნიკური და ჭკვიანი სპორტსმენი - ოლიმპიური ჩემპიონი ან მსოფლიო ჩემპიონი, საკმარისი ფიზიკური მომზადების გარეშე დოპინგის გამოყენებით, რაც მას ჯანმრთელობის გაუარესების, ზოგჯერ კი სიცოცხლის ფასად დაუჯდეს.

დოპინგის მოხმარებას შეცდომაში შეჰყავს არა მხოლოდ კონკურენტები, არამედ მაყურებელი, სპორტთან დაკავშირებული ორგანიზაციები, სპონსორები (მათ შორის, სახელმწიფო) და ა.შ., რაც მათთვის როგორც ინსტიტუციურ, ისე - პიროვნულ დონეზე, სხვადასხვა ასპექტით, მნიშვნელოვან დამაზარალებელ შედეგებს უკავშირდება.

დოპინგის გამოყენებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე ინტენსიურად მუშაობს არა მარტო საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები, როგორცაა: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (IOC), მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო (WADA), საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტი (IPC), საერთაშორისო ტესტირების სააგენტო (ITA), სპორტის საერთაშორისო ფედერაციები, ასევე ეროვნული და რეგიონალური ანტიდოპინგური

ორგანიზაციები, არამედ მასში ჩართულია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში (UNESCO) „სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის“ და ევროპის საბჭო „დოპინგსაწინააღმდეგო კონვენციის“ სახით.

2005 წლის 19 ოქტომბერს პარიზში მიღებული ოლიმპიური ქარტია და სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კონვენცია („UNESCO-ს კონვენცია“) ორივე აღიარებს დოპინგის პრევენციას და სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლას, როგორც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და UNESCO-ს მისიის გადამწყვეტ ნაწილს და ასევე მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის (WADC) ფუნდამენტურ როლს.

მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსისა (WADC) და მსოფლიო ანტიდოპინგური პროგრამის მიზნებია:

- დაიცვას სპორტსმენების ფუნდამენტური უფლება;
- უზრუნველყოს დოპინგისგან თავისუფალ სპორტში მონაწილეობა;
- ხელი შეუწყოს ჯანმრთელობას;
- სამართლიანობასა და თანასწორობას მსოფლიოს მასშტაბით;
- უზრუნველყოს ჰარმონიული, კოორდინირებული და ეფექტური ანტიდოპინგური პროგრამების განხორციელება საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე დოპინგის გამოყენების პრევენციის მიზნით.

ეროვნულ დონეზე დოპინგის თემის აქტუალობის სასარგებლოდ მეტყველებს როგორც სპორტსმენტა მიერ დოპინგის მოხმარების სტატისტიკა, ისე, სახელმწიფოს მხრიდან გამოჩენილი განსაკუთრებული ყურადღება აღნიშნული საკითხის მიმართ:

2010-2021 წლებში, დოპინგის მოხმარების გამო, სანქცირებული იყო 42 საქართველოს სახელით მოასპარეზე სპორტსმენი. მათ შორის არიან 2012 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალის მფლობელი თავისუფალ ჭიდაობაში და 2018 წელს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი. ასევე, აღსანიშნავია, რომ დოპინგის გამოყენების გამო, 2021 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშებიდან მოიხსნა საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრი მძლეოსნობაში და სანქციად განესაზღვრა რვაწლიანი დისკვალიფიკაცია (3)



ბოლო 2 წლის განმავლობაში გაიზარდა აკრძალულ ნივთიერებათა მოხმარების დიაპაზონი. ტესტირების შედეგად ქართველ სპორტსმენტთა სინჯებში აღმოჩენილ იქნა ისეთი აკრძალული ნივთიერებები, რომლებიც ადრე არასოდეს გამოუყენებიათ. როგორცაა ანაბოლური აგენტები: beta-2 აგონისტი კლენბუტეროლი (ერთი შემთხვევა, 3 წლიანი დისკვალიფიკაცია), ანდროგენული რეცეპტორების სელექციური მოდულატორები (ლიგენდროლი ერთი შემთხვევა და ოსტარინი ექვსი შემთხვევა), ასევე, სტიმულატორი MDMA, (methylenedioxymethamphetamine), „ექსტაზი“, 3 თვიანი დისკვალიფიკაცია (4).

ჯერ კიდევ 2003 წელს საქართველოს პარლამენტმა განახორციელა ევროპის საბჭოს 1989 წლის “დოპინგსაწინააღმდეგო კონვენციის“ რატიფიკაცია, ხოლო, 2009 წელს იგი პრეზიდენტის ხელმოწერით შეუერთდა იუნესკოს 2005 წლის საერთაშორისო კონვენციას „სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.

2015 წლის 13 მარტს შედგა „საქართველოში დოპინგსაწინააღმდეგო პოლიტიკის განვითარებისა და სამართლებრივი მექანიზმების ჩამოყალიბების აუცილებლობის დასაბუთების“ პოლიტიკის მემორანდუმი, რომელიც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ მოამზადა.

იგივე უწყებამ, 2015 წლის 1 მაისის # 01/446 ბრძანებით, საქართველოში დოპინგსაწინააღმდეგო პოლიტიკის განვითარებისა და სამართლებრივი მექანიზმების ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი შექმნა, ხოლო, ამ უკანასკნელმა, 2015 წლის 2 სექტემბერს 2016-2020 წლებისთვის, საქართველოს დოპინგსაწინააღმდეგო სტრატეგია შეიმუშავა.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 თებერვლის N42 დადგენილების საფუძველზე შეიქმნა "სპორტის მთლიანობის დაცვის უწყებათაშორისი კომისია", რომლის პრეამბულა ასე ჟღერდა:

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და 29-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოში სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციებისა და თამაშების გარიგების, ასევე, სპორტში ძალადობისა და დოპინგის გამოყენების წინააღმდეგ კოორდინირებული ბრძოლისა და შესაბამისი

საერთაშორისო კონვენციების დანერგვის უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას სპორტის მთლიანობის დაცვის უწყებათაშორისი კომისია”.

კომისია ასრულებს ეროვნული პლატფორმის ფუნქციას და, შესაბამისად,, ახორციელებს საქართველოში არსებული პრობლემების შესწავლასა და შესაბამისი დასკვნების შემუშავებას. ის ეყრდნობა შემდეგ საერთაშორისო საპროგრამო დოკუმენტებს:

- ევროპის საბჭოს 1989 წლის დოპინგსაწინააღმდეგო კონვენციას „სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ (5);
- იუნესკოს 2005 წლის საერთაშორისო კონვენციას „სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების შესახებ“ (6);
- ევროპის საბჭოს 2014 წლის კონვენციას (7);
- ევროპის საბჭოს 2016 წლის კონვენციას „ფეხბურთის მატჩებსა და სხვა სპორტულ ღონისძიებებზე დაცულობის, უსაფრთხოებისა და მომსახურების ერთიანი მიდგომების შესახებ“ (8).

საქართველოში 2006 წლიდან ფუნქციობს საქართველოს ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტო (სადს), რომელიც მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის და საქართველოს მთავრობის მიერ აღიარებულია, როგორც ორგანიზაცია, რომელიც, საერთაშორისო და ეროვნული რეგულაციების შესაბამისად, შეიმუშავებს და ახორციელებს ანტიდოპინგურ პროგრამებსა და ღონისძიებებს ეროვნულ დონეზე.

ანტიდოპინგური პროგრამების დანიშნულებაა შეინარჩუნოს ღირებულებები, რომლებიც წარმოადგენენ სპორტის ორგანულ ნაწილს. ამ ორგანულ ნაწილს ხშირად მოიხსენიებენ როგორც “სპორტის სულს”. დოპინგი მთელი თავისი არსით სპორტის სულის აბსოლუტური ანტაგონისტია.

ოლიმპიზმის დედაარსია; კაცობრიობის მისწრაფება უპირატესობისაკენ თითოეული ინდივიდუუმის ბუნებრივი ტალანტების სრულყოფის მეშვეობით, სწორედ რომ პატიოსანი თამაშის წინაპირობაა. სპორტის სული ადამიანის სულიერი სამყაროს, სხეულისა და გონების ზეიმია; იგი აირეკლება ფასეულობებში, რომლებიც თან ახლავს სპორტს, მათ შორისაა:

- ეთიკა, სამართლიანი თამაში, პატიოსნება;

- ჯანმრთელობა;
- უზადლო შესრულება;
- ხასიათი და განათლება;
- გართობა და სიხარული;
- გუნდური თამაში;
- ერთგულება და პასუხისმგებლობა;
- წესებისა და კანონებისადმი პატივისცემა;
- საკუთარი თავის და სხვა მონაწილეების პატივისცემა;
- ვაჟკაცობა;
- ერთობა და სოლიდარობა.


სადს-ი პასუხისმგებელია დოპინგ-კონტროლის ყველა ასპექტის ჩატარებაზე. დოპინგის კონტროლის ან ანტიდოპინგური განათლების ნებისმიერი ასპექტი შეიძლება სადს-ის მიერ გადაეცეს დელეგირებულ მესამე მხარეს, თუმცა სადს-მა უნდა მოთხოვოს დელეგირებულ მესამე მხარეს - შეასრულოს ასეთი ასპექტები კოდექსის, საერთაშორისო სტანდარტებისა და თავისი ანტიდოპინგური წესების შესაბამისად. სადსი ყოველთვის რჩება სრული პასუხისმგებელი, რომ უზრუნველყოს ნებისმიერი დელეგირებული ასპექტის შესრულება კოდექსის შესაბამისად (9).

2023 წლის 5 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები საქართველოს კანონში „სპორტის შესახებ“: კანონს დაემატა „თავი VI<sup>1</sup>. დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლა“.

დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი საფუძვლების მიხედვით, საქართველოში დოპინგის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა ხორციელდება ევროპის საბჭოს „დოპინგსაწინააღმდეგო კონვენციის“, „სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ იუნესკოს საერთაშორისო კონვენციის, მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსისა და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების, საქართველოს ანტიდოპინგური წესების, სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე (10).

იქიდან გამომდინარე, რომ დოპინგი მრავალასპექტიან, კომპლექსურ პრობლემას წარმოადგენს, მის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც ლოგიკის, ისე - საერთაშორისო გამცდილების მიხედვით, შეუძლებელია მარტივად, მხოლოდ აკრძალვებითა და სანქციებით შემოიფარგლოს. მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ მნიშვნელოვნად გამკაცრებულმა, ზოგიერთი ანტიდოპინგური წესის დარღვევის გამო გაორმაგებულმა სანქციებმა, ანტიდოპინგური წესების დარღვევების რაოდენობა ვერ შეამცირა. პირიქით, მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მონაცემებით, 2018 წელს ანტიდოპინგური წესების დარღვევების რაოდენობამ 1.08% დან 1.42% მდე მოიმატა (11).

გრაფიკი 1 ანტიდოპინგური წესების დარღვევების დინამიკა 2010-2018



ამ ვითარებამ, მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს (WADA) მიერ, სოციალური სამეცნიერო კვლევის კუთხით მზარდი ინვესტიციების მობილიზება გამოიწვია (12). შედეგად, ანტიდოპინგური კამპანიის განვითარების აქცენტებმა კვლევაზე დაფუძნებულ, თანმიმდევრულ და მრავალგანზომილებიან პოლიტიკაზე (Anti-doping policies), ცნობიერების ამაღლებასა და სხვა პრევენციულ ღონისძიებებზე გადაინაცვლა.

დღეისათვის მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მთავარ როლს წარმოადგენს მსოფლიოს ყველა ქვეყანასა და სპორტის ყველა სახეობაში ანტიდოპინგური წესებისა და პოლიტიკის შემუშავება, ჰარმონიზება და კოორდინაცია. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მოიცავს სამეცნიერო და სოციალურ კვლევებს, განათლებას, ინფორმაციის მოპოვებასა და გამოძიებას, ანტიდოპინგური პოტენციალის განვითარებასა და მსოფლიო ანტი-დოპინგური პროგრამის შესრულების მონიტორინგს (13).

### 1.1 კვლევის აქტუალობა და სამეცნიერო სიახლე

- წარმოდგენილი ნაშრომი არის საქართველოში ანტიდოპინგური პოლიტიკის კომპლექსური მეცნიერული კვლევის პირველი სისტემური მცდელობა. იგი ფოკუსირებულია დოპინგთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისა და პასუხისმგებლობის განაწილების მექანიზმების, შესაბამისი ფაქტორების, აგრეთვე, სპორტის ძირითად აქტორთა ინსტიტუციური თუ პერსონალური როლისა და მოტივაციების კვლევაზე, რაც რელევანტური ანტიდოპინგური პროგრამებისა და პრევენციული ღონისძიებების შემუშავების უაღრესად მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

სახელდობრ, წარმოდგენილ ნაშრომში პირველად განხორციელდა:

- ქვეყანაში დოპინგთან დაკავშირებულ პრობლემათა სისტემური სკრინინგი და ანალიზი;
- ანტიდოპინგური სწავლების მეთოდოლოგიის ეფექტიანობის შეფასება სწავლების/ტრენინგის წინ და შემდეგ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების შედარებითი ანალიზის საფუძველზე;
- დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში სპორტული ქცევის ეთიკის მეცადინეობათა ეფექტურობის შეფასება;

### 1.2. კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს ანტიდოპინგური პოლიტიკის, ჭეშმარიტი სპორტული სულისკვეთებისა და ანტიდოპინგური განწყობების განვითარების სამეცნიერო-კვლევითი მხარდაჭერა.

ამ მიზნებიდან გამომდინარე კვლევა კონცენტრირებულია შემდეგ ამოცანებზე:

- დოპინგის მოხმარების, როგორც სპორტის სამყაროს წინაშე არსებული გამოწვევის ანალიზი და შეფასება საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე;
- საქართველოში ამჟამად არსებული „დოპინგ-კლიმატის“ ობიექტური შესწავლა და შეფასება
- სპორტსმენთა ცოდნის/ინფორმირებულობის დონისა და განწყობების გამოვლენა შემდეგი საკითხების მიმართ:
  1. ანტიდოპინგური წესები და სანქციები;
  2. აკრძალული ნივთიერებების და მეთოდების ორგანიზმზე ზემოქმედების მექანიზმები მოკლე და ხანგრძლივვადიანი გამოყენების შედეგების გათვალისწინებით;
  3. აკრძალული ნივთიერებების და მეთოდების მოხმარების და გამოყენების გამოვლენა-შემოწმების პროცედურები, მათ პერიოდულობაზე, სიზუსტეზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე ფოკუსირებით;
  4. კვებითი დანამატების გამოყენების შედეგად დოპინგ-რისკების არსებობა;
  5. ამჟამად არსებული საგანმანათლებლო პროგრამები;
  6. სახელმწიფო ანტიდოპინგური კამპანია.
- იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც დოპინგის მიმართ სპორტსმენთა დამოკიდებულების ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.“

## 2. მეთოდოლოგია.

ანტიდოპინგური პოლიტიკის ეფექტიანობის საკითხი მრავალგანზომილებიანია და მის თითოეულ მდგენელს (სამართლებრივი ბაზა, ეთიკის ნორმები, ღირებულებები, ბიო-სამედიცინო მიღწევები და სირთულეები, საგანმანათლებლო პროგრამები, ფინანსები, მენეჯმენტი, ინტერესთა ჯგუფები და ა.შ.) უნიკალური დანიშნულება გააჩნია. ფაქტორთა ასეთი მრავალფეროვნების პირობებში, ცხადია, დგება როგორც მულტიდისციპლინური მიდგომის, ისე, თითოეული მათგანის სიღრმისეული კვლევის ამოცანა. შესაბამისად, კვლევის დიზაინის შემუშავება განხორციელდა ტრიანგულაციური მიდგომის საფუძველზე.

კვლევის საწყის ეტაპზე განხორციელდა სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა თეორიული წყაროების, დოკუმენტებისა და მსგავსი კვლევების კრიტიკული ანალიზი.

საკვლევი საკითხის კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, მისი მრავალმხრივი და კონსისტენტური გაგების მიღწევის მიზნით საკითხის ყოვლისმომცველი და თანმიმდევრული გაგების მისაღებად, ემპირიული ეტაპისათვის შემუშავდა შერეულ მეთოდთა კვლევის (Mixed Methods Research: MMR) დიზაინი. როგორც მეთოდოლოგია, შერეულ მეთოდთა კვლევა გულისხმობს ფილოსოფიურ მოსაზრებებს, რომლებიც განსაზღვრავს ერთიდაიგივე კვლევის ფარგლებში სხვადასხვა წყაროდან მონაცემთა მოპოვებისა და გაანალიზების ორიენტირებს MMR მოიცავს ფილოსოფიურ დაშვებებს, რათა უზრუნველყოს მიმართულებები მრავალი წყაროდან მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის ერთ კვლევაში (14).

ემპირიული კვლევა განხორციელდა თანმიმდევრული ახსნის (Sequential explanatory) მეთოდით. განმარტებითი თანმიმდევრული დიზაინის შექმნა ხდება ორ განსხვავებული ინტერაქტიული ფაზის მეშვეობით. დაწყებული რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებითა და ანალიზით, პირველი ფაზის რაოდენობრივი შედეგების გაფართოების მიზნით, რასაც მოჰყვება მეორე, თვისებრივი ფაზის დიზაინი რაოდენობრივი დასკვნების საფუძველზე (15,16,17,18).

კვლევის პირველ ფაზას წარმოადგენდა რაოდენობრივი კვლევა. რაოდენობრივი კვლევის სამიზნე ჯგუფად შეირჩა ის ეროვნული სპორტული ფედე-

რაციები, რომლებსაც საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოსთან ურთიერთ თანამშრომლობის ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული.

შერჩევა განხორციელდა ორსაფეხურიანი სტრატეგიკის მეტოდით. სტრატეგიკის ცვლადს წარმოადგენდა სპორტის სახეობა, რომელიც განისაზღვრა ორი კატეგორიით: სათამაშო სპორტი და ინდივიდუალური სპორტი. შერჩევის პირველ ეტაპზე მოხდა პროპორციული გადანაწილება სტრატეგიაში. უშუალოდ რესპოდენტების შერჩევა განხორციელდა ზომის პროპორციული ალბათობით შერჩევის (Proportional Probability Sampling:PPS) მეტოდით.

გამოკითხვა ჩატარდა ორ ტალღად. თითოეულ ტალღაში მონაწილეობდა 200 რესპოდენტი.

მონაცემთა დამუშავება და სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა IBM SPSS 23 ვერსიით. გამოყენებულია როგორც აღწერითი სტატისტიკის (ერთგანზომილებიანი ანალიზი, კორელაციური ანალიზი), ისე - დასკვნითი სტატისტიკის (ფაქტორული ანალიზი, წრფივი და ლოგისტიკური რეგრესიული ანალიზები; ფაქტორული ანალიზი, ინდექსის/აბსოლუტური სკალის ფორმირება)

კვლევის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენდა მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს კითხვარი: “სოციალური მეცნიერების კვლევის პაკეტი ანტიდოპინგური ორგანიზაციებისათვის“, (Social Science research package for anti-doping organizations WADA 2015) დანართი N 1, რომელმაც გაიარა საკვლევ პოპულაციასთან ადაპტაციის პროცედურა.

გამოკითხვა განხორციელდა თვითადმინისტრირებადი ფორმით, მაგრამ სპეციალურად მომზადებული ინტერვიუერის თანხლებით, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, სპორტსმენს უწევდა შესაბამის კონსულტაციას.

კვლევის ცდომილება შეადგენს მაქსიმუმ 7%-ს 95%-იანი გარანტიით .

შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენდა აღნიშნული ეროვნული სპორტული ფედერაციების მიერ მოწოდებული წევრების ელექტრონული ბაზა, რომელიც მოიცავდა საკონტაქტო ინფორმაციას თითოეული წევრის შესახებ.

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა ორ ტალღად: თავდაპირველად გამოიკითხა 215 სპორტსმენი (პირველი ტალღა). გამოკითხვის შემდეგ მათ ჩაუტარდათ ტრენინგი



მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს საგანმანათლებლო რესურსის მიხედვით და განხორციელდა ხელახალი გამოკითხვა იგივე კითხვარით (მეორე ტალდა).

მეორე ტალდაში მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ იმ რესპონდენტებმა, რომლებმაც სრულყოფილად გაიარეს ტრენინგი და ინფორმირებული თანხმობა განაცხადეს კვლევის დასკვნით ეტაპში მონაწილეობაზე. თუ რომელიმე რესპონდენტმა უარი თქვა, დატოვა ტრენინგი, ანდა უარი განაცხადა მეორე ტალდაში მონაწილეობაზე, მოხდა შესაბამისი ინფორმაციის ამოღება პირველი ტალდის ბაზიდანაც. (19)

კვლევის მეორე ფაზაზე ჩატარდა კომბინირებული ორ ეტაპიანი თვისებრივი კვლევა: 6 ფოკუს-ჯგუფი და 8 სიღრმისეული ინტერვიუ.

ფოკუს-ჯგუფების შემადგენლობა და ძირითადი საკვლევი კითხვები განისაზღვრა რაოდენობრივი კვლევის ძირითადი შედეგების მიხედვით, ხოლო სიღრმისეული ინტერვიუების ძირითადი საკვლევი კითხვები განისაზღვრა როგორც რაოდენობრივი კვლევის, ისე - ფოკუს-ჯგუფების ძირითადი შედეგების გათვალისწინებით. თვისებრივი კვლევის ორივე ეტაპის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა რაოდენობრივი კვლევის ძირითადი შედეგების ახსნა, შევსება და კონტექსტუალიზაცია.

თვისებრივი კვლევის ორივე ეტაპის ძირითად ინსტრუმენტებს წარმოადგენდა ნახევრადფოკუსირებული კითხვარები/გაიდები.

ორივე შემთხვევაში, რესპონდენტთა შერჩევა განხორციელდა მიზნობრივი შერჩევის ტექნიკით.

თვისებრივი კვლევის სხვადასხვა ფაზის შერჩევებს საფუძვლად დაედო რაოდენობრივი კვლევის სტატისტიკური ანალიზის შედეგები.

ფოკუს-ჯგუფების სამიზნე აუდიტორიად შეირჩა ზემოაღნიშნულ საკვლევ სპორტულ ფედერაციებში გაერთიანებული სპორტსმენები. შერჩევის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენდა სქესი, ასაკი, საერთაშორისო ან ეროვნულ დონეზე ასპარეზობის გამოცდილება; პირადი ან/და გუნდური მიღწევები. თითოეულ ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობდა 8 რესპონდენტი. ფოკუს-ჯგუფის არცერთი მონაწილე არ იყო ის სპორტსმენი, რომელიც წარმოადგენდა რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტს.

სიღრმისეული ინტერვიუების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ საკვლევი სპორტული ფედერაციების მწვრთნელები.

სულ გამოიკითხა 8 მწვრთნელი. მათი შერჩევა განხორციელდა სქესის, მწვრთნელად მუშაობის გამოცდილების, დამსახურებისა და სპორტსმენთა ასაკობრივ ჯგუფებთან მუშაობის გამოცდილების (ბავშვთა სპორტი, ზრდასრულთა სპორტი) მიხედვით.

მონაცემთა ანალიზის დასკვნით ეტაპზე (რაოდენობრივ მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის, თვისებრივ მონაცემთა შეგროვების, ანალიზისათვის მომზადებისა და კოდირების შემდეგ) განხორციელდა სიღრმისეული ინტერვიუების, ფოკუს-ჯგუფების და რაოდენობრივი კვლევის მონაცემებისა და შედეგების ინტეგრაცია მეთოდოლოგიური ტრიანგულაციის მიღწევის მიზნით.

ემპირიული კვლევა ჩატარდა 2019-2020 წლებში, თბილისში.

### 3. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

WADC განმარტავს რომ ერთი ან რამოდენიმე ანტიდოპინგური წესის დარღვევას ეწოდება დოპინგი. კოდექსის 2.1-2.11 მუხლებით განისაზღვრება ანტიდოპინგური წესების დარღვევის სახეები. კოდექსში შეტყნილი აკრძალული სია არის რვა საერთაშორისო სტანდარტიდან ერთ-ერთი, რომელიც სავალდებულოა მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის ყველა ხელმომწერისთვის. ის ადგენს, თუ რა ნივთიერებები და მეთოდებია აკრძალული როგორც საშეჯიბრო, ისე არასაშეჯიბრო პერიოდში და რომელი ნივთიერებები აკრძალულია კონკრეტულ სპორტის სახეობებში.

სია დაყოფილია ნივთიერებებად და მეთოდებად, რომლებიც:

აკრძალულია ნებისმიერ დროს, ან აკრძალულია მხოლოდ საშეჯიბრო პერიოდში აკრძალული ნივთიერებები და მეთოდები კლასიფიცირებულია შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

S0. დაურეგისტრირებელი ნივთიერებები;

S1. ანაბოლური აგენტები;

S2. პეპტიდური ჰორმონები, ზრდის ფაქტორები, მასთან დაკავშირებული ნივთიერებები და მიმეტიკები;

S3. ბეტა-2 აგონისტები;

S4. ჰორმონები და მეტაბოლური მოდულატორები;

S5. დიურეტიკები და შემნიღბველი საშუალებები;

S6. სტიმულატორები (საშეჯიბრო);

S7. ნარკოტიკები (საშეჯიბრო);

S8. კანაბინოიდები (საშეჯიბრო);

S9. გლუკოკორტიკოიდები (საშეჯიბრო);

M1. სისხლისა და სისხლის კომპონენტების მანიპულირება;

M2. ქიმიური და ფიზიკური მანიპულირება;

M3. გენისა და უჯრედის დოპინგი; (20)

#### თერაპიული გამოყენების გამონაკლისი

აკრძალული ნივთიერების ან მისი მეტაბოლიტების და მარკერების არსებობა, მათი გამოყენება ან გამოყენების მცდელობა, ფლობა ან ადმინისტრირება ან

ადმინისტრირების მცდელობა არ ჩაითვლება ანტიდოპინგური წესების დარღვევად თუ ის შეესაბამება თერაპიული გამოყენების გამონაკლისს, რომელიც გაცემულია თერაპიული გამოყენების გამონაკლისის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად

**თერაპიული გამოყენების ნებართვის (TUE) გაცემის კრიტერიუმები:**

- ჯანმრთელობის მდგომარეობა: აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის გამოყენებლობის შემთხვევაში სპორტსმენის ჯანმრთელობის გარდაუვალი გაუარესება.
- სპორტული მიღწევის გასაუმჯობესებელი ეფექტის არარსებობა (ჯანმრთელობის ნორმალური მდგომარეობის აღდგენის გარდა)
- გონივრული თერაპიული ალტერნატივის არარსებობა
- წარსულში ბოროტად გამოყენების არარსებობა: სპორტსმენის პათოლოგიური მდგომარეობა არ უნდა იყოს გამოწვეული აკრძალული ნივთიერებების ან მეთოდების ბოროტად გამოყენებით წარსულში (21)

„სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ იუნესკოს საერთაშორისო კონვენციაში მკაფიოდ არის მითითებული შემდეგი:

„მაღალკონკურენტულ სპორტულ გარემოში სპორტსმენები და მათი დამხმარე პერსონალი მზარდი ზეწოლის ქვეშ არიან, რომ გაიმარჯვონ. შედეგად, მათ შეუძლიათ გამოიყენონ სპორტული შედეგების გამაუმჯობესებელი ნივთიერებები და მეთოდები. ეს ფენომენი არ შემოიფარგლება მხოლოდ ელიტარული სპორტსმენებით; ახალგაზრდები და სპორტის მოყვარულებიც არიან დოპინგში ჩართული. დოპინგი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემაა. ის საფრთხეს უქმნის სპორტის ღირებულებებს, ეთიკას და სამართლიანობას და მასში მონაწილე პირთა ჯანმრთელობას“ (22).

დოპინგთან ბრძოლა არის თითოეული სპორტსმენის ბრძოლა. ღირსების, ადამიანური სრულყოფილებისა და სამართლიანი თამაშის იდეალები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ოლიმპიური მოძრაობისთვის. ნებისმიერ ფასად მოგება, არ შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს, განსაკუთრებით, სპორტსმენების მიერ (23).

საკითხის აქტუალობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ სოციალურ მეცნიერებათა წარმომადგენლები დიდხანს არ ჩქარობდნენ დოპინგისადმი

სამეცნიერო-ანალიტიკური ინტერესის ფორსირებას. თუმცა, დადებითი დამოკიდებულება დოპინგის გამოყენების პრევენციის მიმართულებით თავიდანვე გამოიკვეთა (24,25).

ამჟამად, დოპინგთან დაკავშირებული კვლევებისა და დოკუმენტების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ თანდათან იკვეთება საკითხისადმი კომპლექსური, თანმიმდევრული, სიღრმისეული მიდგომის საჭიროება მისი ყველა ძირითადი ასპექტის (საგანმანათლებლო, საინფორმაციო, ბიოეთიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სამედიცინო, ბიოლოგიური, ტექნოლოგიური და ა. შ.) გათვალისწინებით.

სპორტის სპეციფიური თავისებურება - შეჯიბრების აუცილებლობა - პირდაპირ და მნიშვნელოვნად მოქმედებს პიროვნების მორალურ-ეთიკურ ფორმირებაზე.

შეჯიბრების წესები ემყარება „მკაცრი კონკურენციის“ საფუძვლებს. პირველობისათვის ბრძოლის აუცილებლობა სპორტსმენებსა და მწვრთნელებს ხშირად აიძულებს ნებისმიერი, მათ შორის, არაეთიკური საშუალებებითაც იზრუნონ მოგებისათვის.

გამარჯვების, მომავალი ცხოვრების საუკეთესოდ მოწყობის სურვილით შეპყრობილი სპორტსმენი – ამბიციური ახალგაზრდა პიროვნება, თანახმაა მიზნის მისაღწევად ჯანმრთელობით ზღოს და ზოგჯერ საკუთარი სიცოცხლეც კი საფრთხის ქვეშ დააყენოს. უნდა ითქვას, რომ, ხშირ შემთხვევაში, სპორტსმენი ბოლომდე არ არის ინფორმირებული დოპინგის მიღების ყველა შესაძლო შედეგის შესახებ, ზოგჯერ თავს იტყუებს და ზედმეტად სჯერა საკუთარი ჯანმრთელობის ან იმის, რომ შეძლებს მის მიერ დოპინგის მიღების ფაქტის დაფარვას.

სპორტსმენის სომატური ჯანმრთელობის დაზიანების გარდა, დოპინგის მიღება არაკეთილსინდისიერ კონკურენტულ გარემოს ქმნის. დაუმსახურებლად მოპოვებული ჯილდო ანგრევს ადამიანის ზნეობრივ მხარეს, არღვევს სპორტის მორალურ და ეთიკურ საფუძვლებს. შესაბამისად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, დოპინგის თემა ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ინტენსიური კვლევების ობიექტად იქცა.

სპორტში, დოპინგის პრობლემის ჭრილში, სოციალური მეცნიერებები საშუალებას გვაძლევს სპორტსმენების მიერ აკრძალულ ნივთიერებების გამოყენების მიზნებსა და მიზეზებზე ვისაუბროთ, სიღრმისეულად ჩავწვდეთ ამ პრობლემის არსს და გამოსავლის მიხედვით მეცნიერულად დასაბუთებული გზა გამოვინახოთ (26)

ასევე გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს სოციალური ფსიქოლოგიის ასპექტები რის სასარგებლოდაც მეტყველებს ბოლოდროინდელი ემპირიული კვლევები. ახალგაზრდა სპორტსმენებში თვითკონტროლისა და თვითრეგულირების უნარების ჩამოყალიბება და განვითარება, სპორტში დოპინგის პრევენციის ეფექტური გზაა. 410 ახალგაზრდა ავსტრალიელ სპორტსმენზე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა რომ, მაღალი თვითკონტროლი დადებითად აისახება დოპინგის გამოყენების განზრახვასა და დამოკიდებულებასთან, ხოლო დაბალი თვითკონტროლის მქონე სპორტსმენებს გაზრდილი დამოკიდებულება და განზრახვები ჰქონდათ დოპინგის გამოყენების მიმართ (27).

აღნიშნული კვლევები ეხება ფსიქო-სოციალურ კორელაციებს და სპორტში დოპინგის გამოყენების პროგნოზირებას, სპორტსმენთა (მოზარდი, ელიტარული და კონკურენტუნარიანი), ცოდნას, დამოკიდებულებას, რწმენას და ქცევას დოპინგთან მიმართებაში, ანტიდოპინგური განათლების პროგრამების ეფექტურობას და კონკრეტულ მოდელებსა და თეორიებს დოპინგის შესახებ (28).(29). (30)

ახალი, შერეული კვლევების სინთეზი მკვლევარებს, ანტიდოპინგური პოლიტიკის შემქმნელებსა და პრაქტიკოსებს საშუალებას აძლევს ამ სფეროში მიმდინარე პროცესების ამომწურავი მიმოხილვა მოახდინონ (31)

ამ სფეროში მხოლოდ რამდენიმე გამოკვლევა იქნა განხორციელებული ანტიდოპინგური განათლების პროგრამის შედეგების წარმოდგენის ან დოპინგის საწინააღმდეგო თეორიის / მოდელის შესამუშავებლად (32).

სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა პირველადი პრევენციული ზომების განხორციელება. ინტერვენციები საგანმანათლებლო პროგრამების სახით, გათვლილი უნდა იყოს სპორტსმენებზე და მათ თანმხლებ პერსონალზე. ჩატარებულ კვლევაში დოპინგის ცოდნის, დოპინგთან დამოკიდებულებისა და რეალური პრევენციული ზომების

შესახებ გამოვლინდა რომ: დოპინგზე ყველა მწვრთნელის 89,9% უკვე ფიქრობდა და აღნიშნეს რომ, დოპინგზე საუბარი მათ სპორტსმენებთან ყოველდღიური ვარჯიშის ნაწილია (52%). მწვრთნელების აზრით, დოპინგის შესახებ სპორტსმენების ინფორმირება უნდა დაიწყოს 10 – დან 15 წლამდე ასაკში (40,2%). სპორტსმენების მხოლოდ 24,6% ცდილობს აქტიურად ინფორმაციის მიღებას, სპორტსმენები თვლიან, რომ საჭიროა გაიზარდოს საგანმანათლებლო საქმიანობა მათთვის, მწვრთნელებისა და ექიმებისათვის. კვლევის მნიშვნელოვან მიგნებად უნდა ჩაითვალოს, რომ სპორტსმენტა ჯანმრთელობის პოტენციური რისკების შესახებ განათლება არ ამცირებს უკანონო ნივთიერებების გამოყენებას (33).

გერმანელ სპორტსმენებს, რომლებმაც დამატებითი განათლება მიიღეს დოპინგის პრევენციის ეროვნული გეგმის "დამატებითი კლასების" სახით, მნიშვნელოვნად მეტი ცოდნა ჰქონდათ დოპინგის შესახებ, ვიდრე სპორტსმენებს, რომლებმაც არ მიიღეს ასეთი განათლება, მაგრამ ეს არ აისახებოდა მათ რეალურ ქცევაში (34).

სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი მიმართულება არის სპორტსმენების მიერ ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამო, მათზე დაკისრებული ფინანსური და სოციალური სანქციები და დისკვალიფიკაცია. დანიელი, ელიტური სპორტსმენების კვლევის შედეგად დადასტურდა რომ, გამოკითხულ სპორტსმენტა 67% შემაკავებელ ფაქტორად უფრო მეტად სოციალურ სანქციებს თვლიდა, - ვიდრე დისკვალიფიკაციას (35)

სპორტსმენები, რომლებიც თვლიან, რომ მორალი მთავარია მათ თვით-შეფასებაში, ნაკლებად იყენებენ აკრძალულ ნივთიერებებს, ამორალურობისაკენ დაბალი მიდრეკილების და მძაფრი დანაშაულის შეგრძნების გამო (36).

2019 წელს ჩატარებულ კვლევაში სპორტსმენების უმეტესობამ მიუთითა ანტიდოპინგური განათლების ნაკლებობაზე. ზოგიერთმა სპორტსმენმა თქვა, რომ ფსიქოლოგი ან მწვრთნელი დოპინგს მხოლოდ მოკლედ, გაკვრით ახსენებს. სპორტსმენების უმეტესობა თანხმდებოდა, რომ არა მხოლოდ სპორტსმენები უნდა იყვნენ ჩართულნი ანტიდოპინგურ განათლებაში, არამედ მშობლები, მწვრთნელები და ექიმები. სპორტსმენებმა გამოხატეს აზრი მოკლე და ხშირი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროების შესახებ (37).

სპორტსმენებს, რომლებიც იღებენ ანტიდოპინგურ განათლებას ერთზე მეტჯერ, აქვთ უფრო ზუსტი ცოდნა, ვიდრე ამ თემაზე ნაკლებად ინფორმირებულ სპორტსმენებს, რაც თავის მხრივ სპორტსმენტა პერმანენტული განათლების მნიშვნელობაზე მიუთითებს (38).

შოტლანდიელმა ელიტურმა სპორტსმენებმა შეავსეს ანკეტა (N=177) რითაც შეისწავლებოდა სპორტული შედეგების გამაუმჯობესებელი პრეპარატების მიღებისადმი დამოკიდებულება, მიზნის მიღწევის მიმართულებები და სამოტივაციო კლიმატის აღქმა. კვლევამ აჩვენა რომ, ინდივიდუალური და სიტუაციური ფაქტორები მოქმედებენ როგორც დამცავი, ასევე როგორც რისკ ფაქტორები სპორტში დოპინგის გამოყენების მიმართულებით (39).

საბერძნეთისა და ავსტრალიის სპორტსმენებისა და მწვრთნელების მონაწილეობით ჩატარებულ ხარისხობრივ კვლევაში გამოვლინდა იმ ფაქტორების რიგი, რომელიც გავლენას ახდენდა სპორტსმენების ანტიდოპინგურ განწყობაზე. გამოიკვეთა ხუთი ძირითადი ფაქტორი: თანატოლების გავლენა, მწვრთნელის გავლენა, პოზიცია დოპინგის მიმართ (doping stance) ე.წ. „დოპინგური სტიგმა“ და გარემოცვის კულტურა.

ანტიდოპინგური დამოკიდებულების მაფორმირებელი ძირითადი ფაქტორია დოპინგის საწინააღმდეგო კულტურის ჩამოყალიბება და განვითარება სპორტსმენებში. ჩატარებული კვლევების მონაცემთა ანალიზი გვაძლევს საფუძველს გამოვკვეთოთ აზრი საზოგადოების ანტიდოპინგურ განათლებაში ჩართვის აუცილებლობაზე (40)

დოპინგის სისტემატური გამოყენების გამო შემფოთება და ყოველდღიური ბრძოლა მის თავიდან ასაცილებლად, სამეცნიერო კვლევების საფუძველზე დამყარებულ მუდმივად მზარდ ინტერვენციების განხორციელებას, საიმედო და ხარჯეფექტური სტრატეგიების გამოყენებას მოითხოვს (41)

მკვლევრებმა მწვრთნელთა, სპორტულ ექიმთა, სპორტსმენტა დამხმარე პერსონალის, სპორტული დარბაზების მომხმარებლებისა და ფართო საზოგადოების ცოდნა, დამოკიდებულება და რწმენა შეისწავლეს, რაც ამ საკითხისადმი საზოგადოების დამოკიდებულების, ე.წ. „დოპინგ კლიმატის“ განსაზღვრის საფუძველი შეიქნა (42).



აღნიშნულ სფეროში მხოლოდ რამდენიმე გამოკვლევა იქნა განხორციელებული ანტიდოპინგური განათლების პროგრამის შედეგების წარმოდგენის ან ანტიდოპინგის საწინააღმდეგო თეორიის / მოდელის შესამუშავებლად (43,44).

საკუთარი თავისთვის „სუფთა“ კონცეფციის ინდივიდუალური მიდგომის აღიარება, პატივისცემა და ქცევად ჩამოყალიბება (კულტივირება) „სუფთა“ სპორტის განვითარების ძირითადი ქვაკუთხედაა (45).

ანტიდოპინგურ საგანმანათლებლო პროგრამებში მოტივაციის პრინციპების განხილვა და მასზე მეტი ყურადღების დათმობა, შეიძლება გახდეს მწვრთნელების და მათი სპორტსმენების დოპინგისადმი დამოკიდებულების შემცირების გამომწვევი ფაქტორი (მიზეზი) (46).

დოპინგის პრევენცია რჩება გამოწვევად თითოეული ქვეყნის ანტიდოპინგური ორგანიზაციისათვის. ანტიდოპინგური განათლების მიმართ მეტი ყურადღების მიქცევა პრევენციის პოტენციურ გაუმჯობესებას უზრუნველყოფს (47).

ამასთან, ჩვენს მიერ მიმოხილული კვლევების არაერთგვარობა ნიშნავს, რომ საბოლოო დასკვნები სპორტში დოპინგის პროფილაქტიკასთან დაკავშირებით, ამჟამად ბუნდოვანია, რასაც ზოგიერთი მკვლევარიც აღნიშნავს (48).

ევროპის საბჭოს მიერ მიღებული სპორტული ეთიკის კოდექსის მიხედვით, გზა გამარჯვებისკენ, სამართლიანი თამაშით უნდა იქნეს მიღწეული: «სამართლიანი თამაში - გზა გამარჯვებისკენ» (Fair play — the winning way).

„ფეარ პლეი“ გულისხმობს მეგობრობის კონცეფციას, სხვის პატივისცემას და მორალის ნორმების დაცვის აუცილებლობას. ის განისაზღვრება როგორც მსოფლმხედველობრივი სისტემა და არა როგორც მხოლოდ ერთჯერადი ქცევის გზა, რაც ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს პრობლემებს, რომლებიც უკავშირდება მოტყუებას, თვალთმაქცობას, დოპინგს, ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ძალადობის გამოყენებას.

შესაბამისად, ლოგიკურად იკვეთება ბიოეთიკის განსაკუთრებული მნიშვნელობა პრობლემის როგორც კვლევის, ისე - მართვის თვალსაზრისით. ბიოეთიკა ტრივიალური სამკუთხედის - პაციენტი - ექიმი - საზოგადოება -

წევრების ეთიკური ურთიერთმიმართების საკითხებს სწავლობს, ადგენს საყოველთაო პრინციპებსა და წესებს, მათი დაცვის მექანიზმებს გვაწვდის (49).

ამ სამკუთხედში პაციენტის ნაცვლად თამამად შეგვიძლია ის სპორტსმენი ჩავსვათ, რომელიც ნებსით თუ უნებლიედ რეგულარულად იღებს უმეტესად საკმაოდ ძლიერმოქმედ წამალს/ქიმიურ სუბსტანციას.

„არსებობს ბიოეთიკის ოთხი პრინციპი: „არ ავნო“, „აკეთე სიკეთე“, პაციენტის ავტონომიის პატივისცემისა და სამართლიანობის პრინციპები. აგრეთვე ორი წესი, რომლებიც ავტონომიის პატივისცემის პრინციპიდან გამომდინარეობს - სიმართლის თქმისა და კონფიდენციალობისა.“ (50).

სპორტსმენის მიერ ექიმის თანხმობით/რეკომენდაციით მიცემული სადოპინგო მოქმედების წამლისა თუ სუბსტანციის მიცემა არღვევს ზემომოტანილ ყველა პრინციპსა და წესს.

პრინციპი „არ ავნო“ დარღვეულია სრულად ჯანმრთელი ახალგაზრდისთვის იმ ნაერთის მიწოდებით, რომელიც მას ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის არ ჭირდება და პირიქით, იწვევს მის დაზიანებას როგორც მყისიერად, ასევე უახლოეს და შორეულ პერსპექტივაში. ძირთადი პასუხისმგებლობა, ამ შემთხვევაში, ექიმის მხარესაა.

პრინციპი „აკეთე სიკეთე“ გამოირიცხება ზემოხსენებულ განხილული პრინციპის დარღვევის აღიარებით. დოპინგის მიღებით მოტანილი „სიკეთე“ დაუმსახურებელი, ეფემერულია და ღრმად დამაზიანებელია როგორც პიროვნულ, ასევე სოციალურ დონეზე. სუბიექტს უჩნდება კანონის ავლით დაუმსახურებელი გამარჯვების მოპოვების შესაძლებლობის აღქმა და ის მომავალშიც შეეცდება მსგავსი მეთოდებით მიაღწიოს წარმატებას. საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკაა, რომ წარმატებულ სპორტსმენებს, აქტიური სპორტული საქმიანობის შემდეგ, გზა ეხსნებათ მაღალი სოციალური და პოლიტიკური პოზიციებისა და კარიერისაკენ. ამ შემთხვევაში კი ამ სუბიექტის „გამოცდილება“ სცილდება პიროვნულ დონეს და მის მიერ მოტანილი ზიანის მასშტაბი გაცილებით ღრმა და მძიმე ხდება. ეს კორუფციის, ნეპოტიზმის და საზოგადოებრივი დემორალიზაციის ხელშემწყობ პირობად შეიძლება შეიქნეს. აქ პასუხისმგებლობას ყველა მხარე თანაბრად ინაწილებს.

„პაციენტის ავტონომიის პატივისცემის პრინციპი“ ირღვევა იმ შემთხვევაში, როცა ახალგაზრდა სპორტსმენის ნებაზე შეგნებით თუ შეუგნებლად ხდება ზეწოლა დოპინგის მიღების მიზნით. როდესაც ხდება იმ აზრის შეგონება, რომ „დღეს ყველა ამას აკეთებს“ ან „სხვანაირად ვერაფერს გახდები“ და ა.შ. ამ შემთხვევაში მეტად იკვეთება მწვრთნელის როლი.

სამართლიანობის პრინციპი ზემოხსენებული სამივე პრინციპიდან გამომდინარეობს და ის თანაბრობას გულისხმობს როგორც პიროვნულ, ასევე საზოგადოებრივ დონეზე. ეს ფილოსოფიური კატეგორია უდევს საფუძვლად საყოველთაოდ აღიარებულ და სლოგანად ქცეულ Fairplay-ს ცნებას. სამართლიანობა უნდა იყოს არამარტო პიროვნების არჩევანი - იქნება ის სამართლიანი თუ არა, არამედ ის საზოგადოებრივი მორალის მაქსიმა უნდა იყოს და სხვა დამოკიდებულება, სულ ცოტა, არაეთიკურად უნდა ითვლებოდეს.

სამართლის წესის დარღვევა ხდება იმ შემთხვევაში, როცა სპორტსმენს რეალურად არ აქვს გაცნობიერებული დოპინგის მიღების ყველა შესაძლო შედეგები და სრულად არის მინდობილი მწვრთნელსა და ექიმს. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ამ ორი უკანასკნელის მიმართ განსაკუთრებით იზრდება და, ვფიქრობთ, სცილდება ეთიკური დანაშაულის საზღვრებს.

მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტომ კვლევის ფოკუსის მხარდასაჭერად, სოციალური მეცნიერების კვლევის ახალი სტრატეგია 2020-2024 (SSR სტრატეგია) შეიმუშავა ახალი და გაფართოებული სოციალური მეცნიერების კვლევის პროგრამისთვის (SSRP), რომელიც უფრო პროაქტიული და სტრატეგიულია.

SSR სტრატეგია მიზნად ისახავს მაქსიმალურად გაზარდოს სარგებლობა WADA-ს დაინტერესებული მხარეებისთვის და გადაჭრას გამოწვევები სოციალური მეცნიერების კვლევის სფეროში.

SSRP-ის ძირითადი მიზანია სოციალური მეცნიერების კვლევაში ინვესტირება, რათა შეინარჩუნოს და გაიზარდოს სპორტსმენების ქცევების გაგება, რომლის გაძლიერება ან პრევენცია WADA-ს ცდილობს, იმ სოციალურ და გარემო ფაქტორებთან ერთად, რომლებიც გავლენას ახდენენ სპორტსმენების ქცევაზე. ასეთი გაგება გააუმჯობესებს WADA-ს და გლობალური სუფთა სპორტული საზოგადოების

უნარს განავითაროს ეფექტური პოლიტიკა და პროგრამები, რითაც გააძლიერებს სპორტულ გამოცდილებას ყველასთვის.

მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს სოციალური მეცნიერებების კვლევის საგრანტო პროგრამა 2005 წლიდან არის სოციალური მეცნიერებების კვლევის დაფინანსების მთავარი მექანიზმი.

SSR სტრატეგიის შემუშავება აფართოებს სოციალური მეცნიერებების კვლევის აქტივობების ფარგლებს, საგრანტო პროგრამა ერთ-ერთი მთავარი ინიციატივაა. SSR სტრატეგიის განხორციელების მხარდასაჭერად, საგრანტო პროგრამა გადაიხედა 2020 წლის ოქტომბრიდან.

SSR 12 პრიორიტეტიდან მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო განსაკუთრებით დაინტერესებულია შემდეგი ექვსი პრიორიტეტით:

- სპორტსმენის გზა და სპორტსმენის გამოცდილება - რა ფაქტორები უწყობს ხელს დოპინგ მოწყვლადობას და რა ფაქტორებია დამცავი სპორტსმენის გზის თითოეულ ეტაპზე? როგორ დამოკიდებულეა აქვთ სპორტსმენებს ანტიდოპინგური სისტემის მიმართ?
- სუფთა სპორტული ქცევები - რა არის ის ქცევები, რომლებიც ხელს უწყობს სუფთა სპორტს?
- სპორტსმენების დამხმარე პერსონალის (ASP) გამოცდილება ანტიდოპინგში – როგორ განიცდის ASP ანტიდოპინგს და როგორ ურთიერთქმედებს ეს მათ როლთან სუფთა სპორტში?
- სპორტსმენების დამხმარე პერსონალის როლი და გავლენა - რა როლი და გავლენა აქვს ASP-ს სუფთა სპორტულ ქცევაზე და დოპინგზე დაუცველობაზე სპორტსმენების გზის თითოეულ ეტაპზე?
- ანტიდოპინგური მოქმედების ეფექტურობა – რა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და ინტერვენციების კომპონენტები და პრინციპები, რომლებიც მაქსიმალურად გაზრდის სუფთა სპორტული ქცევის განვითარებას?
- ჰორიზონტის სკანირება – სხვა ინდუსტრიებიდან/სექტორებიდან რა სტრატეგიები და სწავლა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სუფთა სპორტის/ანტიდოპინგისთვის? (51)
- 2023 წლის 21 ნოემბერს მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ მიიღო ეთიკის კოდექსი

#### 4. რაოდენობრივი კვლევა

##### 4.1 ზოგადი ინფორმაცია

ვინაიდან სპორტში დოპინგის გამოყენებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიმღებ ძირითად პირებს სპორტსმენები წარმოადგენენ (მათი უშუალო თანხმობის გარეშე ეს შეუძლებელი იქნებოდა), ანტიდოპინგური კამპანიის წარმატებით წარმართვისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების იდენტიფიცირება და სწორად შეფასება, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სპორტსმენთა დამოკიდებულების ფორმირებაზე დოპინგის გამოყენებისა და მისი შედეგების მიმართ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს საქართველოსთან მიმართებაში, სადაც მსგავსი კვლევა აქამდე არ ჩატარებული.

რაოდენობრივი კვლევის სამიზნე ჯგუფად შეირჩა ის ეროვნული სპორტული ფედერაციები, რომლებსაც საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოსთან ურთიერთ თანამშრომლობის ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული.

რაოდენობრივი კვლევის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენდა მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს კითხვარი: “სოციალური მეცნიერების კვლევის პაკეტი ანტიდოპინგური ორგანიზაციებისათვის“, რომელმაც გაიარა საკვლევ პოპულაციასთან ადაპტაციის პროცედურა. გამოკითხვა განხორციელდა თვითადმინისტრირებადი ფორმით, მაგრამ სპეციალურად მომზადებული ინტერვიუერის თანხლებით, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, სპორტსმენს უწევდა შესაბამის კონსულტაციას

შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენდა აღნიშნული ეროვნული სპორტული ფედერაციების მიერ მოწოდებული წევრების ელექტრონული ბაზა, რომელიც მოიცავდა საკონტაქტო ინფორმაციას თითოეული წევრის შესახებ. შერჩევა განხორციელდა ორსაფეხურიანი, სტრატეგიული-კლასტერული მეთოდით. სტრატეგიული ცვლადს წარმოადგენდა სპორტის სახეობა, რომელიც განისაზღვრა ორი კატეგორიით: სათამაშო სპორტი და ინდივიდუალური სპორტი. შერჩევის პირველ ეტაპზე მოხდა პროპორციული გადანაწილება სტრატეგიაში. უშუალოდ რესპოდენტების შერჩევა განხორციელდა PPS - მეთოდით.

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა ორ ტალღად: თავდაპირველად გამოიკითხა 215 სპორტსმენი (პირველი ტალღა). გამოკითხვის შემდეგ მათ ჩაუტარდათ ტრენინგი მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს საგანმანათლებლო რესურსის მიხედვით და განხორციელდა ხელახალი გამოკითხვა იგივე კითხვარით (მეორე ტალღა).

მეორე ტალღაში მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ იმ რესპოდენტებმა, რომლებმაც სრულყოფილად გაიარეს ტრენინგი და ინფორმირებული თანხმობა განაცხადეს კვლევის დასკვნით ეტაპში მონაწილეობაზე. თუ რომელიმე რესპოდენტმა უარი თქვა, დატოვა ტრენინგი, ანდა უარი განაცხადა მეორე ტალღაში მონაწილეობაზე, მოხდა შესაბამისი ინფორმაციის ამოღება პირველი ტალღის ბაზიდანაც.

ორივე ტალღაში მონაწილეობდა - 200 რესპოდენტი, რაც უზრუნველყოფს კვლევის შედეგების 7% - იან ცდომილებას 95%-იანი გარანტიით (Ukleba, T. Et al, 2023).

სტრატეგიცირების ცვლადს წარმოადგენს სპორტის სახეობა, რომელიც განისაზღვრა ორი კატეგორიით: სათამაშო სპორტი და ინდივიდუალური სპორტი.

შერჩევის პირველ ეტაპზე მოხდა პროპორციული გადანაწილება სტრატებში. უშუალოდ რესპოდენტების შერჩევა განხორციელდა PPS - მეთოდით:


**ცხრილი 1 სათამაშო და ინდივიდუალურ სპორტში დაკავებული სპორტსმენების რაოდენობა**

სპორტის სახეობა	პროცენტული მაჩვენებელი გენერალურ ერთობლიობაში	გამოკითხულთა რაოდენობა
სათამაშო სპორტი	74.10%	148
ინდივიდუალური სპორტი	25.90%	52
	100.00%	200

სპორტსმენთა 22 % ქალია, ხოლო 78 % - კაცი.


**გრაფიკი 2 კვლევაში მონაწილე სპორტსმენების ასაკობრივი განაწილება**

მათი უმრავლესობა 21 წლამდე ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენელია:



სპორტსმენტა განათლების ხარისხი, მათი ასაკის განაწილების გათვალისწინებით, საკმაოდ მაღალია:

**გრაფიკი 3 კვლევაში მონაწილე სპორტსმენების განათლების ხარისხი**




სპორტსმენტა უმრავლესობა ამჟამად ან საერთოდ არ იღებს სპორტიდან შემოსავალს, ან მთელ შემოსავალს მხოლოდ სპორტიდან იღებს: ყველაზე დიდი

ნაწილი (46.22%) სპორტიდან არანაირ შემოსავალს არ იღებს, ხოლო 27.72%-ისათვის სპორტი შემოსავლის ერთადერთი წყაროა.

შემოსავლის შერეული წყაროები დაბალი სიხშირეებით არის წარმოდგენილი. ეს მაჩვენებლები, ნაწილობრივ, რესპონდენტთა ასაკის განაწილებით აიხსნება, მაგრამ, ამასთან ერთად, ვინაიდან დაახლოებით 60% სრულწლოვანია, ერთი მხრივ, სპორტსმენთა გარკვეული ნაწილის წინაშე მდგარ ფინანსურ გამოწვევებზე მიუთითებს, მეორე მხრივ კი იმ ფაქტზე, რომ დამატებითი შემოსავლების მოძიება, მათ შორის, სპორტული მიღწევების გამოყენებით, საქართველოში სირთულეს უნდა წარმოადგენდეს.

**გრაფიკი 4 კვლევაში მონაწილე სპორტსმენების შემოსავალი სპორტიდან**



სპორტსმენთა უმეტესობას (68.3%) მათ მთავარ სპორტის სახეობაში ასპარეზობის ხანგრძლივი - 5 ან მეტი წლის (ან სეზონის) გამოცდილება გააჩნია:

კითხვაზე, **რამდენი წელია ასპარეზობთ თქვენს ძირითად სპორტის სახეობაში?** მიღებული პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:



**ცხრილი 2 სპორტში ასპარეზობის ხანგრძლივობა**

1 წელზე ნაკლები	6.0%
1 ან 2 წელი	9.2%
2 წელზე მეტი მაგრამ 5 წელზე ნაკლები	16.5%
5 ან მეტი წელი	68.3%

მაღალია იმ შეჯიბრთა დონეც, რომლებშიც მათ მონაწილეობა აქვთ მიღებული - ფაქტობრივად, ყოველი მესამე სპორტსმენი (30.7%) პასუხობს, რომ ის მსოფლიო ჩემპიონატების ღონისძიებებში მონაწილეობდა, ხოლო 3.3% აქვს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის გამოცდილება.

აღნიშნული ინფორმაციის მიხედვით, კვლევის მონაწილეების კომპეტენცია კვლევის მიზნისა და ამოცანების რელევანტურად შეიძლება ჩაითვალოს. სპორტსმენთა დამოკიდებულება საკუთარი საქმიანობისა და კარიერული განვითარების პერსპექტივების მიმართ - პიროვნული ფაქტორი

სპორტსმენებს 3 ქულიან სკალაზე უნდა შეეფასებინათ, რამდენად კმაყოფილნი იქნებოდნენ სხვადასხვა სარგებლით, რომელსაც წარმატებული ასპარეზობის შემთხვევაში მიიღებდნენ.

თუ პირველი ტაღლის შედეგებს მაქსიმალური შეფასების - „კმაყოფილის“ მიხედვით დავალაგებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ:

**ცხრილი 3 რამდენად კმაყოფილი იქნებოდით ქვემოთ ჩამოთვლილი სარგებლით, რომელსაც წარმატებული ასპარეზობის შემთხვევაში მიიღებდით?**

ფინანსურად უზრუნველყოფილი მომავალი	73.2%
პოპულარობა საერთაშორისო დონეზე	73.0%
საუკეთესო პირადი მიღწევები	72.6%
მომგებიანი ფინანსური სპონსორობა	70.3%
პოპულარობა ეროვნულ დონეზე	63.0%

შესაძლებლობა, დარჩე სპორტში, როგორც მწვრთნელი, ტრენერი ან ადმინისტრატორი	38.5%
--	-------

მეორე ტალღის შემთხვევაში, სურათი იცვლება - თუ პირველი ტალღის შემთხვევაში, „ფინანსურად უზრუნველყოფილი მომავალი“ ლიდერობდა მომდევნო სარგებელთან - „პოპულარობა საერთაშორისო დონეზე“ - შედარებით უმნიშვნელო სხვაობით, მეორე ტალღის შემთხვევაში, ეს უკანასკნელი ინაცვლებს პირველ ადგილზე.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ, „პოპულარობა საერთაშორისო დონეზე“ შეფასებულ შესაძლო სარგებელთა შორის არის ერთადერთი ცვლადი, რომლის პირველ და მეორე ტალღის მაჩვენებლებს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია:

**ცხრილი 4. რამდენად კმაყოფილი იქნებოდით ქვემოთ ჩამოთვლილი სარგებლით, რომელსაც წარმატებული ასპარეზობის შემთხვევაში მიიღებდით?**

პოპულარობა საერთაშორისო დონეზე	77.1%
ფინანსურად უზრუნველყოფილი მომავალი	75.8%
საუკეთესო პირადი მიღწევები	73.3%
მომგებიანი ფინანსური სპონსორობა	71.3%
პოპულარობა ეროვნულ დონეზე	59.9%
შესაძლებლობა, დარჩე სპორტში, როგორც მწვრთნელი ან ადმინისტრატორი	39.7%

მნიშვნელოვანია, რომ „შესაძლებლობა, დარჩე სპორტში, როგორც მწვრთნელი, ტრენერი ან ადმინისტრატორი“ ორივე შემთხვევაში ბოლო ადგილს იკავებს. ამასთან, მისი მაქსიმალური შეფასების - „კმაყოფილის“ - სიხშირე (39.7%) მკვეთრად ჩამოუვარდება სხვა სარგებელთა ანალოგიურ მაჩვენებელს.

მაქსიმალური შეფასების - „კმაყოფილის“ სიხშირის მიხედვით, მეორე ნაკლებად სასურველ სარგებელს წარმოადგენს „პოპულარობა ეროვნულ დონეზე“ -

59.9%, რაც ეროვნული სპორტის მიმართ ერთგვარი იმედგაცრუების ან უნდობლობის მაჩვენებელი შეიძლება იყოს.

ზემოაღნიშნული დასკვნის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გამოვლინდა მკვეთრი სხვაობა სასურველ სარგებელსა და იმ რეალობას შორის, რასაც მათი სპორტის სახეობა სპორტსმენებს კარგად ასპარეზობის შემთხვევაში, სთავაზობს:

**ცხრილი 5 სხვაობა სასურველ სარგებელს და რეალობას შორის პირველი და მეორე ტაღების მონაცემებით**

პირველი ტაღა

პოპულარობა ეროვნულ დონეზე	74.0%
საუკეთესო პირადი მიღწევები	67.8%
პოპულარობა საერთაშორისო დონეზე	67.6%
შესაძლებლობა დარჩე სპორტში, როგორც მწვრთნელი, ტრენერი ან ადმინისტრატორი	64.2%
ფინანსურად უზრუნველყოფილი მომავალი	63.5%
მომგებიანი ფინანსური სპონსორობა	60.3%

მეორე ტაღა

პოპულარობა ეროვნულ დონეზე	68.8%
საუკეთესო პირადი მიღწევები	63.8%
პოპულარობა საერთაშორისო დონეზე	62.1%
შესაძლებლობა დარჩე სპორტში, როგორც მწვრთნელი, ტრენერი ან ადმინისტრატორი	61.5%
მომგებიანი ფინანსური სპონსორობა	54.4%
ფინანსურად უზრუნველყოფილი მომავალი	51.0%

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება მხოლოდ „ფინანსურად უზრუნველყოფილი მომავლის“ შემთხვევაში დაფიქსირდა.

აღსანიშნავია, რომ, საშუალოთა შედარების მიხედვით, ორივე ტალღის გათვალისწინებით, ხუთი ცვლადის შემთხვევაში, სტატისტიკურად მნიშვნელოვანია განსხვავება სასურველ და იმ რეალურად შესაძლო სარგებლებს შორის, რასაც ამჟამად სპორტსმენებს მათი ძირითადი სახეობა სთავაზობს:

ცხრილი 6. განსხვავება სასურველ და რეალურად შესაძლო ფაქტორებს შორის

	Paired Differences					t	df	Sig. (2-tailed)
	Mean	Std. Deviation	Std. Error Mean	95% Confidence Interval of the Difference				
				Lower	Upper			
პოპულარობა ეროვნულ დონეზე	.115	.630	.032	.052	.177	3.604	391	.000
მომგებიანი ფინანსური სპონსორობა	-.109	.746	.038	-.183	-.034	-2.869	385	.004
საუკეთესო პირადი მიღწევები	-.044	.671	.034	-.111	.023	-1.284	385	.200
შესაძლებლობა დარჩე სპორტში, როგორც მწვრთნელი, ტრენერი ან ადმინისტრატორი	.333	.737	.037	.260	.406	8.973	393	.000
ფინანსურად უზრუნველყოფილი მომავალი	.189	.720	.036	-.260	-.118	-5.207	393	.000
პოპულარობა საერთაშორისო დონეზე	.085	.738	.037	-.158	-.012	-2.276	393	.023
-								

მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მკვეთრი განსხვავება საკუთარი მიღწევების შემთხვევაში რეალურად შესაძლო სარგებელსა და სასურველს შორის, წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც, სავარაუდოდ, გავლენას ახდენს, სპორტსმენების დამოკიდებულებაზე მათი საქმიანობის მიმართ როგორც ზოგადად, ისე - ცალკეული ასპექტების მიხედვით.

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლენილა მხოლოდ მესამე ცვლადის - „საუკეთესო პირადი მიღწევების“ შემთხვევაში, რაც პიროვნულ და გარე ფაქტორებს შორის არსებული ზღვრის მაჩვენებელი შეიძლება იყოს, თუმცა, ეს საკითხი შემდგომ, უფრო სიღრმისეულ და დეტალიზებულ კვლევას საჭიროებს.

#### 4.2 დამოკიდებულება აკრძალული ნივთიერებების მიმართ - პიროვნული ფაქტორი

გამოკითხულ სპორტსმენთა აზრით ანაბოლური სტეროიდების, ბეტა-ბლოკატორების, დიზაინ სტეროიდების, როგორცაა ტეტრაჰიდროგესტინონი, ერითროპოეტინი (EPO) და სხვა მსგავსი ნივთიერებების გამოყენება ნაკლებად უკავშირდება სპორტული მიღწევების გაუმჯობესების შესაძლებლობას. კითხვაზე: „ჩამოთვლილი ნივთიერებების გამოყენების შემთხვევაში რამდენად შესაძლებელია თქვენი სპორტული შედეგების გაუმჯობესება?“ მიღებული პასუხების მიხედვით, ხუთქულიანი სკალით გაზომვის შემთხვევაში, სადაც 1 ნიშნავს „ნამდვილად არ შეცვლიდა“, ხოლო 5 – „ნამდვილად შეცვლიდა“, ცენტრალური ტენდენციების მაჩვენებლები საშუალოზე დაბალია:

**ცხრილი 7 „ჩამოთვლილი ნივთიერებების გამოყენების შემთხვევაში რამდენად შესაძლებელია თქვენი სპორტული შედეგების გაუმჯობესება?“**

აკრძალული ნივთიერებები	ტალღა		
	პირველი ტალღა	მეორე ტალღა	ჯამური მაჩვენებელი
ანაბოლური სტეროიდები	2.63	2.70	2.67

ბეტა-ბლოკატორები	2.70	2.73	2.72
დიზაინ სტეროიდები, როგორცაა: :ტეტრაჰიდროგესტინონი	2.45	2.50	2.48
ერიტროპოეტინი (EPO) და სხვა მსგავსი ნივთიერებები	2.84	2.67	2.75

საშუალოზე უმნიშვნელოდ მაღალი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი ადამიანის ზრდის ჰორმონი:

აკრძალული ნივთიერებები	ტალღა		
	პირველი ტალღა	მეორე ტალღა	Total
ადამიანის ზრდის ჰორმონი	3.13	3.08	3.10

ამასთან, განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია:

Paired Samples Test			
აკრძალული ნივთიერებები		Paired Differences	Sig. (2-tailed)
		Mean	
პირველი ტალღა	ადამიანის ზრდის ჰორმონი - ანაბოლური სტეროიდები	.354	.014
	ადამიანის ზრდის ჰორმონი - ბეტა-ბლოკატორები	.341	.027
	ადამიანის ზრდის ჰორმონი - დიზაინ სტეროიდები, როგორცაა ტეტრაჰიდროგესტინონი	.514	.000

	ადამიანის ზრდის ჰორმონი - ერიტროპოეტინი (EPO) და სხვა მსგავსი ნივთიერებები	.145	.277
მეორე ტალღა	ადამიანის ზრდის ჰორმონი - ბეტა- გლოკატორები	.188	.065
	ადამიანის ზრდის ჰორმონი - დიზაინ სტეროიდები, როგორცაა ტეტრაჰიდროგესტინონი	.282	.040
	ადამიანის ზრდის ჰორმონი - ერიტროპოეტინი (EPO) და სხვა მსგავსი ნივთიერებები	.195	.126

საშუალოზე დაბალია, აგრეთვე, შეკითხვაზე: „თქვენ რომ აგერჩიათ ნებისმიერი აკრძალული ნივთიერება, რამდენად შესაძლებელი იქნებოდა, თქვენი სპორტული შედეგების გაუმჯობესება?“ მიღებული ცენტრალური ტენდენციის მაჩვენებლები - ხუთქულიან სკალაზე, სადაც ერთი ნიშნავს: „ნამდვილად არ იქნებოდა შესაძლებელი“, ხოლო ხუთი - „ნამდვილად შესაძლებელი იქნებოდა“, პირველი ტალღის შემთხვევაში, საშუალო შეფასება არის 2.72, ხოლო მეორე ტალღის შემთხვევაში - 2.79. ტალღებს ან სპორტის სახეობებს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის.

სპორტსმენთა საკმაოდ დიდი ნაწილი არ არის ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ჯანმრთელობაზე აღნიშნული ნივთიერებების მოკლე ან გრძელვადიანმა გამოყენებამ. თუმცა, მოკლევადიან გამოყენებასთან დკავშირებით, მეორე ტალღაში, პირველთან შედარებით, ინფორმირებულობის მაჩვენებლების ზრდის ტენდენცია შეინიშნება, რაც ტრენინგის ეფექტით შეიძლება აიხსნას. განსხვავება ტალღებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია:

„როგორ ფიქრობთ, რა ხარისხის ზიანი შეიძლება მიაყენოს თქვენს ჯანმრთელობას შემდეგი ნივთიერებების მოკლე დროით, ვთქვათ 2 თვემდე მიღებამ?

ცხრილი 8 როგორ ფიქრობთ, რა ხარისხის ზიანი შეიძლება მიაყენოს თქვენს ჯანმრთელობას შემდეგი ნივთიერებების მოკლე დროით, ვთქვათ 2 თვემდე მიღებამ ?

აკრძალული ნივთიერებები		ტალღა		Total
		პირველი ტალღა	მეორე ტალღა	
ანაბოლური სტეროიდები	არ მიაყენებს ზიანს	6.5%	2.5%	4.5%
	მცირედ დააზიანებს	11.5%	13.0%	12.3%
	საკმაოდ დააზიანებს	16.0%	20.5%	18.3%
	ძლიერ დააზიანებს	8.5%	14.0%	11.3%
	არ ვიცი	57.5%	50.0%	53.8%
აკრძალული ნივთიერებები		ტალღა		Total
		პირველი ტალღა	მეორე ტალღა	
ბეტა-ბლოკატორები	არ მიაყენებს ზიანს	3.5%	1.5%	2.5%
	მცირედ დააზიანებს	7.0%	8.5%	7.8%
	საკმაოდ დააზიანებს	15.5%	21.0%	18.3%



	ძლიერ დააზიანებს	9.5%	12.0%	10.8%
	არ ვიცი	64.5%	57.0%	60.8%

აკრძალული ნივთიერებები		ტალღა		Total
		პირველი ტალღა	მეორე ტალღა	
დიზაინ სტეროიდები როგორცაა: ტეტრაჰიდროგესტინონი	არ მიაყენებს ზიანს	3.5%	1.5%	2.5%
	მცირედ დააზიანებს	11.9%	7.5%	9.8%
	საკმაოდ დააზიანებს	17.9%	22.6%	20.3%
	ძლიერ დააზიანებს	9.5%	16.1%	12.8%
	არ ვიცი	57.2%	52.3%	54.8%
აკრძალული ნივთიერებები		ტალღა		Total
		პირველი ტალღა	მეორე ტალღა	
ერიტროპოეტინი (EPO) და სხვა მსგავსი ნივთიერებები	არ მიაყენებს ზიანს	6.5%	1.0%	3.7%
	მცირედ დააზიანებს	9.5%	11.5%	10.5%
	საკმაოდ დააზიანებს	13.9%	20.0%	17.0%
	ძლიერ დააზიანებს	7.0%	13.5%	10.2%
	არ ვიცი	63.2%	54.0%	58.6%
აკრძალული ნივთიერებები		ტალღა		Total

		პირველი ტალღა	მეორე ტალღა	
ადამიანის ზრდის ჰორმონი	არ მიაყენებს ზიანს	13.9%	6.0%	10.0%
	მცირედ დააზიანებს	13.9%	16.0%	15.0%
	საკმაოდ დააზიანებს	11.4%	20.0%	12.7%
	ძლიერ დააზიანებს	9.5%	14.0%	12.5%
	არ ვიცი	51.2%	48.5%	49.9%

აკრძალული ნივთიერებები		ტალღა		Total
		პირველი ტალღა	მეორე ტალღა	
დიურეტიკები	არ მიაყენებს ზიანს	4.5%	2.5%	3.5%
	მცირედ დააზიანებს	11.6%	6.5%	9.0%
	საკმაოდ დააზიანებს	9.5%	19.0%	14.3%
	ძლიერ დააზიანებს	7.0%	11.0%	9.0%
	არ ვიცი	67.3%	61.0%	64.2%

„როგორ ფიქრობთ, რა ხარისხის ზიანი შეიძლება მიაყენოს თქვენს ჯანმრთელობას შემდეგი ნივთიერებების გრძელვადიანმა მიღებამ?“ (ვინაიდან ტალღებს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის, წარმოდგენილია მხოლოდ ჯამური მაჩვენებლები).

ცხრილი 9 „როგორ ფიქრობთ, რა ხარისხის ზიანი შეიძლება მიაყენოს თქვენს ჯანმრთელობას შემდეგი ნივთიერებების გრძელვადიანმა მიღებამ?“

ანაბოლური სტეროიდები	არ მიაყენებს ზიანს	4.0%
	მცირედ დააზიანებს	5.3%
	საკმაოდ დააზიანებს	15.3%
	ძლიერ დააზიანებს	23.3%
	არ ვიცი	52.1%
ბეტა-ბლოკატორები	არ მიაყენებს ზიანს	.7%
	მცირედ დააზიანებს	5.5%
	საკმაოდ დააზიანებს	14.7%
	ძლიერ დააზიანებს	21.7%
	არ ვიცი	57.4%
დიზაინ სტეროიდები როგორცაა: ტეტრაჰიდროგესტინონი	არ მიაყენებს ზიანს	2.3%
	მცირედად დააზიანებს	5.8%
	საკმაოდ დააზიანებს	19.5%
	ძლიერ დააზიანებს	18.5%
	არ ვიცი	54.0%

<b>ერიტროპოეტინი (EPO) და სხვა მსგავსი ნივთიერებები</b>	არ მიაყენებს ზიანს	1.8%
	მცირედ დააზიანებს	4.8%
	საკმაოდ დააზიანებს	18.3%
	ძლიერ დააზიანებს	18.5%
	<b>არ ვიცი</b>	<b>56.6%</b>
<b>ადამიანის ზრდის ჰორმონი</b>	არ მიაყენებს ზიანს	5.2%
	მცირედ დააზიანებს	8.2%
	საკმაოდ დააზიანებს	15.2%
	ძლიერ დააზიანებს	20.9%
	<b>არ ვიცი</b>	<b>50.5%</b>
<b>დიურეტიკები</b>	არ მიაყენებს ზიანს	1.0%
	მცირედ დააზიანებს	6.0%
	საკმაოდ დააზიანებს	14.5%
	ძლიერ დააზიანებს	18.3%
	<b>არ ვიცი</b>	<b>60.3%</b>

აკრძალული ნივთიერების შექმნა საკმაოდ ძვირია საშუალო შემოსავლის მქონე პიროვნებისთვის, რაც ხშირ შემთხვევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერია მათი მხრიდან მსგავსი სახის ნივთიერებების მიღებისთვის, ისევე, როგორც შესაძლოა რთული აღმოჩნდეს მათი მოპოვებაც.

საქართველოში არსებული ზოგადი ეკონომიკური ფონიდან გამომდინარე, კვლევის დასაწყისში არსებობდა ვარაუდი, რომ სპორტსმენტა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ამ ნივთიერებათა როგორც მოპოვება, ისე - შექმნა რთული იქნებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც პასუხი „არ ვიცი“ მაღალი სიხშირეებით არის წარმოდგენილი:

**ცხრილი 10. რამდენად იაფი ან ძვირი იქნება პირადად თქვენთვის**

შემდეგი ტიპის ნივთიერებების შექმნა?

შეფასება განხორციელდა ხუთქულიანი სკალით, სადაც 1 არის „ძალიან იაფი“, ხოლო 6 – „ძალიან ძვირი“.

	„არ ვიცი“
ანაბოლური სტეროიდები	60.40%
ბეტა-ბლოკატორები	64.8%
დიზაინ სტეროიდები როგორცაა ტეტრაჰიდროგესტინონი	63.8%
ერიტროპოეტინი (EPO) და სხვა მსგავსი ნივთიერებები	63.3%
ადამიანის ზრდის ჰორმონი	61.3%
დიურეტიკები	68.9%

ცხრილი 11. რამდენად იოლი ან ძნელი იქნება შემდეგი ტიპის ნივთიერებების შექმნა?

შეფასება განხორციელდა ხუთქულიანი სკალით, სადაც 1 არის „ძალიან იოლი“, ხოლო 6 – „ძალიან ძნელი“.	„არ ვიცი“
ანაბოლური სტეროიდები	63.0%
ბეტა-ბლოკატორები	66.3%
დიზაინ სტეროიდები როგორცაა ტეტრაჰიდროგესტინონი	63.3%
ერიტროპოეტინი (EPO) და სხვა მსგავსი ნივთიერებები	64.6%
ადამიანის ზრდის ჰორმონი	64.2%
დიურეტიკები	70.1%

ასეთი რეზულტატი იმით შეიძლება აიხსნას, რომ სპორტსმენთა დიდი ნაწილი არ დაინტერესებულა მსგავსი ტიპის ინფორმაციით, არ ჰქონია აღნიშნული ნივთიერებების შექმნის მცდელობა.

პირველი და მეორე ტალღისა ან სპორტის სათამაშო და ინდივიდუალურ სახეობებს შორის პასუხებში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლენილა.

#### 4.3 დამოკიდებულება აკრძალული ნივთიერებების მიმართ - გარე ფაქტორები

დაბალი მაჩვენებლებით არის წარმოდგენილი აკრძალული ნივთიერებების გამოყენების შესაძლო მასტიმულირებელი გარე ფაქტორებიც. სპორტსმენთა უმრავლესობა პასუხობს, რომ საქართველოს მთავრობა ან ოლიმპიური კომიტეტი, იმისთვის რომ მოიგონ ოლიმპიური ოქროს მედლები, პროფესიონალ სპორტსმენებზე პირდაპირ ან არაპირდაპირ ზეწოლას არ ახდენს:

**ცხრილი 12. რა ხარისხით ახდენს, პირდაპირ ან არაპირდაპირ ზეწოლას, საქართველოს მთავრობა ან ოლიმპიური კომიტეტი პროფესიონალ სპორტსმენებზე, იმისთვის რომ მოიგონ ოლიმპიური ოქროს მედლები?**

ზეწოლის ხარისხი	პირველი ტალღა	მეორე ტალღა
არ ახდენს ზეწოლას	54.5%	56.5%
მცირე ზეწოლას	21.0%	25.0%
საკმაო ზეწოლას	20.5%	15.5%
ძლიერ ზეწოლას	4.0%	3.0%

ტალღების მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის.

#### 4.4 ელიტურ სპორტსმენთა ფაქტორი

განსხვავებული სიტუაციაა ელიტურ სპორტსმენებთან მიმართებაში: თითოეულ ტალღაში მონაწილეთა ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ ოლიმპიადებისა და კომერციული გავლენების შედეგად ელიტურ სპორტსმენებში გაიზარდა ნებისმიერ ფასად გამარჯვების მიდრეკილება:

**ცხრილი 13. ოლიმპიადებსა და სპორტზე კომერციულმა გავლენებმა რამდენად გაზარდა ელიტური სპორტსმენების დამოკიდებულება „გამარჯვება ნებისმიერ“**

ფასად“

სპორტსმენების დამოკიდებულება „გამარჯვება ნებისმიერ ფასად“ მიმართ	პირველი ტალღა	მეორე ტალღა
საერთოდ არ გაუზრდია	15.6%	13.5%
მცირედით გაზარდა	27.6%	34.5%
საკმაოდ გაზარდა	42.7%	39.0%
ძალიან გაზარდა	14.1%	13.0%

აღნიშნული ნიშნით ტალღებს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის.

თუმცა, უმრავლესობის აზრით, ამ ფაქტს, ელიტურ სპორტსმენებში აკრძალულ ნივთიერებათა გამოყენების ცდუნება არ გაუზრდია:

**ცხრილი 14. ოლიმპიადებსა და სპორტზე კომერციულმა გავლენებმა რამდენად გაზარდა ელიტური სპორტსმენების ცდუნება გამოიყენოს აკრძალული ნივთიერებები?**

სპორტსმენების ცდუნება გამოიყენოს აკრძალული ნივთიერებები	პირველი ტალღა	მეორე ტალღა
საერთოდ არ გაუზრდია	39.7%	35.5%
მცირედით გაზარდა	26.6%	28.5%
საკმაოდ გაზარდა	25.6%	28.5%
ძალიან გაზარდა	8.0%	7.5%

**4.5 გამოცდილება და დამოკიდებულება დოპინგ-ტესტირების მიმართ**

**- გარე ფაქტორი**

კვლევის შედეგების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ დოპინგ-ტესტირების მიმართ სპორტსმენთა ინფორმირებულობის დონე საკმაოდ დაბალია.

ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს სპორტსმენთა ინფორმირების რელევანტური და თანმიმდევრული მექანიზმები. შესაბამისად, დოპინგ-ტესტირების შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს თვითონ ტესტირების პროცედურა წარმოადგენს, რასაც, თავის მხრივ, იშვიათი და არარეგულარული ხასიათი აქვს: სპორტსმენთა დიდ უმრავლესობას დოპინგზე ტესტი არ ჩატარებია. მათ შორის, ვისაც დოპინგზე ტესტი ჩაუტარდა, უმრავლესობას ტესტი ერთ წელიწადზე მეტი ხნის წინ ჩაუტარდა:

**ცხრილი 15. ტესტირების ჩატარების მაჩვენებელი**

ჩაგიტარდათ თუ არა როდესმე დოპინგზე ტესტირება?	დიახ	13.8 %
	არა	86.3%
ჩაგიტარდათ თუ არა დოპინგზე ტესტირება გასულ წელს?	დიახ	37.0%
	არა	63.7%

იმ სპორტსმენთა დიდი უმრავლესობა (82.8%), ვისაც აქვს ტესტირების გამოცდილება პასუხობს, რომ ტესტირება მათთვის ტრამვეული ან არაკომფორტული არ ყოფილა.

ტესტირების განმახორციელებელი პერსონალის ქცევა დადებითად შეიძლება შეფასდეს - ნეგატიური პასუხები უკიდურესად მცირე სიხშირეებით არის წარმოდგენილი:

**ცხრილი 16 როგორ შეაფასებდით ტესტირების პერსონალის ქცევას?**

თავაზიანი	93.1%
არათავაზიანი	–
არცერთი	6.9%
დამხმარე	72.4%
არადამხმარე	13.8%
არცერთი	13.8%



მეგობრული	72.4%
არამეგობრული	–
არცერთი	27.6%
გულისხმიერი	69.0%
არაგულისხმიერი	10.3%
არცერთი	20.7%

სპორტსმენების აზრით, საკმაოდ სავარაუდოა, რომ სულ მცირე წელიწადში ერთხელ მაინც ისინი იყვნენ შემოწმებულნი დოპინგზე საშეჯიბრო პერიოდში, არასაშეჯიბრო პერიოდში კი შემოწმების განხორციელების ალბათობა უფრო მცირეა.

ცხრილი 17. „რამდენად შესაძლებელია, რომ საშეჯიბრო დროს თქვენი დონის სპორტსმენი შემოწმებულ იქნეს დოპინგზე სულ ცოტა წელიწადში ერთხელ?“

	პირველი ტალღა	მეორე ტალღა	Total
ძალიან სავარაუდო	38.7%	45.7%	42.2%
საკმაოდ სავარაუდო	16.1%	16.1%	16.1%
მცირედ სავარაუდოა	19.1%	10.1%	14.6%
არ არის სავარაუდო	9.0%	5.5%	7.3%
შეუძლებელია	1.0%	4.5%	2.8%
არ ვიცი	16.1%	18.1%	17.1%

ტალებს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, რაც ტრენინგის ეფექტით შეიძლება აიხსნას.

**ცხრილი 18.** „რამდენად შესაძლებელია, რომ არასაშეჯიბრო დროს თქვენი დონის სპორტსმენი შემოწმებულ იქნეს დოპინგზე სულ ცოტა წელიწადში ერთხელ?“

			Total
	პირველი ტალღა	მეორე ტალღა	
ძალიან სავარაუდო	14.4%	16.9%	15.7%
საკმაოდ სავარაუდო	14.4%	11.4%	12.9%
მცირედ სავარაუდოა	20.4%	17.4%	18.9%
არ არის სავარაუდო	18.9%	18.9%	18.9%
შეუძლებელია	7.5%	7.5%	7.5%
არ ვიცი	24.4%	27.9%	26.1%

კითხვაზე: „თუ თქვენ მიიღებთ აკრძალულ ნივთიერებას საშეჯიბრო პერიოდში, დაფარვის მცდელობის შემთხვევაში, რამდენად სავარაუდოა, რომ ვერავინ ვერაფერს გაიგებს?“ მიღებული პასუხების მიხედვით, სპორტსმენთა მხოლოდ 7% თვლის, რომ ეს შეუძლებელია, 11.6% მიიჩნევს, რომ არ არის სავარაუდო, 20%-ს აზრით - მცირედ სავარაუდოა, 15.1%-ს საკმაოდ სავარაუდოდ, ხოლო 10.6%-ს ძალიან სავარაუდოდ მიაჩნია. მოცულობით ყველაზე დიდი ჯგუფი შეადგინეს იმ სპორტსმენებმა, რომლებმაც კითხვას უპასუხეს „არ ვიცი“ – 35.2%.

ასევე მაღალია დადებითი ტესტირების შემთხვევაში არაინფორმირებულობის მაჩვენებელი. კითხვაზე: „როგორ იცით ან გსმენიათ, დადებითი ტესტირების (არასასურველი შედეგი) შემთხვევაში სასჯელი მძიმეა თუ მსუბუქი?“

რესპონდენტთა 38.5%-მა „არ ვიცი“ უპასუხა. ზოგადად, აღნიშნულ კითხვაზე პასუხების სიხშირეები შემდეგნაირად განაწილდა:

**ცხრილი 19. როგორ იცით ან გსმენიათ, დადებითი ტესტირების**

(არასასურველი შედეგი) შემთხვევაში სასჯელი მძიმეა თუ მსუბუქი?

სასჯელის ხარისხი	პირველი ტალღა	მეორე ტალღა	Total
ძალიან მძიმე	30.0%	46.2%	38.1%
საკმაოდ მძიმე	25.5%	25.6%	25.6%
საკმაოდ მსუბუქი	5.5%	.5%	3.0%
ძალიან მსუბუქი	.5%	1.5%	1.0%
არ ვიცი	38.5%	26.1%	32.3%

ტალღებს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. სახელდობრ, შემცირებულია პასუხის - „არ ვიცი“ - სიხშირე და გაზრდილია პასუხის - „ძალიან მძიმე“ - სიხშირე, რაც, მაღალი ალბათობით, ტრენინგზე მიღებულ ინფორმაციას უკავშირდება.

სპორტსმენთა იმ ნაწილში, რომელიც ინფორმირებულია საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს საქმიანობის შესახებ, გამოიკვეთა დადებითი განწყობა ამ ორგანიზაციის მიმართ. კვლევის შედეგების მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი სადს-ის საქმიანობას აფასებენ როგორც სამართლიანსა და ობიექტურს:

**ცხრილი 20. რამდენად სამართლიანია საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტო ყველა სპორტსმენის მიმართ?**

სამართლიანობის ხარისხი	Total

	პირველი ტალღა	მეორე ტალღა	
ძალიან სამართლიანია	26.9%	37.5%	32.2%
სამართლიანია	28.9%	27.0%	27.9%
არასამართლიანია	6.5%	1.5%	4.0%
ძალიან არასამართლიანია	3.0%	2.5%	2.7%
არ ვიცი	34.8%	31.5%	33.2%

ცხრილი 21\_რამდენად ხდება საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ

**ტესტირების პროცედურების დაცვა?**

პროცედურების დაცვის ხარისხი	პირველი ტალღა	მეორე ტალღა	
ძალიან დაცულია	15.5%	29.5%	22.5%
საკმაოდ დაცულია	30.5%	27.0%	28.8%
რეალურად არაა დაცული	9.0%	3.5%	6.3%
არანაირად არაა დაცული	3.5%	2.5%	3.0%
არ ვიცი	41.5%	37.5%	39.5%

კითხვაზე: „რამდენად ზუსტად არის შესაძლებელი ტესტირების დროს ჩამოთვლილი ნივთიერებების განსაზღვრა?“ მიღებული პასუხების მიხედვით, ტესტირების სიზუსტის მიმართ, ერთი შეხედვით, უნდობლობა არ ფიქსირდება, მაგრამ ეს რეზულტატი მნიშვნელოვანწილად საინფორმაციო დეფიციტით არის გაპირობებული - სპორტსმენთა მნიშვნელოვან ნაწილს, უბრალოდ არ აქვს ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საკმარისი ინფორმაცია:

ცხრილი 22 რამდენად ზუსტად არის შესაძლებელი ტესტირების დროს ჩამოთვლილი ნივთიერებების განსაზღვრა?

ანაბოლური სტეროიდები		Total

	პირველი ტალღა	მეორე ტალღა	
მაღალი სიზუსტით	7.5%	19.5%	13.5%
საკმაო სიზუსტით	15.0%	14.0%	14.5%
დაბალი სიზუსტით	6.0%	7.5%	6.8%
არაზუსტად	2.0%	3.0%	2.5%
ძალიან არაზუსტად	.5%	.5%	.5%
<b>არ ვიცი</b>	<b>69.0%</b>	<b>55.5%</b>	<b>62.3%</b>

ბეტა-ბლოკატორები			Total
	პირველი ტალღა	მეორე ტალღა	
მაღალი სიზუსტით	5.0%	15.5%	10.3%
საკმაო სიზუსტით	13.1%	14.0%	13.5%
დაბალი სიზუსტით	7.0%	7.0%	7.0%
არაზუსტად	4.0%	3.5%	3.8%
ძალიან არაზუსტად	1.0%	3.0%	2.0%
<b>არ ვიცი</b>	<b>69.8%</b>	<b>57.0%</b>	<b>63.4%</b>
	100.0%	100.0%	100.0%
დიზაინ სტეროიდები როგორცაა ტეტრაჰიდროგესტინონი			Total
	პირველი ტალღა	მეორე ტალღა	
მაღალი სიზუსტით	7.5%	16.0%	11.7%
საკმაო სიზუსტით	9.5%	16.5%	13.0%
დაბალი სიზუსტით	9.5%	8.5%	9.0%
არაზუსტად	4.5%	2.0%	3.2%
ძალიან არაზუსტად	1.0%	3.0%	2.0%

არ ვიცი	68.2%	54.0%	61.1%
ერთროპოეტინი (EPO) და სხვა მსგავსი ნივთიერებები	პირველი ტალღა	მეორე ტალღა	Total
	მალალი სიზუსტით	8.0%	
საკმაო სიზუსტით	11.5%	13.0%	12.3%
დაბალი სიზუსტით	5.5%	8.0%	6.8%
არაზუსტად	4.0%	3.5%	3.8%
ძალიან არაზუსტად	1.0%	1.0%	1.0%
არ ვიცი	70.0%	58.0%	64.0%

ადამიანის ზრდის ჰორმონი			Total
	პირველი ტალღა	მეორე ტალღა	
მალალი სიზუსტით	6.0%	15.9%	11.0%
საკმაო სიზუსტით	12.5%	16.4%	14.5%
დაბალი სიზუსტით	7.0%	6.5%	6.7%
არაზუსტად	1.5%	5.0%	3.2%
ძალიან არაზუსტად	3.0%	.5%	1.7%
არ ვიცი	70.0%	55.7%	62.8%

გამოვლინდა ერთმნიშვნელოვნად დადებითი დამოკიდებულება დოპინგ-ტესტირებასთან დაკავშირებული არასასურველი შედეგის შემთხვევაში სპორტსმენის უფლებების დაცვის მექანიზმების, სამართლიანი მოსმენისა და არბიტრაჟის მიმართ:

ცხრილი 23. „რამდენად კმაყოფილი ხართ იმით, რომ სპორტსმენებს, რომელთაც გაასაჩივრეს არასასურველი შედეგი, საქართველოში ეძლევათ სამართლიანი განხილვის საშუალება?“

	პირველი ტალღა	მეორე ტალღა	Total
ძალიან კმაყოფილი	32.0%	41.0%	36.5%
გარკვეულწილად კმაყოფილი	46.0%	45.5%	45.8%
გარკვეულწილად უკმაყოფილო	15.5%	9.5%	12.5%
ძალიან უკმაყოფილო	6.5%	4.0%	5.3%

ცხრილი 24. რამდენად კმაყოფილი ხართ იმით, რომ სპორტსმენებს თქვენი სპორტის სახეობაში, რომელთაც გამოუვლინდა არასასურველი შედეგი, ექნებათ სამართლიანი მოსმენის საშუალება, სანამ დააკისრებენ სასჯელს?

	პირველი ტალღა	მეორე ტალღა	Total
ძალიან კმაყოფილი	32.0%	41.0%	36.5%
გარკვეულწილად კმაყოფილი	46.0%	45.5%	45.8%
გარკვეულწილად უკმაყოფილო	15.5%	9.5%	12.5%
ძალიან უკმაყოფილო	6.5%	4.0%	5.3%

ცხრილი 25 რამდენად კმაყოფილი ხართ იმით, რომ სპორტსმენებს, რომელთაც გაასაჩივრეს არასასურველი შედეგი, სპორტში საარბიტრაჟო სასამართლოში, ექნებათ სამართლიანი მოსმენა?

	პირველი ტალღა	მეორე ტალღა	Total
ძალიან კმაყოფილი	29.5%	47.3%	38.4%

გარკვეულწილად კმაყოფილი	47.5%	37.8%	42.6%
გარკვეულწილად უკმაყოფილო	16.5%	9.5%	13.0%
ძალიან უკმაყოფილო	6.5%	5.5%	6.0%

აღნიშნული ასპექტების მიმართ პირველივე ტალღაში დადებითი განწყობები გამოიკვეთა. ამასთან, ტესტირების პროცესთან დაკავშირებული სხვა ცვლადებისგან განსხვავებით, ამ კითხვების პასუხებს შორის არაინფორმირებულობის მაჩვენებლები მინიმალისტურად არის წარმოდგენილი, გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ტალღებს შორის - მეორე ტალღაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მკვეთრად დადებითი განწყობის მაჩვენებლები, რაც, სავარაუდოდ, ტრენინგის ეფექტით შეიძლება აიხსნას.

#### 4.6 დამოკიდებულება დამარცხების მიმართ

სპორტსმენთა დამოკიდებულება დამარცხების მიმართ საკმაოდ რაციონალურია და ნაკლებად უკავშირდება ფრუსტრაციას საკუთარი თავის ან შესაძლებლობების მიმართ.

სპორტსმენებს ხუთქულიანი სკალით, სადაც 1 ნიშნავს სრულიად არ ვეთანხმები, ხოლო 5 - სავსებით ვეთანხმები, უნდა შეეფასებინათ დამარცხების შემთხვევასთან დაკავშირებული დებულებები. ფაქტორული ანალიზის შედეგად ეს დებულებები ორ ფაქტორად დაიყო. პირველს გარე ფაქტორი ვუწოდეთ, ხოლო მეორეს - პიროვნული:

ცხრილი 26. სპორტსმენთა დამარცხების გარე და პიროვნული ფაქტორები

გარე ფაქტორი		პიროვნული ფაქტორი	
როცა ვმარცხდები, მეშინია რომ შეიძლება არ მაქვს საკმაო ნიჭი	.143	.770	



როცა ვმარცხდები, ინგრევა ჩემი სამომავლო გეგმები	.021	.848
როცა ვერ ვაღწევ წარმატებას, ადამიანები ჩემით ნაკლებად ინტერესდებიან	.528	.282
როცა ვმარცხდები, მნიშვნელოვანია რომ სხვები არიან იმედგაცრუებული	.811	.015
როცა ვმარცხდები, ვდარდობ რას ფიქრობენ სხვები ჩემზე	.736	.019


როგორც საშუალო შეფასებების მიხედვით ირკვევა, სპორტსმენები გარე ფაქტორების მიმართ უფრო სენსიტიურები არიან, ვიდრე - პიროვნულის მიმართ, თუმცა, არც ერთ შემთხვევაში არ ვლინდება დამარცხების მიმართ ისეთი ტენდენცია, რაც არაეთიკური ან/და უკანონო საქციელის ტრიგერად შეიძლება განვიხილოთ: ცხრილი 27. სპორტსმენტა დამოკიდებულება დამარცხების მიმართ (საშუალო ქულა)

დამოკიდებულება დამარცხების მიმართ	საშუალო ქულა
როცა ვმარცხდები, მეშინია რომ შეიძლება არ მაქვს საკმაო ნიჭი	1.43
როცა ვმარცხდები, ინგრევა ჩემი სამომავლო „გეგმები“	1.59
როცა ვერ ვაღწევ წარმატებას, ადამიანები ჩემით ნაკლებად ინტერესდებიან	2.37
როცა ვმარცხდები, მნიშვნელოვანია რომ სხვები არიან იმედგაცრუებული	2.90

**4.7. თერაპიული გამოყენების გამონაკლისი**

სპორტსმენთა გამოცდილება თერაპიული დანიშნულებით აკრძალული ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებით, საკმაოდ მწირია: მხოლოდ 1.5%-მა დაადასტურა, რომ მას ჰქონდა და დღემდე აქვთ ასეთი ნებართვა, 4.5%-მა მიუთითა, რომ ჰქონდა, მაგრამ აღარ აქვს, ხოლო 94.0%-მა უპასუხა რომ არ აქვს და არც როდესმე ჰქონია. ამასთან, ამ ნიშნით, პირველ და მეორე ტალღას შორის განსხვავება არ ფიქსირდება.

გრაფიკი 5 გქონდათ თუ არა მკურნალობის მიზნით აკრძალული ნივთიერების თერაპიული გამოყენების ნებართვა?



1.5 % - აქვს ნებართვა; 4.5 %- ჰქონდა და აღარ აქვს; 94%-არ აქვს და არც როდესმე ჰქონია.

დაახლოებით ნახევარს უჭირს იმის შეფასებაც, თუ რამდენად სამართლიანი იყო გადაწყვეტილება ზოგიერთი სპორტსმენისათვის აღნიშნული უფლების მინიჭება. კითხვაზე - „როგორ ფიქრობთ, რამდენად ზედმიწევნით იყვნენ შეფასებული თერაპიული გამოყენების გამონაკლისის მქონე

სპორტსმენები/ნებართვა იყო თუ არა საკმარისად დასაბუთებული?“ მიღებული პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

**ცხრილი 28.** „როგორ ფიქრობთ, რამდენად ზედმიწევნით იყვნენ შეფასებული თერაპიული გამოყენების გამონაკლისის მქონე სპორტსმენები/ნებართვა იყო თუ არა საკმარისად დასაბუთებული?“

	პირველი ტალღა	მეორე ტალღა	Total
არ არის დასაბუთებული	7.0%	9.5%	8.2%
უმეტესად დაუსაბუთებელია	12.0%	11.4%	11.7%
ზოგი დასაბუთებულია, ზოგი არა	24.0%	16.9%	20.4%
უმეტესად დასაბუთებულია	5.5%	9.0%	7.2%
ყველა დასაბუთებულია	1.0%	1.5%	1.2%
არ ვიცი	50.5%	51.7%	51.1%

პირველ და მეორე ტალღებს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის.

იმ შემთხვევაში, თუ სპორტსმენები მოისურვებდნენ იყიდონ ან/და გამოიყენონ აკრძალული ნივთიერებები, მათი აზრით, ძალიან ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ დაეხმაროს პირადი მწვრთნელი, მშობლები, გუნდის პარტნიორი, ექიმი, სპორტული ფსიქოლოგი ან მწვრთნელი.

არ აღინიშნება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა ტალღებსა და სპორტის სახეობებს შორის.

**ცხრილი 29.** თუ მოისურვებთ იშვოთ და გამოიყენოთ აკრძალული ნივთიერებები, თქვენი თხოვნის შემთხვევაში, ქვემოთ ჩამოთვლილიდან, დაგეხმარებათ თუ არა ვინმე?



ცხრილი #11

	პირადი მწვრთნელი	მშობლები	თანაგუნდელი	გუნდის ექიმი	სპორტული ფსიქოლოგი	მწვრთნელი
საშუალო	4,15	4,28	4,08	4,18	4,36	4,25
მოდა	5	5	5	5	5	5
სტ. გადახრა	1,436	1,336	1,389	1,386	1,215	1,359

ცხრილი 30. ფაქტორული ანალიზის შედეგები

აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ფაქტორული ანალიზის შედეგები.

Rotated Component Matrix <sup>a</sup>		
	Component	
	1	2
Q24_1 პირადი მწვრთნელი	0.741	0.579
Q24_2 მშობლები	0.863	0.350
Q24_3 თანაგუნდელები	0.805	0.412
Q24_4 გუნდის ექიმი	0.480	0.806
Q24_5 სპორტული ფსიქოლოგი	0.342	0.882
Q24_6 მწვრთნელი	0.623	0.693

ფაქტორული ანალიზის შედეგად, ექვსი ცვლადი ორ ზოგად ლატენტურ ცვლადში/ფაქტორში განაწილდა.

პირველ ფაქტორში პირადი მწვრთნელი, მშობლები და თანაგუნდელები გაერთიანდა. მას პირობითად „უახლოესი გარემოცვის“ ფაქტორი ვუწოდეთ; ხოლო მეორე ფაქტორში ორი ცვლადი - გუნდის ექიმი და სპორტული ფსიქოლოგი შევიდა. ამ ფაქტორს პირობითად „ბიოსამედიცინო ეთიკის“ ფაქტორი ვუწოდეთ.

რაც შეეხება მწვრთნელს, იგი დაახლოებით ერთნაირი წონით შედის ორივე ფაქტორში - თავისი წონით მაღალი ხარისხის სიახლოვეს ამჟღავნებს ორივე ფაქტორთან, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ მწვრთნელის პოზიცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნებისმიერ შემთხვევაში, მათ შორის, ბიოსამედიცინო საკითხებთან დაკავშირებითაც. ამ ახსნის სასარგებლოდ მეორე ფაზის - თვისებრივი კვლევის შედეგებიც მეტყველებს.

სპორტსმენთა შეფასებით, აკრძალულ ნივთიერებათა ტრეფიკინგის პრევენციაში ჩართული უწყებების საქმიანობა საკმაოდ ეფექტურია:

**ცხრილი 31 რამდენად ეფექტურად არიან ჩართული შემდეგი უწყებები აკრძალული ნივთიერებების ტრეფიკინგის პრევენციაში?**

	პოლიცია	მეზაჟეები	პოლიცია	მეზაჟეები
საშუალო	3,51	3,58	3,47	3,49
მოდა	4	4	4	4
სტ. გადახრა	1,183	1,208	1,178	1,184

მიღებული შედეგები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართველ სპორტსმენთა აღქმაში მათი როგორც პირადი, ისე - ინსტიტუციური გარემო ხელს უწყობს აკრძალული ნივთიერებების გამოყენების პრევენციას, რაც ანტ-დოპინგური განწყობის ფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება იქნეს განხილული.

სპორტსმენები აღნიშნავენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გადაწყვეტდნენ მიეღოთ აკრძალული ნივთიერებები, სავარაუდოა, რომ მათ ექნებათ შესაძლებლობა

მიიღონ სამედიცინო რჩევა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გამოიყენონ აღნიშნული ნივთიერება, მაგრამ შეფასება მაინც საკმაოდ დაბალია, რადგან იგი ახლოსაა საშუალო შეფასებასთან ( $M=2.83$ ;  $SD=1.425$ ). ამასთან, პირველ და მეორე ტალღის მონაცემებს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ სპორტსმენთა აზრით, ზოგიერთმა ნივთიერებამ, მაგალითად ადამიანთა ზრდის ჰორმონმა შესაძლოა ზოგადად შეცვალოს სპორტსმენის ასპარეზობის შედეგი უკეთესობისკენ, როდესაც მათ ვკითხეთ, აპირებდნენ თუ არა აკრძალული ნივთიერებების მიღებას მათი შედეგების გაუმჯობესების მიზნითა და მოწინააღმდეგესთან უპირატესობის მოპოვების მიმართულებით, ისინი აღნიშნავენ, რომ არ აპირებენ მიიღონ ეს ნივთიერებები.

**ცხრილი 32.**

**ა. რამდენად შესაძლებელია მიიღოთ სამედიცინო რჩევა, თუ**

**როგორ გამოიყენოთ ნივთიერება?**

**ბ. გაიუმჯობესოთ შედეგები ან მოიპოვოთ უპირატესობა მოწინააღმდეგეზე**

**ამ სეზონზე?**

აღნიშნული ტენდენცია ვლინდება, როგორც პირველი ტალღის ისე - მეორე ტალღის შემთხვევაში:

		<i>რამდენად შესაძლებელია მიიღოთ სამედიცინო რჩევა, თუ როგორ გამოიყენოთ ნივთიერება?</i>	<i>გაიუმჯობესოთ შედეგები ან მოიპოვოთ უპირატესობა მოწინააღმდეგეზე ამ სეზონზე?</i>
<b>პირველი</b>	<b>საშუალო</b>	3,06	1,36

ტალღა	სტ. გადახრა	1,393	0,774
მეორე ტალღა	საშუალო სტ. გადახრა	2,59 1,426	1,40 0,888
ჯამი	საშუალო სტ. გადახრა	2,83 1,425	1,38 0,826

სპორტსმენები, საკვები დანამატების სახით, ყველაზე ხშირად იყენებენ მცენარეული პროდუქტებსა ( $M=2.68$ ;  $SD=,470$ ) და ვიტამინებსა ან მინერალურ დანამატებს ( $M=2.6$ ;  $SD=1,348$ ), ხოლო ყველაზე იშვიათად ენერგეტიკულ ფილებსა ( $M=1,75$ ;  $SD=1,142$ ) და კრეატინს ( $M=1,78$ ;  $SD=1,181$ ).

საკვებ დანამატებთან მიმართებაში, ტალღების ან სპორტის სახეობების მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლენილა, თუმცა, დაფიქსირდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ენერგეტიკულ სასმელებთან და სპორტის სახეობასთან მიმართებაში ( $F(1)=8.917$ ;  $\eta^2=0.022$ ;  $p=0.003$ ), კერძოდ, ინდივიდუალური სპორტის სახეობით დაკავებული სპორტსმენები ( $M=1.93$ ;  $SD=1.143$ ) უფრო იშვიათად იღებენ სპორტულ/ენერგეტიკულ სასმელებს, ვიდრე სათამაშო სპორტით დაკავებულნი ( $M=2.34$ ;  $SD=1.381$ ).

## 5. ეთიკის ასპექტები და ღირებულებითი ორიენტაციები

სპორტსმენების დიდი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ის არასოდეს განიხილავდა აკრძალული ნივთიერებების გამოყენებას, რამდენიმე გამოკითხულის ინფორმაციით, ის მცირე დროით ფიქრობდა ნივთიერებების გამოყენებაზე, ხოლო მათი სიხშირე, ვინც დაადასტურა, რომ დიდი დროით ფიქრობდა ამ ნივთიერებების გამოყენებაზე ან, რომ ახლაც ფიქრობს ამ ნივთიერებების გამოყენებას, ერთეულებით შემოიფარგლება.

რაც შეეხება აკრძალული ნივთიერებების უშუალო გამოყენებას, მხოლოდ 7 ადამიანი აღნიშნავს, რომ გამოუყენებია ცოტა ხნით აკრძალული ნივთიერება და მხოლოდ 2-2 რესპოდენტი აღნიშნავს, რომ ახლაც იყენებს ამ ნივთიერებებს, მათგან 2 იყენებს რეგულარულად, ხოლო 2 პერიოდულად. ამასთან არ ვლინდება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება სპორტის სახეობებს შორის ( $X^2(6)=4.760$ ;  $p=0.344$ ), ისევე, როგორც ტალღებს შორის ( $X^2(6)=4.784$ ;  $p=0.341$ ).

ერთ-ერთ ფაქტორად, თუ რატომ არ იყენებს სპორტსმენი აკრძალულ ნივთიერებებს, განიხილება ის, რომ აკრძალული ნივთიერებების გამოყენების აღმოჩენა შესაძლებელია ლაბორატორიული ანალიზის ჩატარებით. აღნიშნულ ფაქტორზე დაკვირვების მიზნით, რესპოდენტებს მიეცათ შეკითხვა, იმის შესახებ, თუ რამდენად მიიქცევდა მათ ყურადღებას დაბალ ფასად, სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ ისეთი ნივთიერების მიღების შესაძლებლობა, რომლის აღმოჩენაც ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება.

სპორტსმენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ეს საერთოდ არ იქნებოდა მისთვის საინტერესო და არ მიიქცევდა მის ყურადღებას. ამასთან, დამაზუსტებელ შეკითხვაზე - იქიდან გამომდინარე, რომ სპორტსმენებზე ზეწოლა საკმაოდ ძლიერია, რამდენად შეძლებდნენ ისინი ნამდვილად უარი ეთქვათ ამ შესაძლებლობაზე - მიღებული პასუხების მიხედვით, სპორტსმენტთა თითმის სამი მეოთხედი (71%) დარწმუნებულია, რომ შეძლებს უარის თქმას. მათი გარკვეული ნაწილი არაგულწრფელი რომც იყოს, აღნიშნული მაჩვენებლები მაინც პოზიტიურად უნდა ჩაითვალოს, რადგან, ამ შემთხვევაში სიცრუის/რეალური განწყობის დამალვის მოტივაციას სპორტსმენის მხრიდან იმ ფაქტის აღიარება წარმოადგენს, რომ



აკრძალულ ნივთიერებათა მიღება არასწორი საქციელია, რაც მის ჯანსაღ ღირებულებით ორიენტაციებზე მიუთითებს.

ბოლო დროს, საკმაოდ მწვავე თემაა სპორტსმენების მიერ პატიოსანი და არაპატიოსანი ასპარეზობის საკითხები. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია გავიგოთ, თუ რა სახის დამოკიდებულება აქვთ სპორტსმენებს პატიოსან თამაშთან მიმართებაში გამოთქმულ მოსაზრებებზე. ამის დასადგენად, სპორტსმენებს ლაიკერტის ხუთქულიანი სკალით უნდა შეეფასებინათ თავიანთი დამოკიდებულება თითოეული დებულების მიმართ.

კვლევის პროცესში დადგინდა, რომ სპორტსმენებისთვის უკეთესი გრძობაა, როდესაც პატიოსნად იმარჯვებს, ვიდრე, როდესაც მოტყუებით ხდება გამარჯვებული ( $M=3,94$ ;  $SD=1.320$ ), ისევე როგორც ისინი აღნიშნავენ, რომ ყოველთვის ასპარეზობენ წესების დაცვით ( $M=3,72$ ;  $SD=1.203$ ). მონაწილეების აზრით, დროდადრო წაგება ნორმალურია, რადგან ცხოვრებაში ყოველთვის ვერ მოიგებ ( $M=3,29$ ;  $SD=1,302$ ). აღნიშნულ მაჩვენებლებთან მიმართებაში, პირველ და მეორე ტალღას შორის არ აღინიშნება მნიშვნელოვანი სხვაობა. რაც შეეხება, უპატიოსნო თამაშის ქმედებებს, გამოკითხულები მათ აფასებენ შედარებით უფრო ნაკლები ქულით, რაც მიუთითებს მათ უარყოფით დამოკიდებულებაზე თამაშის დროს მსგავს ქმედებებთან მიმართებაში.

ზოგადად, რომ ვთქვათ, სპორტსმენები უფრო მხარს უჭერენ პატიოსანი თამაშის წესებს, ვიდრე არაპატიოსანს, ამაზე მეტყველებს მათი ჯამური შეფასების საშუალო ქულა - კერძოდ, თუ არაპატიოსანი თამაშის აღმწერი მოქმედებების დებულებებს (1,2,3,5,6,8,10,11,13,15,17,18) კოდებს შევუცვლით შემდეგნაირად - 5=1, 4=2, 3=3, 2=4, 1=5 და შემდგომ მიღებულ ქულებს შევკრებთ თითოეული დებულებისთვის, ჩვენ მივიღებთ პატიოსანი თამაშის საერთო ქულას, სადაც მაქსიმალური ქულა არის 90, ხოლო მინიმალური ქულა არის 18. ამ პროცედურების ჩატარების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სპორტსმენები უპირატესობას, მართლაც ანიჭებენ პატიოსან თამაშს, რადგან მათი მიღებული საშუალო ქულა ( $M=64.2050$ ;  $SD=10.29991$ ) საგრძნობლად აღემატება შესაძლო საშუალო ქულას (45), რაც გვაძლევს ზემოთხსენებულის დადასტურების საშუალებას, რომ უპირატესობის მინიჭება ხდება პატიოსანი თამაშის წესებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ფიქსირდება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა სპორტის სახეობების მიხედვით ( $F(1)=18.262$ ;  $\eta^2=0.044$ ;  $p=0.000$ ), აღმოჩნდა, რომ სპორტის ინდივიდუალური სახეობებით დაკავებული სპორტსმენები ( $M=66.9867$ ;  $SD=10.33596$ ) უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პატიოსან თამაშს, ვიდრე სათამაშო სპორტით დაკავებულნი ( $M=62.5360$ ;  $SD=9.93031$ ). რაც შეეხება ტალღებს შორის სხვაობას, პირველ და მეორე ტალღას შორის არ აღინიშნება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსვლა.

ფაქტორული ანალიზის გამოყენებამ საშუალება მოგვცა გამოგვევლინა სპორტსმენთა ზოგადი ღირებულებითი ორიენტაციები ეთიკის სხვადასხვა ნორმების კონტექსტში.

სტატისტიკური ანალიზის შედეგად ოთხი ზოგადი ლატენტური ცვლადი/ფაქტორი გამოიყო. მათი ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეთიკის კონტექსტში გააზრებული ღირებულებითი ორიენტაციების მიხედვით ქართველ სპორტსმენებში ოთხი ჯგუფი გამოიყოფა:

- სიტუაციურად წესების დამრღვევი (პირველი ფაქტორი);
- წესების ფარგლებში მოწინააღმდეგის მდგომარეობიდან გამოყვანაზე ორიენტირებული (მეორე ფაქტორი)
- უკომპრომისო ეთიკის/მაღალ ღირებულებებსა და პატიოსან გამარჯვებაზე ორიენტირებული (მესამე ფაქტორი);
- მხოლოდ გამარჯვებაზე ორიენტირებული (მეოთხე ფაქტორი);

ცხრილი 33. სპორტსმენთა ზოგადი ღირებულებითი ორიენტაციები/ცვლადები

Rotated Component Matrix<sup>a</sup>

	Component			
	1	2	3	4
E_1 მოტყუებას არაფერი უშავს, თუ ვერავინ გაიგებს.	48.9%	34.1%	0.7%	31.6%
E_2 ხანდახან ვცდილობ მოწინააღმდეგის მდგომარეობიდან გამოყვანას/პროვოცირებას.	25.5%	75.4%	6.9%	0.9%
E_3 ვითაღლითებდი, თუკი ეს გამარჯვებას მომიტანდა.	74.1%	18.0%	-10.8%	14.4%
E_4 დროდადრო წაგება ნორმალურია, რადგან ცხოვრებაში ყოველთვის ვერ მოიგებ.	-1.3%	19.2%	59.3%	18.9%
E_5 წესებით არ არის აკრძალული მოწინააღმდეგეს ნერვები მოუშალო, ამიტომ შეიძლება ეს გააკეთო.	14.4%	76.9%	13.2%	8.4%
E_6 თუ სხვები თაღლითობენ, მეც შემიძლია იგივე გავაკეთო.	74.6%	24.9%	-0.6%	-7.6%
E_7 უკეთესი გრძნობაა, როცა პატიოსნად იგებ, ვიდრე როცა მოტყუებით იმარჯვებ.	-23.3%	11.2%	55.3%	50.1%
E_8 თუკი ვერ გამიგებენ, ვთაღლითობ.	77.8%	3.5%	-3.2%	-5.8%
E_9 სხვებზეც უნდა იფიქრო და არა მხოლოდ მოგებაზე.	-8.4%	0.5%	66.3%	8.3%
E_10 თუ არ მინდა რომ სხვამ კარგად იასპარეზოს, ცოტა ხელს ვუშლი/ყურადღებას ვუფანტავ.	38.8%	60.2%	-7.2%	0.5%
E_11 როცა საშუალება მეძლევა, ვატყუებ ოფიციალურ პირებს.	60.1%	24.9%	6.3%	-21.8%
E_12 მაღიზიანებს ადამიანები, რომლებიც ნებისმიერ ფასად ცდილობენ გამარჯვონ.	7.7%	-1.9%	68.3%	-13.7%
E_13 მოწინააღმდეგის მდგომარეობიდან გამოყვანა კარგი იდეაა.	26.6%	71.3%	2.8%	9.0%
E_14 მე ყოველთვის წესების დაცვით ვასპარეზობ.	-22.2%	-5.8%	50.7%	50.1%
E_15 მხოლოდ გამარჯვებაა ის, რაც ანგარიშშია ჩასაგდები.	18.0%	3.9%	7.3%	78.4%
E_16 არასდროს ვეცდები მოწინააღმდეგეს ნერვები მოვუშალო.	26.2%		42.4%	5.5%
E_17 ვითაღლითებდი თუ ჩავთვლიდი, რომ ეს მე ან ჩემს გუნდს დაეხმარებოდა.	69.0%	23.5%	-10.3%	19.8%
E_18 ჩემთვის გასაგებია როცა მოთამაშე დამაბულ მომენტში უცნაურო გამონათქვამს იყენებს.	27.2%	36.9%	17.4%	-5.6%

პირველ ფაქტორში ოთხი ცვლადი გაერთიანდა: ვითაღლითებდი, თუკი ეს გამარჯვებას მომიტანდა; თუ სხვები თაღლითობენ, მეც შემიძლია იგივე გავაკეთო;

თუკი ვერ გამიგებენ, ვთაღლითობ; ვითაღლითებდი თუ ჩავთვლიდი, რომ ეს მე ან ჩემს გუნდს დაეხმარებოდა; როცა საშუალება მეძლევა, ვატყუებ ოფიციალურ პირებს. ამ ფაქტორს, პირობითად, სიტუაციურად წესების დამრღვევი სპორტსმენი ვუწოდეთ.

მეორე ფაქტორი სამი ცვლადით არის წარმოდგენილი: ხანდახან ვცდილობ მოწინააღმდეგის მდგომარეობიდან გამოყვანას/პროვოცირებას; წესებით არ არის აკრძალული მოწინააღმდეგეს ნერვები მოუშალო, ამიტომ შეიძლება ეს გააკეთო; თუ არ მინდა რომ სხვამ კარგად იასპარეზოს, ცოტა ხელს ვუშლი/ყურადღებას ვუფანტავ; მოწინააღმდეგის მდგომარეობიდან გამოყვანა კარგი იდეაა. ამ ფაქტორს პირობითად წესების ფარგლებში მოწინააღმდეგის მდგომარეობიდან გამოყვანაზე ორიენტირებული სპორტსმენის ფაქტორი ვუწოდეთ.

მესამე ფაქტორში ოთხი ცვლადი შევიდა: დროდადრო წაგება ნორმალურია, რადგან ცხოვრებაში ყოველთვის ვერ მოიგებ; უკეთესი გრძნობაა, როცა პატიოსნად იგებ, ვიდრე როცა მოტყუებით იმარჯვებ; სხვებზეც უნდა იფიქრო და არა მხოლოდ მოგებაზე; მალიზიანებს ადამიანები, რომლებიც ნებისმიერ ფასად ცდილობენ გაიმარჯვონ და მე ყოველთვის წესების დაცვით ვასპარეზობ. ამ ფაქტორს უკომპრომისო ეთიკის/მაღალ ღირებულებებსა და პატიოსან გამარჯვებაზე ორიენტირებული სპორტსმენის ფაქტორი ვუწოდეთ.

მეოთხე ფაქტორი მხოლოდ ერთი ცვლადით: მხოლოდ გამარჯვებაა ის, რაც ანგარიშშია ჩასაგდები არის წარმოდგენილი. ამ ფაქტორს მხოლოდ გამარჯვებაზე ორიენტირებული სპორტსმენის ფაქტორი ვუწოდეთ.

აღსანიშნავია, რომ ცვლადი: მოტყუებას არაფერი უშავს, თუ ვერავინ გაიგებს თანაბარ სიახლოვეს ამჟღავნებს პირველ და მეორე ფაქტორებთან, რაც იმის მიმანიშნებელი შეიძლება იყოს, რომ ამ ორი ტიპის სპორტსმენებს ტყუილთან მიმართებაში თანაბრად კომპრომისული მდგომარეობა უკავიათ.

სასურველია, ფაქტორული ანალიზის ეს შედეგები მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული სპორტსმენთა ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებულ

ღონისძიებებში და ამ პერსპექტივაში კვლევა შემდგომიც სიღრმისეულად და ფოკუსირებულად გაგრძელდეს.

ამ ასპექტით, უაღრესად მნიშვნელოვანი იქნებოდა, აგრეთვე, უკომპრომისო ეთიკის/მაღალ ღირებულებებსა და პატიოსან გამარჯვებაზე ორიენტირებული სპორტსმენების წახალისება, მათზე აქცენტირება და მათი, როგორც ნდობის აგენტების გამოყენება სპორტსმენებში ჭეშმარიტი სპორტის სულის, მაღალი ღირებულებითი ორიენტაციებისა და ეთიკის განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით.

## 6. სპორტსმენტა ცნობიერების ამაღლება - ეფექტური გზა დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაში

ინოვაციური ბიო-სამედიცინო ტექნოლოგიების უსწრაფესი განვითარების ფონზე, სპორტსმენტა ინფორმირებულობის ზრდა, ცნობიერების უწყვეტი ამაღლება ანტიდოპინგური განწყობის ფორმირებისა და განვითარების აუცილებელი პირობაა. შესაბამისად, კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა ტრენინგის, როგორც ანტიდოპინგური განწყობის ხელშემწყობი ფაქტორის ეფექტიანობის შეფასება საკვლევ პოპულაციაში. ამ მიზნით, მულტივარიაციული ანალიზის მეთოდების საშუალებით, განხორციელდა ინტეგრირებული მაჩვენებლის - ინდექსის შემუშავება, რომელსაც, პირობითად, ტრენინგის ეფექტიანობის ინდექსი ვუწოდეთ.

თავდაპირველად, საშუალოთა შედარების მეთოდით, განხორციელდა ყველა იმ ცვლადის იდენტიფიცირება, რომელთა მიხედვითაც განსხვავება პირველ და მეორე ტაღებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. სულ გამოვლინდა ოცი ასეთი ცვლადი, რომელთა მიმართაც ჩატარდა ფაქტორული ანალიზი და მოხდა მათი რედუქცია - გამოიყო ექვსი ზოგადი ფაქტორი (ცვლადი). ფაქტორებში შემავალი ცვლადების შინაარსის მიხედვით, მათ, „აკრძალულ ნივთიერებათა მოკლევადიანი გამოყენების დამაზიანებელი ეფექტი“, „თაღლითობის მოტივაციები“, „მოსმენის სამართლიანობა“, „ტესტირებასთან დაკავშირებული სამართლიანობისა და პასუხისმგებლობის მექანიზმები“; „აკრძალულ ნივთიერებათა გამოყენების დაფარვის რწმენა“ და „ადამიანის ზრდის ჰორმონის ტესტირების ფაქტორი“ ვუწოდეთ.

პირველ ფაქტორში („აკრძალულ ნივთიერებათა მოკლევადიანი გამოყენების დამაზიანებელი ეფექტი“) ექვსი ცვლადი გაერთიანდა: ანაბოლური სტეროიდების, ბეტა-ბლოკერების, დიზაინ სტეროიდების (როგორცაა ტეტრაჰიდროგესტინონი), ერითროპოეტინისა (EPO) და სხვა მსგავსი ნივთიერებების, ადამიანის ზრდის

ჰორმონის და დიურეტიკების მოკლე დროით (ორ თვემდე) მიღებით გამოწვეული ჯანმრთელობის ზიანის შეფასება. სპორტსმენტებმა ოთხქულიანი სკალით (1 – „არ მიაყენებს ზიანს“; 4 – „ძლიერ დააზიანებს“) შეაფასეს, მათი აზრით,

რა ხარისხის ზიანი შეიძლება მიაყენოს მათ ჯანმრთელობას აღნიშნული ნივთიერებების მოკლე დროით, ვთქვათ, ორ თვემდე მიღებამ.

მეორე ფაქტორში („თაღლითობის მოტივაციები“) სამი ცვლადია წარმოდგენილი: „ვითაღლითებდი, თუკი ეს გამარჯვებას მომიტანდა“; „თუ სხვები თაღლითობენ, მეც შემძლია იგივე გავაკეთო“; „ვითაღლითებდი თუ ჩავთვლიდი, რომ ეს მე ან ჩემს გუნდს დაეხმარებოდა“. სპორტსმენებმა ხუთქულიანი სკალით (1 – „სრულიად არ ვეთანხმები“; 5 – „სავსებით ვეთანხმები“) შეაფასეს, თუ რამდენად ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან ზემოაღნიშნულ დებულებებს.

მესამე ფაქტორში („სამართლიანი მოსმენა“) სამი ცვლადია ინტეგრირებული: „რამდენად კმაყოფილი ხართ იმით, რომ სპორტსმენებს, რომელთაც გაასაჩივრეს არასასურველი შედეგი, საქართველოში ეძლევათ სამართლიანი განხილვის საშუალება?“ „რამდენად კმაყოფილი ხართ იმით, რომ სპორტსმენებს თქვენი სპორტის სახეობაში, რომელთაც გამოუვლინდათ არასასურველი შედეგი, ექნებათ სამართლიანი მოსმენის საშუალება, სანამ დააკისრებენ სასჯელს?“ და „რამდენად კმაყოფილი ხართ იმით, რომ სპორტსმენებს, რომელთაც გაასაჩივრეს არასასურველი შედეგი, სპორტში საარბიტრაჟო სასამართლოში, ექნებათ სამართლიანი მოსმენა?“ შეფასება განხორციელდა ოთხქულიანი სკალით (1 – „ძალიან კმაყოფილი“; 4 – „ძალიან უკმაყოფილო“).

მეოთხე ფაქტორში („ტესტირებასთან დაკავშირებული სამართლიანობისა და პასუხისმგებლობის მექანიზმები“) გაერთიანდა: „როგორ იცით ან გსმენიათ, დადებითი ტესტირების შემთხვევაში სასჯელი მძიმეა თუ მსუბუქი?“ (გაზომვა განხორციელდა ოთხქულიანი სკალით; 1 – „ძალიან მძიმე“; 4 – „ძალიან მსუბუქი“), „რამდენად თანაბრად სამართლიანია საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტო ყველა სპორტსმენის მიმართ?“ (გაზომვა განხორციელდა ოთხქულიანი სკალით; 1 – „ძალიან სამართლიანია“; 4 – „ძალიან უსამართლოა“) და „რამდენად ხდება საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ ტესტირების პროცედურების დაცვა? (როგორცაა, სინჯების აღება და დაცვა)?“ (გაზომვა განხორციელდა ოთხქულიანი სკალით; 1 – „სავსებით დაცულია“; 4 – „სრულიად არ არის დაცული“).

მეხუთე ფაქტორში („აკრძალულ ნივთიერებათა გამოყენების დაფარვის რწმენა“) შევიდა: „თუ თქვენ მიიღებთ აკრძალულ ნივთიერებას საშეჯიბრო

პერიოდში, დაფარვის მცდელობის შემთხვევაში, რამდენად სავარაუდოა, რომ ვერავინ ვერაფერს გაიგებს?“ და „თუ თქვენ მიიღებთ აკრძალულ ნივთიერებას არასაშეჯიბრო პერიოდში, დაფარვის მცდელობის შემთხვევაში, რამდენად სავარაუდოა, რომ ვერავინ ვერაფერს გაიგებს?“ (გაზომვა განხორციელდა ხუთქულიანი სკალით; 1 – „ძალიან სავარაუდოა“; 5 – „შეუძლებელია“).

მეექვსე ფაქტორი წარმოადგენილია ერთადერთი ცვლადით. სპორტსმენებს უნდა შეეფასებინათ, თუ, მათი აზრით, რამდენად ზუსტად არის შესაძლებელი ტესტირების დროს ადამიანის ზრდის ჰორმონის განსაზღვრა. შეფასება ხდებოდა ხუთქულიანი სკალით ( 1- „ძალიან ზუსტად“; 5 – „სრულიად არაზუსტად“).

როგორც ლოგისტიკური რეგრესიული ანალიზი გვიჩვენებს, ტალღებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებას პირველი ხუთი ფაქტორი განაპირობებს. შესაბამისად, მოხდა მეექვსე ფაქტორის (Sig.=0.816) ამოღება შემდგომი ანალიზიდან (ინდექსის ფორმირებაში მეექვსე ფაქტორი არ მონაწილეობს).

ამასთან, აღსანიშნავია, რომ პირველი ხუთი ფაქტორიდან, თითოეულის ზემოქმედების ხვედრითი წილი საკმაოდ მაღალია, თუმცა, მეხუთე ფაქტორის („აკრძალულ ნივთიერებათა გამოყენების დაფარვის რწმენა“) წონა აღემატება ყველა დანარჩენს:

**ცხრილი 34. ფაქტორული ანალიზის შედეგები**

ფაქტორები	Sig.	Exp(B)
აკრძალულ ნივთიერებათა გამოყენების დაფარვის რწმენა	.000	1.64
ტესტირებასთან დაკავშირებული სამართლიანობისა და პასუხისმგებლობის მექანიზმები	.001	1.45
მოსმენის სამართლიანობა	.001	1.45
თაღლითობის მოტივაციები	.002	1.40
აკრძალულ ნივთიერებათა მოკლევადიანი გამოყენების დამაზიანებელი ეფექტი	.004	1.38
ადამიანის ზრდის ჰორმონი	.816	




ინდექსის ფორმირების შემდგომ ეტაპზე, მთავარ კომპონენტთა მეთოდით, ფაქტორული ანალიზის მრავალჯერადი გამოყენებით, შეიქმნა ხუთი ახალი ფაქტორი. თითოეული მათგანის ფორმირებაში მონაწილეობდა მხოლოდ ის ცვლადები, რომლებმაც, თავდაპირველად ჩატარებული ფაქტორული ანალიზის შედეგად, შესაბამის ფაქტორში მიიღეს მაღალი წონები. ახალი ფაქტორების საფუძველზე კი, იგივე მეთოდით, განხორციელდა ერთი ზოგადი ფაქტორის ფორმირება, რომელიც, მაქსიმალური დისპერსიის გამო, აღნიშნული ხუთი ფაქტორის ერთით ჩანაცვლების საუკეთესო ვარიანტს წარმოადგენს.

ერთი, ზოგადი ფაქტორის მიღებამ, თავის მხრივ, შესაძლებელი გახადა, ერთიანი ინდექსის შემოღება. სახელდობრ, განხორციელდა ფაქტორის ნორმირება ნულსა და ერთს შორის წრფივი გარდაქმნით, ისე, რომ ფაქტორის მინიმალურ მნიშვნელობას შეესაბამება ინდექსის მინიმალური მნიშვნელობა (0), ხოლო ფაქტორის მაქსიმალურ მნიშვნელობას - ინდექსის მაქსიმალური მნიშვნელობა (1).


ინდექსის საფუძველზე, პირველ და მეორე ტალღებს შორის არსებული განსხვავების მიხედვით, რომელიც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (Sig.=0.000) შეფასდა ტრენინგის ეფექტიანობა. სახელდობრ, განსხვავებამ მათ შორის, შეადგინა 0.13. იქიდან გამომდინარე, რომ ეს მაჩვენებელი პირველი ტალღის მნიშვნელობის თითქმის მესამედს (28.7%) შეადგენს, შესაძლებელია ტრენინგი საკმაოდ ეფექტიანად მივიჩნიოთ.

**გრაფიკი 6 ტრენინგის ეფექტურობა**




ინდექსის მიხედვით, ტრენინგი ეფექტიანია იმ სპორტსმენებისათვის, რომლებსაც საერთაშორისო ან ეროვნულ დონეზე ასპარეზობის გამოცდილება გააჩნიათ (ორივე შემთხვევაში, განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია), ხოლო იმ სპორტსმენებისათვის, რომლებიც ჯერ-ჯერობით, ქალაქის/რაიონის დონით შემოიფარგლებიან, ტალღებს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის, რაც ამ კატეგორიის სპორტსმენებში ტრენინგების ნაკლებად ეფექტიანობის მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს.

**გრაფიკი 7 ინდექსის მნიშვნელობა საერთაშორისო და ეროვნული დონის სპორტული შეჯიბრებების მიხედვით**



ტრენინგი ეფექტიანია როგორც სათამაშო, ისე - ინდივიდუალური სპორტის წარმომადგენელთათვის. ორივე შემთხვევაში, განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სათამაშო სპორტის შემთხვევაში, განსხვავების მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე, იმ სპორტსმენებში, რომლებიც სპორტის ინდივიდუალური სახეობებით არიან დაკავებულნი:

**გრაფიკი 8 ტრენინგის ეფექტურობა სათამაშო და ინდივიდუალურ სპორტის სახეობებში დაკავებული სპორტსმენებისათვის**




ტრენინგი ეფექტიანია 18-29 წწ ასაკობრივი ჯგუფებისათვის (განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია). 30 წლის ან მეტი ასაკის სპორტსმენებისთვის კი განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის. აღსანიშნავია, რომ ეფექტიანობის თვალსაზრისით, 26-29 წწ ასაკობრივი ჯგუფი მკვეთრად გამოირჩევა, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ 26-29 წელი სპორტსმენებისათვის არის, როგორც ფიზიკური მონაცემების ასევე გამოცდილების, ფსიქოლოგიური მდგრადობის, საუკეთესო სპორტული შედეგის ჩვენების სურვილის მაქსიმალური გამოვლინების, ასაკი. შესაბამისად სპორტსმენი ცდილობს სრულად გაითავისოს და შეასრულოს მაღალი სპორტული შედეგებისაკენ მიმავალი ნებისმიერი დამაბრკოლებელი ნიუანსი, მათ შორის ანტიდოპინგური წესების შესაძლო უნებლიე თუ წინასწარ განსაზღვრული დარღვევა და მისი შედეგებიც. რაც გამოიხატა სემინარების ეფექტიანობის სტატისტიკურად მნიშვნელოვან სხვაობაში.

26 წლამდე ასაკის სპორტსმენების უმრავლესობას, თუ ისინი გარკვეულ ტიტულებს უკვე არ ფლობენ, მაღალი დონის სპორტულ შეჯიბრებებში ასპარეზობის გამოცდილება ნაკლებად აქვთ. ისინი უფრო მეტად დამოკიდებული არიან მრწვთნელისა და სამედიცინო პერსონალის რეკომენდაციებზე, ამიტომ ფიქრობენ, რომ ანტიდოპინგურ საკითხებზე რჩევებს მათგან მიიღებენ.

ასევე 30 წლის ზედა ასაკის სპორტსმენების უმრავლესობას, რომელთა სპორტული შედეგების მაჩვენებლები საშუალოს არ აღემატება, ფიქრობენ რა, რომ კარიერის დასასრული ახლოსაა და მათთვის, ანტიდოპინგურ სემინარებზე, ყურადღების კონსოლიდაცია საჭირო აღარ არის.

გრაფიკი 9 ტრენინგის ეფექტურობა სპორტსმენების ასაკის მიხედვით



დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ცნობიერების ამაღლება უაღრესად მნიშვნელოვანია სპორტსმენებში ანტიდოპინგური განწყობის ფორმირებისთვის.

შესაბამისი პროგრამების შემუშავებისას რეკომენდებულია იმ ფაქტორების როლისა და სპეციფიკის სათანადოდ გააზრება, რომლებიც არსებითად აისახება ცნობიერების ამაღლებაზე სპორტსმენტთა სხვადასხვა ჯგუფის თავისებურებების (ასაკი, ასპარეზობის გამოცდილება, სპორტის სახეობა და სხვა) გათვალისწინებით.

## 7. სპორტსმენთა დამოკიდებულება დოპინგის მიმართ - კვლევის მეორე ფაზა

რაოდენობრივი კვლევის ძირითადი შედეგების ახსნის, შევსებისა და კონტექსტუალიზაციის, დოპინგის მიმართ სპორტსმენთა დამოკიდებულებისა და იმ ფაქტორების სიღრმისეული კვლევის მიზნით, რომლებიც მის ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, ჩატარდა კომბინირებული ორ ეტაპიანი თვისებრივი კვლევა: 6 ფოკუს-ჯგუფი და 10 სიღრმისეული ინტერვიუ.

ფოკუს-ჯგუფების შემადგენლობა და ძირითადი საკვლევი კითხვები განისაზღვრა რაოდენობრივი კვლევის ძირითადი შედეგების მიხედვით, ხოლო სიღრმისეული ინტერვიუების ძირითადი საკვლევი კითხვები განისაზღვრა როგორც რაოდენობრივი კვლევის, ისე - ფოკუს-ჯგუფების ძირითადი შედეგების გათვალისწინებით.

ფოკუს-ჯგუფების წევრთა შერჩევა განხორციელდა მიზნობრივი შერჩევის ტექნიკით. სამიზნე ჯგუფად შეირჩა საკვლევ სპორტულ ფედერაციებში გაერთიანებული სპორტსმენები. შერჩევის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენდა სქესი, ასაკი, სპორტის ზოგადი სახეობა (სათამაშო სპორტი და ინდივიდუალური სპორტი) და საერთაშორისო ან ეროვნულ დონეზე ასპარეზობის გამოცდილება. თითოეულ ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობდა 8 რესპონდენტი. ფოკუს-ჯგუფის არცერთი მონაწილე არ იყო სპორტსმენი, რომელიც წარმოადგენდა რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტს.

ფოკუსირებული დისკუსიის საშუალო ხანგრძლივობას წარმოადგენდა 90 წუთი.

კვლევის ძირითადი ინსტრუმენტი - ფოკუს-ჯგუფის გზამკვლევი, მომზადდა უკვე არსებული საერთაშორისო გამოცდილების, აგრეთვე, შესაბამის ეროვნულ უწყებებთან და ექსპერტებთან კონსულტაციების საფუძველზე.

### 7.1 დოპინგის, როგორც გამოწვევის ზოგადი აღქმა

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტთა შეფასებით, დოპინგის გამოყენება უფრო საერთაშორისო სპორტის გამოწვევას

წარმოადგენს, ქართულ სპორტში კი ის ნაკლებად აქტუალურია - იმდენად იშვიათია, რომ გამონაკლის შემთხვევებად შეიძლება ჩაითვალოს:

*„საქართველოში იმდენად არა, საზღვარგარეთ უფრო მოიხმარენ“*  
(კაცი, 21 წ. ჭიდაობა).

*„საქართველოში ასეთი რამ არც მსმენია. დიდ ქვეყნებში უფრო გამიგია“*  
(კაცი, 18 წ. ძიუდო)

*„ჩვენთანაც არის შემთხვევები, მაგრამ, ძალიან იშვიათად“.*  
(კაცი, 18 წ. უროს ტყორცნა)

*„ვიღაცა, ვინც ფინანსურად ძლიერია, მოიხმარს დოპინგს და ჩვენზე (ქართველ სპორტსმენებზე) კარგ ფორმაშია“ (ქალი 21 წ. ბატუტზე ხტომა).*

*„ჩვენ ქვეყანაში არც არის მაგის შესაძლებლობა“ (ქალი 25 წ. მძლეოსანი).*

აღსანიშნავია, რომ სპორტსმენები, ამას, ძირითადად, საქართველოს, როგორც განვითარებადი ქვეყნის თავისებურებებით ხსნიან და მიუთითებენ, რომ შესაბამისი ეკონომიკური, საინფორმაციო თუ ტექნოლოგიური რესურსები ჩვენს ქვეყანაში ჯერ-ჯერობით, საკმაოდ მწირია.

მათი აზრით, დოპინგის მიღება გაცნობიერებულად ხდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ორგანიზმში აკრძალული ნივთიერების აღმოჩენის რისკების სწორად გათვლა. შესაბამისად, ამ მხრივ უპირატესობა აქვთ განვითარებული ქვეყნების სპორტსმენებს, რადგან მეტი ხელმისაწვდომობა აქვთ ისეთი ტიპის ნივთიერებებზე, რომელთა შეტანაც აკრძალულ სიაში ჯერ კიდევ არ მომხდარა ან რომელთა აღმოჩენაც სპორტსმენტა დოპინგ-ტესტირების შედეგად ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება.

*„შესაძლოა ჩვენზე უფრო ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებში ხელმისაწვდომი იყოს ახალი თაობის დოპინგის, რომელიც არ ვარდება ტესტირების დროს“ (კაცი, 26 წ. მძლეოსანი).*

*„ვარჯიშის დროს არა მგონია მოიხმარდნენ, როგორც ვიცი შეჯიბრებამდე 2 თვით ადრე იღებენ. ამ ყველაფერში თუ არ ხარ გარკვეული, ვერ გარისკავ კაცი“*  
(კაცი, 19 წ. მოჭიდავე).

*„ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებში მუდმივად მუშაობენ ისეთი ნივთიერების შექმნაზე, რასაც ტესტი ვერ ამოაგდებს“ (კაცი, 20 წ. მძლეოსანი).*

„დოპინგს ყველა წარმატებული სპორტსმენი გამოიყენებს, შეუძლებელია ასეთი შედეგების დადება დოპინგის გარეშე“ (კაცი 24 წ. ბირთვის კვრა).

„ჩინეთში იყენებენ ისეთ ბუნებრივ ნივთიერებებს, რომლებიც სპორტულ შედეგს აუმჯობესებს მაგრამ დოპინგად არ ითვლება (ქალი 29 წ. ბატუტზე ხტომა).

თუ გავითვალისწინებთ, რომ დოპინგის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას რესპონდენტები, ძირითადად, მისი აღმოჩენის, შესაბამისად, ანტიდოპინგური სანქციების რისკებს უკავშირებენ და მხედველობაში არ იღებენ ისეთ ფაქტორებს, როგორცაა ადამიანის ჯანმრთელობა, სამართლიანი სპორტის იდეა თუ ბიოეთიკის პრინციპები, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დოპინგი საქართველოსთვის ჯერ კიდევ მომავლის გამოწვევაა.

თუ გლობალურ განვითარებულ სამყაროში ინტეგრირების პარარელურად, ჩვენს ქვეყანაში არ განხორციელდება სათანადო პრევენციული ღონისძიებები, საქართველოს ფინანსურ, საკომუნიკაციო და ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, მოსალოდნელია დოპინგის, როგორც გამოწვევის აქტუალიზაცია, რასაც, სავარაუდოდ, მწვავე და ფართომასშტაბიანი შედეგები ექნება.

ყველა ფოკუს-ჯგუფში დასაწყისიდანვე გამოვლინდა, რომ სპორტსმენთათვის დოპინგთან დაკავშირებით, როგორც ძირითად საინფორმაციო წყაროს, ისე - მთავარ პასუხისმგებელ და გადაწყვეტილების მიმღებ პირს პირს მწვრთნელი წარმოადგენს.

## **7.2 სპორტსმენთა ინფორმირებულობა აკრძალულ ნივთიერებათა სიის შესახებ**

კვლევის პერიოდში საქართველოს კანონმდებლობით არ იყო განსაზღვრული დოპინგის ცნება, ეროვნული ანტიდოპინგური წესები და აკრძალულ ნივთიერებათა სია, რის გამოც GADA აფორმებდა ხელშეკრულებებს ეროვნულ სპორტულ ფედერაციებთან, რომლის საგანს წარმოადგენდა „ანტიდოპინგური პოლიტიკის გატარება და ხელშეწყობა“.

ხელშეკრულებით განისაზღვრებოდა ხელმომწერი ეროვნული ფედერაციის ვალდებულებები, მათ შორის: ელიარებინა ანტიდოპინგურ სფეროში მოქმედი კანონმდებლობა: მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსი, ტესტირების და მოკვლევის საერთაშორისო სტანდარტი და საქართველოს ეროვნული ანტიდოპინგური

სააგენტოს „ანტიდოპინგური წესები“, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია მსოფლიო სტანდარტებთან.

აკრძალულ ნივთიერებათა სიის შესახებ სპორტსმენთა ცოდნა ძირითადად შემოიფარგლება ამ ჩამონათვალის არსებობის შესახებ ინფორმაციის ქონით. ნაწილმა იცის, რომ ყოველწლიურად ხორციელდება სიის განახლება.

სპორტსმენთა ინფორმირების პოზიტიურ მაგალითებად დასახელდა ჭიდაობის ფედერაციაში ექიმის მიერ აკრძალული სიის სპორტსმენებისთვის ელექტრონული ფოსტით დაგზავნა და ძიუდოს ფედერაციის მწრთვნელის მიერ ბუკლეტის სახით მიწოდება, რამაც პოზიტიური შედეგები - სპორტსმენთა მხრიდან მეტი ინფორმაციის მიღებისა და შესაბამისად ანტიდოპინგურ სემინარზე დასწრების სურვილი გამოიწვია.

*„ სემინარზე გაცილებით მეტი რამ გავიგე დოპინგის შესახებ, რაც ბუკლეტში იყო მოცემული, ასევე ჩემი შეკითხვების პასუხად ამიხსნეს პრაქტიკულად სად და როგორ მოვიძიო ჩემთვის საჭირო ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე (კაცი, 20 წ. ძიუდოს მოჭიდავე).*

თუმცა, აღნიშნულ შემთხვევებშიც, სიის მიწოდების მიუხედავად, სპორტსმენებმა ვერ გაიხსენეს მასში შემავალი ნივთიერებების დასახელებათა ნაწილიც კი.

საინტერესოა, რომ დოპინგთან დაკავშირებული საკითხების მიმართ სპორტსმენთა არაინფორმირებულობას ჯაჭვური ხასიათი აქვს - გარკვეული ინფორმაციის სიმწირე სხვა, მასზე ბაზირებული ინფორმაციის მიმართ ინტერესის (შესაბამისად კი, ცოდნის) დეფიციტს განპირობებს:

სპორტსმენები აღნიშნავენ, რომ აკრძალულ ნივთიერებათა სიაში მითითებულია ნივთიერების საერთაშორისო დასახელება, რომელიც სხვადასხვა განსხვავებული დასახელების მედიკამენტების შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ლეგალურად შეძენილ ყოველ მედიკამენტს აუცილებლად თან ახლავს იმ ნივთიერებათა დეტალური ჩამონათვალი, რომლებსაც ის შეიცავს, ამ სიით სარგებლობა, შესაბამისი ინფორმირებულობის შემთხვევაში, ნებისმიერი ადამიანისათვის ელემენტარულ საკითხს უნდა წარმოადგენდეს.



აღნიშნულ საკითხზე ფოკუსირებისას ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი სპორტსმენი დანიშნული მედიკამენტების გამოყენების დოზინგ რისკებს განიხილავს საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს წარმომადგენელთან:

კვლევის შედეგები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სპორტსმენებს არ აქვთ გაცნობიერებული, რა პროცესებს იწვევს აკრძალული ნივთიერებებისა და მეთოდების გამოყენება ორგანიზმში, როგორია მათი მოკლე და გრძელვადიანი შედეგები:

„გამიჭირდება რაიმე კონკრეტულის თქმა“; *(კაცი, 17 წ. ფარიკაობა);*

„ალბათ იმ წუთებში ძალას მატებს“ *(კაცი, 18 წ. მორბენალი);*

თუმცა, ზოგადი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აკრძალულ სიაში შეტანილ ნივთიერებათა გამოყენება გარკვეულ რისკებს უკავშირდება, მათთვის ცნობილია. რაც შეეხება კონკრეტულ რისკებს დასახელდა:

- დოზირების დარღვევის რისკი;
- გრძელვადიანი მოხმარების შემთხვევაში, დამოკიდებულების ჩამოყალიბების რისკი;
- გრძელვადიანი მოხმარების შემთხვევაში, გულისა და ღვიძლის დაავადებების რისკები;
- სტეროიდების გრძელვადიან გამოყენების შემთხვევაში იმპოტენციის და უშვილობის რისკი;
- სტიმულატორების მაღალი დოზების გამოყენების დროს უეცარი სიკვდილის რისკი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინფორმაციის დეფიციტი განაპირობებდა დაუინტერესებლობას სხვა, შესაბამისი ინფორმაციის მიმართაც. დისკუსიისას გამოვლინდა, შებრუნებული მიმართებაც - უკვე მიღებული ინფორმაცია წარმოადგენს ინფორმაციის გაღრმავებისა და დეტალიზების მოტივაციას: დისკუსიის პროცესში დასახელებული რისკები იმ მონაწილეებისთვის, რომლებსაც ამის შესახებ მანამდე არ სმენოდათ, ინფორმირებულობის ზრდის მასტიმულირებელი ფაქტორი აღმოჩნდა. ეს შედეგი, თავის მხრივ, მხარს უჭერს კვლევის წინა ეტაპის მიგნებას იმის შესახებ, რომ ცნობიერების ამაღლება ანტიდოპინგური კამპანიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მდგენელს წარმოადგენს:

„დღეს ისეთი რამეები გავიგე, რაც აქამდე არ მსმენოდა, მეტად დავინტერესდი, აქედან გასული ჩემს მეგობრებსაც ვეტყვი, რაც გავიგე. სიამოვნებით დავესწრები ტრენინგებს“ (კაცი, 18 წ, მოჭიდავე);

„სემინარები აუცილებელია ჩვენთვის, რათა თავიდან ავიცილოთ აკრძალული პრეპარატების უნებლიე გამოყენება“ (ქალი 21 წ. ბატუტზე ხტომა);

„არ ვიცოდი, რომ ნებისმიერი ექიმის დანიშნული მედიკამენტების მიღება შესათანხმებელია გუნდის ექიმთან ან ანტიდოპინგური სააგენტოს წარმომადგენელთან“ (კაცი 16 წ. ძალოსანი).

### 7.3 სპორტსმენთა ინფორმირებულობა ანტიდოპინგური წესებისა და სანქციების შესახებ

მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ შემუშავებულია ანტიდოპინგური 11 წესი, რომელთა დარღვევაც სხვადასხვა ტიპის სანქციებს უკავშირდება. კვლევის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ რამდენად არიან სპორტსმენები გათვითცნობიერებულნი აღნიშნულ საკითხებში. როგორც აღმოჩნდა რესპონდენტთა უმრავლესობა ინფორმაციას ფლობს იმის შესახებ, რომ დარღვევად ითვლება:

- ორგანიზმში აკრძალული ნივთიერების აღმოჩენა;
- სინჯის აღებაზე უარის თქმა/ვერ ჩაბარება;
- დათქმულ ადგილზე და დროზე არ ყოფნა;
- დოპინგკონტროლის ნებისმიერი

ნაწილის ფალსიფიცირება/მცდელობა,

სპორტსმენებს არ სმენიათ იმის შესახებ, რომ ანტიდოპინგური წესების დარღვევად ითვლება სისხლის გადასხმა (საკუთარისაც კი), გარდა სამედიცინო დაწესებულების პირობებში და ექიმის დანიშნულებისა, 100 მლ-ზე მეტი ნებისმიერი სითხის გადასხმა, აკრძალული ნივთიერებების ტრეფიკინგი (არალეგალური ვაჭრობა) გამოყენების მცდელობა, აკრძალული ნივთიერების თან ქონა, თუნდაც კუთვნილ მანქანაში. გარდა ამისა, მათ არა აქვთ ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ აკრძალული ნივთიერების ქონა, გარდა კოდექსით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, აკრძალულია მრწვთნელებისა და სპორტსმენის ექიმისთვისაც, არ იციან, რომ დარღვევაა ანტიდოპინგური წესის დარღვევისკენ

მოწოდება/წაქეზება/ფაქტის დამალვა და რომ დისკვალიფიკაცია შეიძლება შეეხოს სპორტსმენის დამხმარე პერსონალს ანტიდოპინგური წესების დამრღვევ პირთან კოდექსით განსაზღვრული აკრძალული კავშირების გამო. ასევე ანტიდოპინგური წესის დარღვევად ითვლება პირის მიერ დოპინგის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებისათვის ან ანტიდოპინგური ორგანიზაციებისათვის მიწოდების ხელის შეშლა.

აღსანიშნავია, რომ სპორტსმენებს არ აქვთ ზუსტი ინფორმაცია დისკვალიფიკაციის მინიმალური ხანგრძლივობის თაობაზე, ასევე უჭირთ განსაზღვრონ კონკრეტული ანტიდოპინგური წესის დარღვევას რა პროცედურა და სანქცია მოსდევს თან:

*„მინიმალური დისკვალიფიკაციაა 6 თვე, მაგალითად მარიხუანას პირველ მოხმარებაზე გაფრთხილება, განმეორებითზე - 6 თვე“ (კაცი, 23 წ. ჭიდაობა).*

*„მინიმალური დისკვალიფიკაციის ვადა 2 წელია“ (კაცი, 18 წ. ძიუდო);*

*„როგორც გავიგე, ახლა უფრო გამკაცრდა წესები“ (კაცი, 20 წ. მძლეოსანი);*

*„ჯილდოს ჩამორთმევის გარდა ხდება დისკვალიფიკაცია, რომლის ვადაც დამოკიდებულია მოხმარების სიმძიმეზე, როგორც სასამართლოა მსგავსი რამ ხდება და ის წყვეტს. მაგალითად, არის ორწლიანი დისკვალიფიკაცია“ (კაცი, 19 წ. ჭიდაობა);*

*„ჯარიმა თუ ეკისრება სპორტსმენს არ ვიცი, გამიგია რომ არსებობს სამუდამო დისკვალიფიკაცია“ (კაცი, 16 წ. კლასიკური ჭიდაობა);*

*„დარბაზში შესვლის უფლება არა აქვთ, ჩვენთან 2013-ში ჩავარდა ერთი და ორწლიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა და სხვა სპორტსმენთან ვარჯიშის უფლება არ ჰქონდა, არც მინახავს დარბაზში. შესაძლოა, ჩვენ რომ არ ვიყავით დარბაზში მაშინ აძლევდნენ ვარჯიშის უფლებას“ (კაცი, 19 წ. ჭიდაობა);*

*„არ მსმენია, რომ დისკვალიფიკაციის დროს დარბაზის გამოყენების უფლება არა ქონდეს სპორტსმენს. ვიცი, რომ მაინც ვარჯიშობენ, უსამართლოც მგონია ამის აკრძალვა სპორტსმენისთვის“ (კაცი, 17 წ. ჭიდაობა).*

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებს, პრაქტიკიდან გამომდინარე, აქვთ ინფორმაცია, რომ ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამო სანქცია ეხება მხოლოდ სპორტსმენს და არა მათ დამხმარე პერსონალს:

„თუ მწვრთნელი ხედავს, რომ სპორტსმენის ფიზიკური მონაცემები არ აძლევს საშუალებას, ურჩევს აკრძალული ნივთიერების მიღებას, სპორტსმენმა შესაძლოა არც იცოდეს, შესაძლოა ეგონოს, რომ არის ვიტამინები. მწვრთნელის ბრალეულობა მაღალია ასეთ დროს, თუმცა მისი პასუხისმგებლობა არ დგება ხშირად“ (ქალი, 24 წ. ბატუტზე ხტომა);

„სპორტსმენი ისჯება ჩავარდნის შემთხვევაში, მწვრთნელი და გარემოცვა ვერ გრძნობს სათანადო პასუხისმგებლობას“ (კაცი 27 წ. ბირთვის კვრა).

რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ არ ხდება შესაბამისი სპორტული ორგანიზაციის მიერ სპორტსმენის დამხმარე პერსონალისათვის პროპორციული სასჯელის დაკისრება. სპორტულ ორგანიზაციების მმართველობითმა სტრუქტურამ და ათლეტის დამხმარე პერსონალმა არ იცის და ინტერესსაც არ გამოხატავს იცოდეს მათი ანტიდოპინგური უფლებები და მოვალეობები.

#### **7.4 სპორტსმენთა დამოკიდებულება დოპინგ-ტესტირების პროცედურების მიმართ**

დოპინგ-ტესტირების პროცედურების სანდობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია რესპონდენტთა კეთილგანწყობა და ნდობა საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს თანამშრომლების მიმართ.

სპორტსმენების ნაწილი არ გამორიცხავს, რომ საქართველოსგან განსხვავებით, სხვა ქვეყნებში ჩატარებული დოპინგ-ტესტირებისას მიღებული დადებითი შედეგები, შესაძლოა დაიფაროს.

რესპონდენტებისათვის, ძირითადად, უცნობია დოპინგ-ტესტის სუბიექტების შერჩევის კრიტერიუმები. მათი ნაწილი ფიქრობს, რომ შერჩევა კომპიუტერის საშუალებით, შემთხვევითობის პრინციპით ხდება და ტესტირებას ექვემდებარება ეროვნული ასპარეზობების პრიზიორები, საერთაშორისო შეხვედრებზე წამსვლელი ეროვნული ნაკრების წევრები. სპორტსმენების ნაწილს მიაჩნია, რომ ტესტირება არაგეგმიურად უტარდება მათ, ვისი მიღწევებიც მკვეთრად გაიზარდა.

საყოველთაოდ აღინიშნა ისიც, რომ ბოლო წლებში მომატებულია ტესტირების შემთხვევები:

„შეიძლება რაღაც რაოდენობაა განსაზღვრული რომ უნდა შემოწმდეს და სულერთია ვინ იქნება“ (ქალი, 24 წ. მძლეოსანი);

*„ჩემი გუნდელია, 5-ჯერ შეამოწმეს უკვე, ყველგან ამოწმებენ, აქაც და საზღვარგარეთაც, მიუხედავად იმისა, რომ დიდი სპორტული მიღწევები არა აქვს“ (ქალი, 19 წ. მძლეოსანი);*

*„საქართველოს მასშტაბით არ ამოწმებენ. იმ შემთხვევაში შეამოწმებენ, თუ ეჭვი გაჩნდება, განსხვავებული ქცევის გამო. ჩვენს სახეობაში (ფარიკაობა), არასრულწლოვნებს არ ამოწმებენ, უფრო 20 წლის ზევით ამოწმებენ“ (კაცი, 16 წ. ფარიკაობა);*

*„ხშირად გავდივარ საერთაშორისო შეჯიბრებებზე, მაგრამ არასდროს შევუმოწმებია“ (ქალი, 18 წ. ფრენბურთი);*

გამოიკვეთა მოსაზრება, რომ დოპინგის მოხმარებაზე უარს სწორედ დოპინგ-ტესტირებაზე შესაძლო ჩავარდნის გამო ამბობენ. სპორტსმენთა განცხადებით, ეროვნულ დონეზე შემოწმება იშვიათია და სასურველია ტესტირების რაოდენობის გაზრდა.

კვლევაში ჩართული სპორტსმენებიდან მხოლოდ მცირე ნაწილს ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტესტირებისთვის აღებული მასალები შესამოწმებლად იგზავნება საზღვარგარეთ ლაბორატორიაში. აღსანიშნავია, რომ ეს ინფორმაცია, დისკუსიის სხვა მონაწილეებისთვის აღმოჩნდა ნდობის გამომწვევი ფაქტორი.

მათ, ვისაც ჰქონდათ გავლილი დოპინგ-ტესტი, აღნიშნეს, რომ საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს ოფიცრები იქცეოდნენ ეთიკის დაცვით:

*„მართალია პროცედურა სასიამოვნო არაა მაგრამ სააგენტოს ხალხი მაქსიმალურად გიწყობენ ხელს.“ (ქალი, 23 წ. მშვილდოსანი).*

## **7.5 კვებითი დანამატების აღქმა და მოხმარების ჩვევები**

სპორტსმენთა აზრით, როგორც კვებითი დანამატების, ასევე, დოპინგის მოქმედების პრინციპი მსგავსია და გამოიხატება დახარჯული ენერჯის აღსადგენად ორგანიზმის გამძლეობისა და შრომისუნარიანობის გასაძლიერებლად.

შესაბამისად, მათთვის გაუგებარია, რატომ არ ითვლება საკვები დანამატების მიღება შეჯიბრების თანასწორი პირობების დარღვევად და კონკრეტული ნივთიერება რა კრიტერიუმის მიხედვითაა აკრძალული ან დაშვებული.

ამასთან, ხაზგსმით აღინიშნა, რომ მაღალი ხარისხის საკვები დანამატები მაღალი ფასის გამო ბევრისთვის არ არის ხელმისაწვდომი:

*„ახლა არის ისეთი ვიტამინები, რომელთაც აქვთ დოპინგის ეფექტი, მაგრამ არ ითვლება დოპინგად, აძლიერებს ორგანიზმს როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად“ (კაცი, 19 წ. მოჭიდავე);*

*„ძვირია კარგი საკვები დანამატები და ერთ -ერთი მიზეზი რის გამოც არ ვიღებთ ესეც არის. როგორც ვიცი ერთი კურსის ჩატარება 100-300 ლარი ღირს“ (კაცი, 20 წ. მძლეოსანი).*

რესპონდენტთა ინფორმაციით, სპორტული მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, მწვრთნელები პროპაგანდას უწევენ ჯანსაღი კვების უპირატესობას და ისეთი მიკრო ელემენტების მიღებას, როგორცაა ომეგა 3 და Ca:

მაღალი მიღწევების მქონე სპორტსმენებს (ოლიმპიური და ეროვნული ნაკრების წევრებს), რიგ შემთხვევაში, კვებითი დანამატებით უსასყიდლოდ უზრუნველყოფენ თავად ფედერაციები.

ის სპორტსმენები, რომლებიც საკუთარი სახსრებით ყიდულობენ აღნიშნულ ნივთიერებებს, უსაფრთხოდ თვლიან მათ და აქტიურად იღებენ ამინომჟავებისა და პროტეინების შემცველ კვებით დანამატებსა, აგრეთვე, კოფეინის შემცველ და ენერგეტიკულ სასმელებს. ამ ნივთიერებების მიღებაზე უმეტეს შემთხვევაში ინფორმირებულია მწვრთნელი და ექიმიც:

*„ოლიმპიური ნაკრების წევრი ვარ და ოლიმპიური კომიტეტი მეხმარება, ასევე, ფედერაცია, ისინი გვაწვდიან კვებით დანამატებს“ (კაცი, 26 წ. მძლეოსანი);*

*„პროტეინებიც იყიდება, ხორცის შემცველობაა, როგორც ვიცი, არ შეიცავს დოპინგს, თუმცა, არ გვაქვს ზუსტი ინფორმაცია, მეტი გვჭირდება. ფიტნეს ინსტრუქტორი მთავაზობდა რაღაც ნივთიერების მიღებას, მეუბნებოდა არ არის დოპინგი, არ ჩავარდებიო, მაგრამ არ გავრისკე. მეუბნებოდა, შეგიძლია ზურა ექიმსაც დაურეკო და კითხოო“ (ქალი, 23 წ. მშვილდოსანი);*

*„ინტერნეტით გამოწერილი საკვები დანამატები შედარებით იაფია მაგრამ ვერ ვენდობი, შეიძლება დოპინგს შეიცავდეს“ (კაცი 26 წ. მძლეოსანი);*

*„დღეს აბსოლუტურად ყველა სპორტსმენი იღებს საკვებ დანამატს, ექიმის დანიშნულებით და თვითნებურადაც“ (კაცი 20 წ. უროს ტყორცნა).*

კვებითი დანამატების მიღება არაა დამოკიდებული ასაკზე და ძირითადად კავშირშია სპორტის სახეობასთან, სპორტსმენის დატვირთულობასა და ფიზიკურ მონაცემებთან. სპორტსმენები წუხან, რომ კვებითი დანამატების ბაზარი საქართველოში სათანადოდ არ რეგულირდება და არსებობს რისკი, რომ კვებით დანამატი, რომელსაც ეტიკეტზე არა აქვს მითითებული ზუსტი შემადგენლობა, შესაძლოა შეიცავდეს აკრძალულ ნივთიერებას.

~

## 8. დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი ბიოსოციალური და ეთიკური ასპექტები

### 8.1 ნდობისა და პასუხისმგებლობის განაწილების მექანიზმები.

თვისებრივი კვლევის მონაცემთა ანალიზის შედეგად ცნობიერების ამაღლების აქტუალობასთან ერთად გამოიკვეთა სამართლიანი და თანასწორი გარემოს, ნდობისა და პასუხისმგებლობის მექანიზმების დივერსიფიცირების, სპორტსმენტა სამედიცინო და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის, აგრეთვე, ეთიკისა და მასთან დაკავშირებული ღირებულებითი ორიენტაციების განსაკუთრებული მნიშვნელობა.

სამართლიანი და თანასწორი გარემოს უზრუნველყოფა (იმ დონეზე, რომ მან სპორტსმენტა მხრიდან რეალური ნდობა მოიპოვოს), ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა აზრით, სპორტსმენტა ანტიდოპინგური განწყობის ფორმირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს.

სამართლიანი თამაში მხოლოდ ერთი სპორტსმენტის გადაწყვეტილებაზე არ არის დამოკიდებული - თუ სპორტსმენტები არ იქნებიან დარწმუნებულნი იმაში, რომ წესების დაცვა თითოეულ მოთამაშეს ერთნაირად ეხება, მათი პიროვნული გადაწყვეტილების მიუხედავად, ისინი მაინც უსამართლო თამაშის მონაწილეები შეიძლება აღმოჩნდნენ, თანაც, მათთვის წამგებიან პოზიციაში:

*„მე ვარ ნატურალი, ჩემი შესაძლებლობებით ვვარჯიშობ, ვიღაცა, ვინც ფინანსურად ძლიერია, მოიხმარს დოპინგს და ჩემზე კარგ ფორმაშია“ (კაცი, 19 წ. ინდივიდუალური სპორტი; საერთაშორისო ტიტულის მფლობელი).*

*„მარტო მე არ მეხება ეს საკითხი. თუ მე არ მექნება დოპინგი მიღებული, მაგრამ ჩემ მოწინააღმდეგეს ექნება, სამართლიანი თამაში გამოვა? პირველ რიგში, უნდა ვიცოდე, რომ უსამართლოდ არ დავზარალდები“ (კაცი, 26 წ. გუნდური სპორტი, ეროვნული ტიტულის მფლობელი).*

*„აქ ის არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ მოწინააღმდეგე მხარის სამართლიანობაშიც ვიყო დარწმუნებული. ადამიანმა შეიძლება ივარჯიშოს და უცებ ისეთი შედეგი აჩვენოს, არავინ რომ არ ელოდება, მაგრამ ერთხელ ერთში შემეპარა ეჭვი - ასეთი რა გააკეთა მეთქი. ახლაც არ ვარ დარწმუნებული - ვარჯიშის გამო იყო, თუ რაღაც სხვის. ჩემთან შეჯიბრის დროს - არა, მაგრამ მაინც, დამამახსოვრდა.*



თუმცა, დანამდვილებით, რა ვიცი, სპორტია მაინც, ყველაფერი შეიძლება“ (ქალი, ინდივიდუალური პარასპორტი, საერთაშორისო ტიტულის მფლობელი).

„თუ მეცოდინება, რომ ჩემი მოწინააღმდეგე იღებს (დოპინგს) შეიძლება მეც მეფიქრა. მარტო მე ხომ არ ვიქნები სამართლიანი?“ (ქალი, გუნდური სპორტი; საერთაშორისო ტიტულის მფლობელი).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სპორტსმენების მხრიდან არ იკვეთება სკეპტიციზმი ან უკმაყოფილება ტესტირების ლაბორატორიული პროცედურების მიმართ, მაგრამ გამოიკვეთა ნდობის დეფიციტი ზოგადად დოპინგის აღმოჩენის მექანიზმების მიმართ. სპორტსმენები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ დოპინგის ინოვაციური სახეების მწარმოებლები შესაძლოა, წინ უსწრებდნენ მათი გამოვლენის მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას:

„მუდმივად მუშაობენ ისეთი ნივთიერების შექმნაზე, რასაც ტესტი ვერ ამოაგდებს“ (კაცი, 20 წ. ინდივიდუალური სპორტი, საერთაშორისო ტიტულის მფლობელი).

„შესაძლოა არსებობდეს ახალი თაობის დოპინგიც, რომელიც არ ვარდება ტესტირების დროს“ (ქალი, 21 წ. გუნდური სპორტი, საერთაშორისო ტიტულის მფლობელი).

სამართლიანი და თანასწორი გარემოს უზრუნველყოფის მიმართ არსებულ სკეპსისს, თავის მხრივ, ხელს უწყობს განვითარებადი ქვეყნის სირთულეებთან დაკავშირებული განწყობები - დისკუსიისას გამოითქვა ვარაუდი, რომ განვითარებული ქვეყნების სპორტსმენებს შესაძლოა ჰქონდეთ გაცილებით მეტი საინფორმაციო, საკომუნიკაციო და ფინანსური საშუალებები დოპინგის ისეთი სახეების გამოსაყენებლად, რომელთა აღმოჩენაც ჯერჯერობით, არ ხერხდება:

„ჩვენ ქვეყანაზე ეკონომიკურად უფრო განვითარებული და შეძლებული ქვეყნების წარმომადგენლებისთვის შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს ახალი თაობის დოპინგიც, რომელიც არ ვარდება ტესტირების დროს“ (ქალი, 25 წ. ინდივიდუალური სპორტი, საერთაშორისო ტიტულის მფლობელი).

„როგორც გავიგე, ახალი სახის დოპინგებია, რომელიც არ ფიქსირდება ტესტირებისას, შეიძლება უცხოელმა რომ გაიკეთოს არ გამოუჩნდეს. თანაც ის

ახალი ტიპის დოპინგი, მალე გადის ორგანიზმიდანო (კაცი, 18 წ. ინდივიდუალური პარასპორტი, ეროვნული ტიტულის მფლობელი).

„რა თქმა უნდა, იმათ (განვითარებული ქვეყნების წარმომადგენლებს) მეტი შესაძლებლობები აქვთ - უფრო სწრაფადაც გაიგებენ, თუ რაიმე ახალი გამოჩნდა და ფულიც აქვთ, რომ შეიძინონ“ (კაცი, 28 წ. გუნდური სპორტი, საერთაშორისო ტიტულის მფლობელი).

სამართლიანი და თანასწორი გარემოს უზრუნველყოფასთან დაკავშირებით არსებული ისეთი კითხვების პირობებში, რომლებზეც ერთმნიშვნელოვანი პასუხები არ არსებობს, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება რესურსებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია სპორტსმენთა ნდობის მოპოვება, მათი დარწმუნება ანტიდოპინგური კამპანიის ეფექტიანობასა და უპირატესობებში. ამ საკითხის ირგვლივ ფოკუსირებული დისკუსიისას მწვრთნელის განსაკუთრებული როლი გამოიკვეთა.

სპორტსმენებს გაცნობიერებული აქვთ, რომ პასუხისმგებელი პირები თვითონ არიან, თუმცა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას მათთვის მთავარი სწორედ მწვრთნელის პოზიციაა. ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ მწვრთნელი დღეისათვის საქართველოში სპორტსმენის „ნდობის აგენტს“, ძირითად საინფორმაციო და საკომუნიკაციო წყაროს, ფინანსურ მენეჯერს, მრჩეველს, დამცველსა და ლობისტს წარმოადგენს. მწვრთნელის ასეთი გამორჩეული დატვირთვა/როლი ვლინდება სამედიცინო ასპექტებთან დაკავშირებითაც:

„ტრენერია მთავარი, ვიტამინებს და ყველაფერს ვათანხმებ მასთან. თუ პრიზიორი ხარ ჯანმრთელობა გვერდით გაქვს გადადებული, ვერაფერს მიაღწევ ვიტამინების გარეშე, მაგრამ მე ჩემით არ მივიღებ, შეიძლება არასწორად შევარჩიო“ (კაცი, 25 წ. ინდივიდუალური სპორტი, საერთაშორისო ტიტულის მფლობელი).

„მწვრთნელს უთქვამს, რომ კვებითი დანამატების ყიდვა ლეგალურია მაგრამ არ გირჩევთ მიღებასო. ვარჯიშის დაწყებამდე 5 წუთი ვსაუბრობთ მსგავს თემებზე, მწვრთნელი ჯანსაღ კვების პლუსებზე გველაპარაკება ხოლმე“ (კაცი, 18 წ. გუნდური სპორტი, ეროვნული ტიტულის მფლობელი).

*„ტრავმის გამო თუ რამეს მინიშნავს მკურნალი ექიმი, მწვრთნელს ვურეკავ, ვეკითხები, ხომ არ შემიქმნის პრობლემას მედიკამენტი, რომელსაც იმ დროს ვიღებ (ქალი, 26 წ. გუნდური სპორტი, საერთაშორისო ტიტულის მფლობელი).*

*„მუხლის პრობლემა მეონდა, უცხოეთში ვმკურნალობდი, რაც დამინიშნეს იმის თაობაზე ჩემი ნაკრების მწვრთნელს დავურეკე და ვუთხარი, მითხრა რომ შემედლო მიღება“ (ქალი, 23 წ. ინდივიდუალური პარასპორტი, საერთაშორისო ტიტულის მფლობელი).*

შესაბამისად, სიღრმისეული ინტერვიუები მიზნად ისახავდა ზემოაღნიშნული საკითხების კვლევას თვითონ მწვრთნელების პოზიციიდან და ფოკუსირებული იყო როგორც არსებული ვითარების გამოვლენასა და შეფასებაზე, ასევე, პასუხისმგებლობის მექანიზმებისა თუ უფლება-მოვალეობების გადანაწილების შესაძლებლობებზე.

მწვრთნელების მხრიდან დადასტურდა, რომ წარმატების გარკვეულ ეტაპამდე ისინი ერთპიროვნულად ხელმძღვანელობენ სპორტსმენს ყველა ასპექტით და გადაწყვეტილების მიღებაც, როგორც წესი, რეალურად მათ მიერ ხდება. თუ სპორტსმენი განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწევს, საქმეში ეროვნული სასპორტო ფედერაციები ან/და საერთაშორისო ინსტიტუტები თუ აგენტები ერთვებიან, თუმცა, მწვრთნელის მორალური ზეგავლენა ხშირად ამ შემთხვევებშიც აქტუალობას ინარჩუნებს. მწვრთნელები, ცხადია, აღნიშნავენ, რომ ეს დიდი დატვირთვაა, მაგრამ ადაპტირებულნი არიან მუშაობის ასეთ წესთან და თვლიან, რომ ეს სპორტსმენისთვის ძალიან კომფორტულია, რადგან მათ, სამაგიეროდ, ეძლევათ შესაძლებლობა, მხოლოდ კონკრეტულ სასპორტო შედეგებზე იფიქრონ:

*„... ნუ, მენდობიან, ვთქვით, გადაწყვეტილებებში, მიმართულებებში. ძალიან ხშირად ყოფილა რომ მედიკამენტი სჭირდებათ, ძირითადად მე მაქვს საქმე შშმ პირებთან, პარამოდრობასთან, პარაფარიკაობასთან და აქედან გამომდინარე, ჯობია რომ მე დამიკავშირდნენ. მათ მარტო ის რჩებათ, რომ კარგად მოემზადონ. სხვა რამეებისთვის სპორტსმენს დრო სად აქვს. 4 ადამიანი მყავს და ამას მთელი ჩემი დრო მიაქვს შაბათ-კვირის გარდა. მართალი გითხრა, ფედერაციაშიც აღარ დავდივარ, რადგან ფიზიკურად ვეღარ ვასწრებ“ (კაცი, მწვრთნელი 17 წლის გამოცდილებით, ინდივიდუალური პარასპორტი).*

„...მწვრთნელსაც იგივე უნდა რაც მოთამაშეს და ყველას უნდა, რომ იყოს კარგი შედეგი და მწვრთნელივილაცას არჩევს და ვილაცას - არა. ამ დროს, ვილაც ყოველთვის არის უკმაყოფილო. სხვების ჩარევა უფრო გაართულებს საქმეს“ (კაცი, მწვრთნელი 5 წლის გამოცდილებით, გუნდური სპორტი).

„ძალიან დაკავებული ვარ. ყველაფერს მე ვაკეთებ, მაგრამ ასე იქცევა ყველა. კონკურენციაც არის და სჯობს პირადად ჩემთან იყვნენ ახლოს. ძალიან ძნელია, სპორტსმენს რაღაც დონემდე რომ მიიყვან და ის კიდევ სხვა გუნდში გადავა“ (ქალი, მწვრთნელი 7 წლის გამოცდილებით, გუნდური სპორტი).

მწვრთნელის ასეთი მნიშვნელობა, ერთი მხრივ, კარგ რესურსს ქმნის ანტიდოპინგური კამპანიის საწყის ეტაპზე სპორტსმენტა ნდობის მოპოვებისა და მათთან ეფექტიანი კომუნიკაციის თვალსაზრისით („თუ დააჯერებ მწვრთნელს, დააჯერებ სპორტსმენსაც“), მაგრამ, მეორე მხრივ, ზღუდავს სპორტსმენის თავისუფალ არჩევანს და აყენებს იმ მექანიზმების ამოქმედების საჭიროებას, რომელთა მეშვეობითაც სპორტსმენი შეძლებს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც პირადად მის ჯანმრთელობას, კარიერულ განვითარებას, უფლებებსა თუ პასუხისმგებლობებს უკავშირდება.

## **8.2 სპორტსმენტა სამედიცინო და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა**

როგორც სიღრმისეული ინტერვიუებიდან გამოვლინდა, მწვრთნელის მულტიფუნქციურ და განსაკუთრებულ როლს, სხვადასხვა ფაქტორები განაპირობებს. მათ შორისაა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის სიმცირე, რაც, ძირითადად, შეზღუდულ ფინანსურ შესაძლებლობებს უკავშირდება. გამოიკვეთა სპორტსმენტა სამედიცინო და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის გაძლიერების აქტუალობა. ამასთან, აღნიშნული თვალსაზრისით გამოვლინდა გენდერული ასიმეტრიის განცდაც - ქალი სპორტსმენები და მწვრთნელები აღნიშნავენ, რომ სამედიცინო და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის გაძლიერება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალი სპორტსმენებისთვის:

„ვისურვებდი პირობების შეცვლას, რომ ცოტა უკეთესი ხელშეწყობა ჰქონოდა სპორტსმენებს. მაგალითად, ექიმის მხრივ, წამლები, მასაჟისტი და სხვა“ (ქალი, მწვრთნელი 15 წლის გამოცდილებით, ინდივიდუალური სპორტი).

„ვთვლი რომ სპორტსმენისთვის ნამდვილად საჭიროა ფსიქოლოგი, რადგან არ გამოვლინდეს დაბალი რეზულტატი შეჯიბრის სტრერისგან“ (კაცი, დამსახურებული მწვრთნელი 20 წლის გამოცდილებით, ინდივიდუალური სპორტი).

„ერთი ექიმი გყავს, თუ ვინმეს რაიმე გაუჭირდა, იმასთან ვაგზავნით. მაგრამ ჩვენთან რომ მუშაობდეს მუდმივად, ასე არ არის. არადა, ძალიან გვჭირდება“ (ქალი, მწვრთნელი 5 წლის გამოცდილებით, ინდივიდუალური ბავშვთა სპორტი).

„სპორტსმენი ექიმის მუდმივ დაკვირვებაში უნდა იყოს. ისეთი ექიმის, რომელიც მას კარგად იცნობს და პროფესიონალია. პატარა შეცდომამ ან დაგვიანებამ შეიძლება ყველაფერი გააფუჭოს. განსაკუთრებით ქალ სპორტსმენებს სჭირდებათ მუდმივი დაკვირვება. ქალებს კიდევ დამატებითი პრობლემები აქვთ ხოლმე“ (ქალი, მწვრთნელი 7 წლის გამოცდილებით, გუნდური სპორტი).

„ჩემი პირველი მტერი ზუსტად ეგ არის, ფსიქოლოგის თემა, რომელიც ვერ მოვაგვარეთ ჯერ“ (კაცი, მწვრთნელი 17 წლის გამოცდილებით, ინდივიდუალური პარასპორტი).

„ფსიქოლოგი ძალიან გამიადვილებდა საქმეს. მე სულ ველაპარაკები, მაგრამ გოგონებთან მიჭირს“ (კაცი, დამსახურებული მწვრთნელი 20 წლის გამოცდილებით, ინდივიდუალური სპორტი).

„ინტელექტუალურ სპორტს სწრაფი რეაგირება სჭირდება. ერთის მხრივ, ეს არის ფსიქოლოგის საქმე და მეორე მხრივ - აიქიუს ზრდა. აიქიუ ეს არის ყველა ადამიანის საერთო და თუნდაც თანდაყოლილი უნარი და ძალიან სწრაფად მალდება“ (კაცი, მწვრთნელი 12 წლის გამოცდილებით, გუნდური ბავშვთა სპორტი).

„არ გამოვრიცხავ რომ სპორტსმენმა რაიმე ნივთიერება უბრალოდ დამშვიდების მიზნით მიიღოს. კარგი იქნება, თუ ამ საკითხს ფსიქოლოგი მოაგვარებს. ფსიქოლოგის დახმარება ყველას სჭირდება“ (ქალი, მწვრთნელი 10 წლის გამოცდილებით, გუნდური პარასპორტი).

როგორც ზემომოტანილი მასალიდან ჩანს დოპინგთან ბრძოლის საქმეში ექიმისა და ფსიქოლოგის როლი მეტად მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით იკვეთება ექიმის პროფესიულ, ეთიკურ განზომილებათა მთელი წყება, რასაც კონკრეტული ეთიკურ-ღირებულებითი კვალიფიკაციის სახე შეიძლება მიეცეს (ამ შემთხვევაში

ჩვენ არ ვსაუბრობთ სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, რაც ცალკე განხილვის თემაა).

სიმართლისა და კონფიდენციალობის წესების დარღვევა ხდება იმ შემთხვევაში, როცა სპორტსმენს რეალურად არ აქვს გაცნობიერებული დოპინგის მიღების ყველა შესაძლო შედეგები და სრულად არის მინდობილი მწვრთნელსა და ექიმს. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ამ ორი უკანასკნელის მიმართ განსაკუთრებით იზრდება და, ვფიქრობთ, სცილდება ეთიკური დანაშაულის საზღვრებს.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, სრულიად ნათელია ექიმის, როგორც პროფესიონალის პასუხისმგებლობა სპორტსმენის დოპინგთან დამოკიდებულებასა და გამოყენების შემთხვევაში მოსალოდნელ ბიოსამედიცინო და თუნდაც სოციოლოგიური შედეგებთან მიმართებაში. ვფიქრობთ, ეს სპეციალურ რეგულაციებში უნდა აისახოს.

როგორც აღვნიშნეთ, სპორტსმენის ინტერესებისა და მათი უფლებების დაცვა მაინც, ძირითადად, მწვრთნელის ფუნქციებში შედის. საინტერესოა, რომ სიღრმისეული ინტერვიუების მონაწილეთა აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით, ორად გაიყო. ერთი ჯგუფი ამას სავსებით საკმარისად მიიჩნევს და თვლის, რომ კარგ სპორტსმენს მწვრთნელი ყოველთვის დაიცავს და განსაკუთრებული ნორმები ამისთვის საჭირო არ არის:

*„ეთიკა? ყველაფერი მაინც ურთიერთობებზე დადის. თუ სპორტსმენი ყველაფერს ასრულებს, რასაც მწვრთნელი ეუბნება, ყველაფერი კარგად იქნება. ეს არის მისი მოვალეობა და მწვრთნელი თვითონ დაულაგებს ყველაფერს“ (კაცი, დამსახურებული მწვრთნელი 20 წლის გამოცდილებით, ინდივიდუალური სპორტი).*

*„მაინც პიროვნულ ურთიერთობებზე დადის ყველაფერი. არა მგონია, სპეციალური ეთიკა იყოს საჭირო. ვინც ყოველდღიურ ცხოვრებაში ეთიკურია, ის სპორტშიც ეთიკური იქნება. მწვრთნელი კარგ სპორტსმენზე შვილივით ზრუნავს, არაფერს გაუჭირვებს“ (ქალი, მწვრთნელი 7 წლის გამოცდილებით, გუნდური სპორტი).*

მეორე ჯგუფის აზრით კი, სასურველია ფორმალური რეგულაციები და მექანიზმები, რაც სპორტსმენს თავისუფალი, ინფორმირებული არჩევანის საშუალებას მისცემს. როგორც ეს უკანასკნელები თვლიან, ეთიკის ნორმების ამოქმედება საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა ამ თვალსაზრისით, რადგან სამართლებრივი ნორმები, უმთავრესად, ძალიან ზოგადია და ფართო ჩარჩოებში მოქმედებს. ამასთან, მათი აღსრულების მექანიზმები, უმეტეს შემთხვევაში, დროის ხანგრძლივ პერიოდსა და პასუხისმგებლობათა ხისტ მექანიზმებს უკავშირდება:

*„თუ იქნება ასეთი სტანდარტი, პირიქით მივესალმები და ეს მე და ნებისმიერს დაგვეხმარება სიტუაციის დალაგებაში“ (კაცი, მწვრთნელი 17 წლის გამოცდილებით, ინდივიდუალური პარასპორტი).*

*„რა თქმა უნდა, ეთიკა ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ხომ სამართლიანი შეჯიბრია და შეჯიბრებითობა უნდა იყოს სამართლიანი. თუ სამართლიანი არ არის, მაშინ ხომ ყველას გამოუვა. სპორტი არ არის ყველასთვის, როგორც ყველა ვერ იქნება ინჟინერი, ექიმი“ (ქალი, მწვრთნელი 10 წლის გამოცდილებით, გუნდური პარასპორტი).*

*„5-6 წლიდან ვავარჯიშებ ბავშვებს და აქტუალურია ეს თემა და აინტერესებთ ეთიკასთან დაკავშირებული ნორმები“ (ქალი, მწვრთნელი, 5 წლის გამოცდილებით, ინდივიდუალური ბავშვთა სპორტი).*

*„კარგი ურთიერთობები კარგია, მაგრამ თუ გაფუჭდა ურთიერთობები, სპორტსმენს თავის დაცვა ხომ უნდა შეეძლოს. ისე ჩანს, თითქოს ყველაფერი კარგად არის, მაგრამ, კი, სჯობს ეთიკის ნორმები მოქმედებდეს. სასამართლოში ჩივილი სხვა არის, ძნელია. ადამიანის გამეტებაც არ არის ადვილი, მაგრამ ეთიკის ნორმები ნამდვილად შეიძლება გამოიყენონ სპორტსმენებმა. ყოფილა, ბავშვობაშივე დაუნებებიათ თავი სპორტისთვის იმიტომ, რომ უსამართლოდ მოექცნენ“ (კაცი, მწვრთნელი 5 წლის გამოცდილებით, გუნდური სპორტი).*

## **9. დასკვნა**

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ცნობიერების ამაღლება სპორტსმენებში ანტიდოპინგური განწყობის განვითარების აუცილებელ და უაღრესად მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

იმისათვის, რომ დოპინგთან დაკავშირებით მიღებული ცოდნა გახდეს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების რეალური საფუძველი, არანაკლებ

აქტუალურია, შეიქმნას ისეთი გარემო, რომელშიც მაღალკვალიფიციური პერსონალის დონეზე დივერსიფიცირებული იქნება სპორტსმენის მრავალმხრივი საჭიროებები (მწვრთნელი, ექიმი, ფსიქოლოგი, აგენტი, ცნობიერების ამაღლებასთან თუ ღირებულებით ორიენტაციებთან დაკავშირებული მექანიზმები/აქტივობები და ა.შ.).

ზემოთ აღნიშნული დივერსიფიცირებული გარემო მას საშუალებას მისცემს გაითვალისწინოს სხვადასხვა თვალსაზრისები, მაგრამ საბოლოოდ დამოუკიდებლად განახორციელოს ინფორმირებული არჩევანი, ჩამოუყალიბდეს მკაფიოდ განსაზღვრული ღირებულებითი ორიენტაციები და საკუთარი უფლებების დაცვისა თუ კარიერული წინსვლის ინსტიტუციური გარანტიები როგორც ყოველდღიური საქმიანობისა და წვრთნის, ისე - ნებისმიერი მასშტაბის სასპორტო შეჯიბრის დონეზე.



## 10. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

- სოციალური მეცნიერებები, განსაკუთრებით, ემპირიული კვლევები, დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი საშუალებების გამოვლენის შესაძლებლობას გვაძლევს.
- დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა პირველადი პრევენციული ღონისძიებების განხორციელება. ინტერვენციები საგანმანათლებლო პროგრამების სახით, გათვლილი უნდა იყოს სპორტსმენებზე და მათ თანმხლებ პერსონალზე.
- იკვეთება ბიოეთიკის განსაკუთრებული მნიშვნელობა პრობლემის როგორც კვლევის, ისე - მართვის თვალსაზრისით. ექიმის პროფესიულ, ეთიკურ განზომილებათა მთელი წყებას კონკრეტული ეთიკურ-ღირებულებითი კვალიფიკაციის სახე შეიძლება მიეცეს.
- რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, მკვეთრი განსხვავება საკუთარი მიღწევების შემთხვევაში რეალურად შესაძლო სარგებელსა და სასურველს შორის, წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც, სავარაუდოდ, გავლენას ახდენს, სპორტსმენების დამოკიდებულებაზე მათი საქმიანობის მიმართ როგორც ზოგადად, ისე - ცალკეული ასპექტების მიხედვით.
- საქართველოში არსებული ზოგადი ეკონომიკური ფონიდან გამომდინარე, კვლევის დასაწყისში არსებობდა ვარაუდი, რომ სპორტსმენთა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის აკრძალულ ნივთიერებათა როგორც მოპოვება, ისე - შეძენა რთული იქნებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც პასუხი „არ ვიცი“ მაღალი სიხშირეებით არის წარმოდგენილი. ასეთი რეზულტატი იმით შეიძლება აიხსნას, რომ სპორტსმენტა დიდი ნაწილი არ დაინტერესებულა მსგავსი ტიპის ინფორმაციით, არ ჰქონია აღნიშნული ნივთიერებების შეძენის მცდელობა.
- მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სპორტსმენების ცოდნა აკრძალული ნივთიერებების მოქმედების მექანიზმების, მათი ხანმოკლე და გრძელვადიანი გამოყენების შედეგების მიმართ უკიდურესად დაბალია, რაც აკრძალული ნივთიერებების უნებლიე მიღების რისკებს საგრძნობლად ზრდის.
- დოპინგ-ტესტირების სიზუსტის მიმართ, ერთი შეხედვით, უნდობლობა არ ფიქსირდება, მაგრამ ეს რეზულტატი მნიშვნელოვანწილად საინფორმაციო

დეფიციტით არის გაპირობებული - სპორტსმენთა მნიშვნელოვან ნაწილს, უბრალოდ არ აქვს ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საკმარისი ინფორმაცია:

- გამოვლინდა ერთმნიშვნელოვნად დადებითი დამოკიდებულება დოპინგ-ტესტირებასთან დაკავშირებული არასასურველი შედეგის შემთხვევაში სპორტსმენის უფლებების დაცვის მექანიზმების, სამართლიანი მოსმენისა და არბიტრაჟის მიმართ.
- სპორტსმენთა დამოკიდებულება დამარცხების მიმართ საკმაოდ რაციონალურია და ნაკლებად უკავშირდება ფრუსტრაციას საკუთარი თავის ან შესაძლებლობების მიმართ. ამასთან, არ ვლინდება დამარცხების მიმართ ისეთი ტენდენცია, რაც არაეთიკური ან/და უკანონო საქციელის ტრიგერად შეიძლება განვიხილოთ.
- სპორტსმენთა დიდი ნაწილი, საკუთარ თავთან მიმართებაში, გამორიცხავს აკრძალული ნივთიერებებით დაინტერესებას, ან მისი მიღების შესაძლებლობას თუნდაც ზეწოლის შედეგად. მათი გარკვეული ნაწილი არაგულწრფელი რომც იყოს, აღნიშნული მაჩვენებლები მაინც პოზიტიურად უნდა ჩაითვალოს, რადგან, ამ შემთხვევაში სიცრუის/რეალური განწყობის დამალვის მოტივაციას სპორტსმენის მხრიდან იმ ფაქტის აღიარება წარმოადგენს, რომ აკრძალულ ნივთიერებათა მიღება არასწორი საქციელია, რაც მის ჯანსაღ ღირებულებით ორიენტაციებზე მიუთითებს.
- სპორტსმენთა შეფასებით, აკრძალულ ნივთიერებათა ტრეფიკინგის პრევენციაში ჩართული უწყებების საქმიანობა საკმაოდ ეფექტურია:
- მიღებული შედეგები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართველ სპორტსმენთა აქმაში მათი როგორც პირადი, ისე - ინსტიტუციური გარემო ხელს უწყობს აკრძალული ნივთიერებების გამოყენების პრევენციას, რაც ანტ-დოპინგური განწყობის ფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება იქნეს განხილული.
- ეთიკის კონტექსტში გააზრებული ღირებულებითი ორიენტაციების მიხედვით ქართველ სპორტსმენებში ოთხი ჯგუფი გამოიყოფა: უკომპრომისო ეთიკის/მაღალ ღირებულებებსა და პატიოსან გამარჯვებაზე ორიენტირებული (მესამე ფაქტორი); მხოლოდ გამარჯვებაზე ორიენტირებული (მეოთხე ფაქტორი); წესების ფარგლებში მოწინააღმდეგის მდგომარეობიდან გამოყვანაზე ორიენტირებული (მეორე ფაქტორი) და სიტუაციურად წესების დამრღვევი (პირველი ფაქტორი). სასურველია,

ფაქტორული ანალიზის ეს შედეგები მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული სპორტსმენთა ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებში და ამ პერსპექტივაში კვლევა შემდგომიც სიღრმისეულად და ფოკუსირებულად გაგრძელდეს.

- ფაქტორული ანალიზის საფუძველზე ფორმირებული ინდექსის საფუძველზე შესაძლებელია ტრენინგი, შესაბამისად, ცნობიერების ამაღლება სპორტსმენებში საკმაოდ ეფექტიანად მივიჩნიოთ.
- ინდექსის მიხედვით, ტრენინგი ეფექტიანია იმ სპორტსმენებისათვის, რომლებსაც საერთაშორისო ან ეროვნულ დონეზე ასპარეზობის გამოცდილება გააჩნიათ (ორივე შემთხვევაში, განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია), ხოლო იმ სპორტსმენებისათვის, რომლებიც ჯერ-ჯერობით, ქალაქის/რაიონის დონით შემოიფარგლებიან, ტალღებს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის, რაც ამ კატეგორიის სპორტსმენებში ტრენინგების ნაკლებად ეფექტიანობის მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს.
- ტრენინგი ეფექტიანია როგორც სათამაშო, ისე - ინდივიდუალური სპორტის წარმომადგენელთათვის.
- ტრენინგი ეფექტიანია 18-29 წწ ასაკობრივი ჯგუფებისათვის (განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია). 30 წლის ან მეტი ასაკის სპორტსმენებისთვის კი განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის. აღსანიშნავია, რომ ეფექტიანობის თვალსაზრისით, 26-29 წწ ასაკობრივი ჯგუფი მკვეთრად გამოირჩევა
- ვინაიდან ცნობიერების ამაღლება უაღრესად მნიშვნელოვანია სპორტსმენებში ანტიდოპინგური განწყობის ფორმირებისთვის, შესაბამისი პროგრამების შემუშავებისას რეკომენდებულია იმ ფაქტორების როლისა და სპეციფიკის სათანადოდ გააზრება, რომლებიც არსებითად აისახება ცნობიერების ამაღლებაზე სპორტსმენტა სხვადასხვა ჯგუფის თავისებურებების (ასაკი, ასპარეზობის გამოცდილება, სპორტის სახეობა და სხვა) გათვალისწინებით.
- თუ გავითვალისწინებთ, რომ დოპინგის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას რესპონდენტები, ძირითადად, მისი აღმოჩენის, შესაბამისად, ანტიდოპინგური სანქციების რისკებს უკავშირებენ და მხედველობაში არ იღებენ ისეთ ფაქტორებს, როგორცაა ადამიანის ჯანმრთელობა, სამართლიანი სპორტის

იდეა თუ ბიოეთიკის პრინციპები, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დოპინგი საქართველოსთვის ჯერ კიდევ მომავლის გამოწვევაა.

- სპორტსმენტათვის დოპინგთან დაკავშირებით, როგორც ძირითად საინფორმაციო წყაროს, ისე - მთავარ პასუხისმგებელ და გადაწყვეტილების მიმღებ პირს პირს მწვრთნელი წარმოადგენს.
- გამოვლინდა მკვეთრად გამოხატული საინფორმაციო დეფიციტი დოპინგთან დაკავშირებული საკითხების მიმართ,
- სამართლიანი და თანასწორი გარემოს უზრუნველყოფა (იმ დონეზე, რომ მან სპორტსმენტა მხრიდან რეალური ნდობა მოიპოვოს), ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა აზრით, სპორტსმენტა ანტიდოპინგური განწყობის ფორმირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს.
- როგორც უკვე აღვნიშნეთ, სპორტსმენტების მხრიდან არ იკვეთება სკეპტიციზმი ან უკმაყოფილება ტესტირების ლაბორატორიული პროცედურების მიმართ, მაგრამ გამოიკვეთა ნდობის დეფიციტი ზოგადად დოპინგის აღმოჩენის მექანიზმების მიმართ. სპორტსმენტები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ დოპინგის ინოვაციური სახეების მწარმოებლები შესაძლოა, წინ უსწრებდნენ მათი გამოვლენის მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას:
- მწვრთნელი დღეისათვის საქართველოში სპორტსმენტის „ნდობის აგენტს“, ძირითად საინფორმაციო და საკომუნიკაციო წყაროს, ფინანსურ მენეჯერს, მრჩეველს, დამცველსა და ლობისტს წარმოადგენს.
- გამოიკვეთა სპორტსმენტა სამედიცინო და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის გაძლიერების აქტუალობა. ამასთან, აღნიშნული თვალსაზრისით გამოვლინდა გენდერული ასიმეტრია - ქალი სპორტსმენტები და მწვრთნელები აღნიშნავენ, რომ სამედიცინო და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის გაძლიერება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალი სპორტსმენტებისთვის;
- დოპინგის მოხმარების ხელშემწყობ ფაქტორებად გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:
  - სპორტში დოპინგის გამოყენების დამრეგულირებელი ეთიკის ნორმების (ეთიკის კოდექსის ან/და სპორტსმენტა მიერ გაზიარებული საყოველთაო წესის) არ არსებობა;
  - სპორტში დოპინგის გამოყენების მიმართ შემაკავებელი ნეგატიური განწყობის არ არსებობა საზოგადოებაში;

- დაბალი ხარისხის საკვები დანამატებისა და აკრძალული ნივთიერებების შემცველი პრეპარატების გაუცნობიერებლად გამოყენება;
- აკრძალული ნივთიერებების ორგანიზმზე ნეგატიური ზემოქმედების თაობაზე გათვითცნობიერებულობის ნაკლებობა სპორტსმენებსა და მშობლებში.
- საკვები დანამატებისა და მედიკამენტების მიღებისას, ორგანიზმში აკრძალული ნივთიერებების გაუცნობიერებლად მოხვედრის გამოსარიცხად, კომპეტენტურ რჩევაზე ხელმისაწვდომობა მეტად აქვთ მაღალი მიღწევების მქონე სპორტსმენებს. საყოველთაოდ აღიარებულია საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს წარმომადგენლებისა და საქართველოს ოლიმპიური ნაკრების ექიმთა ჯგუფის პროფესიონალიზმი. თუმცა, ეს რესურსი სპორტსმენტთა საჭიროებებს მთლიანად ვერ ფარავს. უნდა ითქვას, რომ არ არსებობს სპორტსმენტის დამხმარე პერსონალის კომპეტენციის ერთიანი სტანდარტი და ამ კუთხით სპორტულ ფედერაციებში განსხვავებული მდგომარეობა დაფიქსირდა, ამავდროულად, პრობლემა უფრო მეტად რეგიონებში გამოიკვეთა.

თუ გლობალურ განვითარებულ სამყაროში ინტეგრირების პარალელურად, ჩვენს ქვეყანაში არ განხორციელდება სათანადო პრევენციული ღონისძიებები, საქართველოს ფინანსურ, საკომუნიკაციო და ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, მოსალოდნელია დოპინგის, როგორც გამოწვევის აქტუალიზაცია, რასაც, სავარაუდოდ, მწვავე და ფართომასშტაბიანი შედეგები ექნება.

საქართველოში ანტიდოპინგური პოლიტიკის ფარგლებში, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ოლიმპიური კომიტეტის ხელშეწყობით, GADA სხვადასხვა სახის ადგილობრივ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებზე აწყობს საინფორმაციო სტენდებს, ავრცელებს თემატურ ლიტერატურას და ატარებს საგანმანათლებლო ტრენინგ-კურსებს. მიუხედავად განხორციელებული ძალისხმევისა, დოპინგის თემაზე ცნობიერების ამაღლება გადაუდებელ საჭიროებად მიაჩნიათ კვლევაში მონაწილე სპორტსმენებს.

უფრო კონკრეტულად, რეკომენდებულია:

შინაარსის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნეს სპორტსმენტთა ინტერესი კონკრეტული აკრძალული ნივთიერების ფიზიოლოგიური ზემოქმედების მექანიზმის მიმართ, რის ხარჯზეც აღწევა სპორტსმენი უკეთეს სპორტულ შედეგს;

დოპინგის გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოხმარებისას ორგანიზმზე ნეგატიური ზემოქმედების რისკების ახსნა და კონკრეტული სპორტსმენების მაგალითების გაცნობა;

- ანტიდოპინგური წესების ადაპტირებული, მათთვის გასაგები ენით მიწოდება;
- საქართველოსა და უცხოეთში ტესტირების პროცედურების სანდოობის, გამჭვირვალობისა და დაცულობის შესახებ ინფორმაციის გაცნობა;
- საქართველოსა და უცხოეთში ჩატარებული დოპინგ-ტესტირებისას გამოვლენილი დარღვევების გაცნობა არა მხოლოდ სტატისტიკის დონეზე, არამედ კონკრეტული მაგალითებით;
- დოპინგთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის წყაროების არსებული რესურსის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მათი მოძიების გზების სწავლება.
- უაღრესად მნიშვნელოვანია დოპინგთან ბრძოლაში ფსიქოლოგიური ასპექტების უფრო ღრმად შესწავლა. საჭიროა სპორტსმენებზე ფსიქოლოგიური ბერკეტების გამოყენება: უნდა გაიზარდოს გუნდთან/ინდივიდუალთან ფსიქოლოგის მუშაობის როლი და მოცულობა, უკომპრომისო ეთიკის/მაღალ ღირებულებებსა და პატიოსან გამარჯვებაზე ორიენტირებული სპორტსმენების წახალისება, მათზე აქცენტირება და მათი, როგორც ნდობის აგენტების გამოყენება სპორტსმენებში ჭეშმარიტი სპორტის სულის, მაღალი ღირებულებითი ორიენტაციებისა და ეთიკის განვითარების თვალსაზრისით.
- რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამების ფორმატს, მათ ვინც ესწრებოდა ტრენინგს, ამ უკანასკნელს მისცეს მაღალი შეფასება, თუმცა აღნიშნეს, რომ მოცულობითი მასალის ტრენინგისთვის განკუთვნილ მოკლე პერიოდში აღქმა და დამახსოვრება გაუძნელდათ. კვლევაში მონაწილე ფედერაციების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სპორტსმენებს უფრო გაუადვილდებოდათ მასალის ათვისება თუ ტრენინგი განაწილდება რამდენიმე დღეზე და დატვირთული იქნება ვიზუალური მასალით, მათ შორის ვიდეო რგოლებით და სამახსოვრო ბეჭდვითი მასალებით.

სპორტსმენების მიერ დოპინგის მოხმარების პრევენციისთვის სასურველია ისეთი კონკრეტული ქმედებების განხორციელება როგორცაა:

- დოპინგ ტესტების რაოდენობის ზრდა, მათ შორის არასაშეჯიბრო პერიოდშიც;
- სპორტსმენებისთვის დოპინგის ორგანიზმზე ზემოქმედების მექანიზმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება თუ რის ხარჯზე ხდება ორგანიზმის ამტანობისა და შრომისუნარიანობის გაზრდა;
- დოპინგის ორგანიზმზე ზემოქმედების ნეგატიური შედეგების შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელება, მათ შორის მეტი აქცენტის გაკეთება რეალური ადამიანების ისტორიებზე.
- კვლევის თანახმად, სპორტსმენების უმეტესობა თავად არ ცდილობს გაერკვეს დოპინგთან დაკავშირებულ საკითხებში და მთლიანად ენდობა მწვრთნელისა და ექიმის კომპეტენციას, ამავ დროს, ანტიდოპინგური წესების თანახმად, დოპინგის მიღებისას, პასუხისმგებლობა ყველა შემთხვევაში სპორტსმენზე მოდის და მისი ჯანმრთელობა და სპორტული კარიერა საფრთხის ქვეშ დგება.

იმისათვის, რომ დოპინგთან დაკავშირებით მიღებული ცოდნა გახდეს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების რეალური საფუძველი, არანაკლებ აქტუალურია, შეიქმნას ისეთი გარემო, რომელშიც მაღალკვალიფიციური პერსონალის დონეზე დივერსიფიცირებული იქნება სპორტსმენის მრავალმხრივი საჭიროებები (მწვრთნელი, ექიმი, ფსიქოლოგი, აგენტი, ცნობიერების ამაღლებასთან თუ ღირებულებით ორიენტაციებთან დაკავშირებული მექანიზმები/აქტივობები და ა.შ.),

შესაბამისად პირველადი ამოცანაა საგანმანათლებლო ტრეინინგების რაოდენობის გაზრდასთან ერთად, სპორტსმენტა ფართო ჯგუფის მოსაცავად დოპინგის შესახებ სიღრმისეული ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა სხვადასხვა გზებით:

- სადს-ის, ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტული ფედერაციების ვებ გვერდების საშუალებით;
